

ნოე რამიშვილის
ანდერძი
შვილიშვილმა,
მიშალმა
შეასრულა

უფუნქციოდ დარჩენილი თბილისის
რესპუბლიკური სავადაცოფო

წყალბადი საყაროს, სიბოცხლის
საწყისი და საზრდოა

შეკვეთილის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო
და ზღვაში შავრილი უცნაური პირსი

ლომბინგარულთან ნათქვამი ფიტს ძნელად თუ გატყუებდა გურული



საქართველოს ბევრის კურთხევა



ბარბარობა გურიასი	2	იქნებ, შევძლოთ სურების გადარჩენა	17
მილოცვა	3	ექვთიმე ღვთისჯაცი თაყაიშვილი - წმინდანი და ერისჯაცი	19
ხელი მოეწერა ურთიერთთანამ- შრომლობის მემორანდუმს	4	შეჯვითილის მუქი ლურჯი ზღვის სანაპირო	21
გურიის მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა დაბაღია	5	ქიმიური ელომენტების პერიოდული სისტემის ახალი მოდელი	23
გუბერნატორის მოადგილეები უკონკურსოდ დაინიშნებიან	6	ხილოლო პათოლოგიებს ჯრიოქირურგი მჯურნალობს	25
ქალაქის მერიას საჯრებულომ ბიუჯეტი უჯან დაუბრუნა	7	უხნაძე-მქედლოიშვილის მაღალმოები	26
შეხვედრა ამომრჩევლებთან	8	ღანწხუთის სიყვარული დღემდე მომყვება	28
სოციალოურად შექირვებული ოჯახი დახმარების მოლოდინშია	9	პატრიარქალოურ ჟელოტურასი ქაღის როლო	31
ოხურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 7 მილოონი ლარით განისაზღვრა	10	მუდმივი შეზღუდვა ბავშვის გაღიზიანებას სინვევს...	32
ექნებათ თუ არა ჩოხატაურელებს უნყვეტი წყალომომარაგება	11	გამოდი სულო სინათლეზე	34
ნაჯაშიძეების ერთი შტოს საინტერესო ისტორია	12	მამა ისაჯ ჟელოიძე	36
წმინდა გიორგის ლომისჯარელი ხატის ისტორია	15	მჯვლელობის ვერსია	38
		რჩევები	40

<p>ღაფუქნაბალი — ანა თონაძე მთავარი რაღაქტორი — ლალა სურაბვა მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38 ტაღ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01 ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru</p>	<p>პირფასო გიითხველეო! მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვეთ საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.</p>
---	---

ბარბარობა ბურიაში

წმინდა ბარბარე, მამამ სიკვდილით დასაჯა, ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისათვის. მას განსაკუთრებით ევედრებიან ყრმათა კურნებისათვის, შვილიერებისათვის და მოულოდნელი უზიარებელი სიკვდილისაგან დაცვისათვის. საეკლესიო კალენდრის მიხედვით წმინდანის ხსენების დღედ 17 დეკემბერია მიჩნეული.

გურიამი ბარბარობა დღეს ირჩევდნენ საახალწლო მეკვლეს. ეთნოგრაფიული კვლევებიდან ჩანს, გურულეებისათვის „ბარბარობა არის კაცის, საქონლის და ქათმის ფეხადობა, ის ყველაფრის ფერხვა არის, წლის ფერხვა არის. მერე კალანდას ვიცით ფერხვა“ (ნაბელავი, ბასილეთი).

ქრისტეშობის მარხვის დაწყების წინ იწყებოდა მზადება, ოჯახი შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მომზადებული შეხვედროდა, ოჯახის დიასახლისი თეფშების ტაბლას (მაგიდა) მდულარე წყალს გადაასხამდა ცხოველური ცხიმი რომ არ შეჰყოლოდა.

„ბარბარობას“ კი: დადგა შუამარხვა „ბარბარობა“ დღე ორი, სამი დღით ადრე მეოჯახე კაცმა ტყეში მოჭრა ველური თხილის წნელი, მოიტანა სახლში და დაღობა, გააკეთა ძარა ანუ „სასუქი“. ამ დღეს დილით ადრე მეოჯახე ქალი ქათმის დაპურების დროს დაიჭერს წინასწარ დანიშნულ ქათმებს. მას, ასე ფრთა ქათამიც რომ ჰყავდეს, თითოეულის მეტრიკა და დამსახურება ყველა ზეპირად იცის. სასუქში დასამწყვდევად და შემდეგ დასაკლავად ის არჩევს ბებერს, ნაკლებად კვერცხის მდებელს, ცუდ „მკეკელს“, ფრთხულს, უვარგის „მოჭვას“ და საერთოდ ისეთს, რომელიც სათესლედ და სადგამურად არ გამოდგებოდა, აგრეთვე ყვერულს დაკოდილს, რომელიც საგანგებოდ საკაიდლოდ ჰყავს გამოზრდილი. ოცი დღის შემდეგ ლობიოს „წინია“ შეცვლიდა (ა. წულაძე).

ამ დღეს ოჯახიდან, რაიმეს გაცემას „იბრძინდნენ“. ერიდებოდნენ უცხო სტუმრის და ისეთი კაცის შემოპატიჟებას, რომლის ფეხი „დაცდილი“ არ ჰქონდათ. სხვასთან სტუმრად არ მიდიოდნენ, განსაკუთრებით დღის პირველ ნახევარში (ხიდისთავი).

ბარბარობა დღეს ქათმის დღესასწაულად თვლიდნენ. მოვიდოდა ოჯახში ფეხადი (მეკვლე), მას სიმინდს გამოუტანდნენ ქათმებს დააპურებდა და ასე იტყოდა: ასე დედალი, ასე მამალი, ასე მისი მოჩხორიკი. ქათმებს სიმინდს გადაუყრიდა, იმ დღეს ძარას დაღობავდნენ და სასუქში ქათმებს ჩაყრიდნენ (ქვენობანი).

„ფეხადი“, რომელიც „ბარბარობა“ დღეს ოჯახს პირველი ესტუმრებოდა, დალოცავდა ყველა სულიერს, ის ახალ

წელს აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამ ოჯახის მეკვლე. დილით ადრე მისული „ფეხადი“ სახლში შესვლამდე შემოვივლიდა ეზოს, შეიხედავდა საქათმეში, ქათმებს გამოუშვებდა, დააპურებდა, იგივეს გააკეთებდა ბოსელში და ამბობდა, გამრავლდი პატრონიანადო. შემდეგ ლოცვით შევიდოდა სახლში და მიერთმევდა მისთვის საგანგებოდ შემზადებულ საუზმეს. იმ წელს ოჯახი ფრინველისა და საქონლის ზარალს თუ ნახავდა, ფეხადს დააბრალებდა. გურიამი ამ დღეს ბედობის დღეთაც მიიჩნევდნენ (ხიდისთავი).

სოფელ ხიდისთავის ერთ-ერთი მცხოვრები იხსენებს: ბებია ამ დღეს აუცილებლად სანთლების ჩამოქნას იწყებდა, ოჯახის წევრების სახელზე სათითაოდ. ცდილობდა პატარებისთვის თავის ტოლი სანთელი დაემზადებინა. ეს სანთელი პირველად, აუცილებლად შობას უნდა ანთებულიყო, შემდეგ სადღესასწაულო დღეებში და ბოლომდე დაინვებოდა ნათლიების ბრწყინვალე დღესასწაულზე. დროს შობიდან ძველ ახალ წლამდე კალანდას ეძახდა და ყველა დღეს განსაკუთრებით ლოცულობდა, კარგად მახსოვს წმინდა იოანე ნათლისმცემელს შეთხოვდა ოჯახისა და მისი წევრების დღეგრძელობას.

სოფელი დაბლაციხე (ჩოხატაური), აუცილებლად წინა დღით აფრთხილებდნენ ფეხადს, რომ

დილით ადრე მისულიყო. ცდილობდნენ, აერჩიათ ისეთი კაცი (ფეხადი აუცილებლად მამაკაცი უნდა ყოფილიყო), რომელსაც ბევრი შვილი და სასურველი იყო მშობლებიც ჰყოლოდა, თუ იცოდა სიმღერა, ასეთი მეკვლე ყველა ოჯახისათვის მისაღები იყო. ის კი არა რიგშიც იდგნენ, ვისთან მივიდოდა პირველად. ოჯახი „ფეხადის“ მისვლამდე შინაურ ფრინველსა და ცხოველს არ დააპურებდა. სახლში საუზმეზე შემოსულ ფეხადს არ უნდა ეჩქარა და რაც შეიძლება დიდხანს მჯდარიყო, რადგან ეს დღე მაინც ქათმის ფერხვად და ზამთრის დღესასწაულების დასაწყისად იყო მიჩნეული, სუფრაც საგანგებოდ მზადდებოდა, თუ ფეხადი მალე ადგებოდა ესე იგი კრუხი ბუდეზე არ გაჩერდებოდა. ჩვენ სოფელში იყო მრავალშვილიანი კუჭულიე ჟღენტი, შვიდი შვილი ჰყავდა, უალრესად კეთილშობილი პიროვნება იყო. ახლო მეზობლები ცდილობდნენ, კუჭულიე ყოფილიყო მისი ოჯახის მეკვლე. მსუყე საუზმის შემდეგ ბებია აუცილებლად ჩურჩხელებს და თაფლს მიართმევდა სტუმარს, ალბათ იმიტომ, რომ მთელი წელი სიტკობი არ მოკლებოდა არც მას და არც „ფეხადის“ ოჯახს.

ნათია კალანდაძე






წმინდა ნაჩბარე დღესაო,
ლოცვას გიგზავნი დევნსაო,
იხარე, იბედნიერი,
ანი შეუშინდე წლოებსაო.
გფარავდეს წმინდა ნაჩბარე
ან და მრავალსა წელსაო.




ჩემო ჩოხატაურელებო, გილოცავთ ბარბარობის დღესასწაულს. წარმატებებს და წინსვლას გისურვებთ. წმინდა ბარბარეს მაღლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ.
პატივისცემით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მინდია ჟღერია.




ჩემო ჩოხატაურელებო, გილოცავთ ბარბარობის დღესასწაულს, წმინდა ბარბარეს მაღლი ფარავდეს ჩვენ ოჯახებს და შვილებს.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროს დირექტორი დავით საჯაია.


დიდი სიყვარულით გილოცავთ წმინდა ბარბარეს ხსენების დღეს. მისი მაღლი ფარავდეს სრულიად საქართველოს.
ჩოხატაურის კულტურის ცენტრის დირექტორი თამარ კეკელიძე



ჩემო ჩოხატაურელებო, გილოცავთ წმინდა ბარბარობას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მონყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი ნინო სიხარულიძე.


ბარბარობას გილოცავთ ჩემო ჩოხატაურელებო. გისურვებთ ჯანმრთელობას, ეკონომიურ სიძლიერეს, ღვთის წყალობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური კომისიის ხელმძღვანელი დავით შარაშიძე



უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ ბარბარობას. გისურვებთ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, წმინდა ბარბარეს ძალა და მაღლი შეგენით. უფალს ებარებოდეთ.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ ფრაქციის თავმჯდომარე ზვიად მამალაძე.

გურულებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ბარბარობის დღესასწაულს. წმინდა ბარბარე შეენიოს და ფარავდეს ჩვენ შვილებს, ოჯახებს.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე დავით გუდავაძე.

ჩემო ზემოხეთელებო, გილოცავთ ბარბარობის დღესასწაულს. წმინდა ბარბარეს ძალა და მაღლი ფარავდეს თითოული თქვენგანის ოჯახს და სრულიად საქართველოს.
ზემოხეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ერეკლე უღრელიძე.



ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს

13-14 ნოემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წარმომადგენლები, დირექტორი შორენა კეკელიძე და ორგანიზატორის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ცინცაძე საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში. ჩვენ ამ თემაზე სასაუბროდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, შორენა კეკელიძეს მივმართეთ.

– რა მისიით იმყოფებით თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში?

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2014 წლის 13-14 ნოემბერს საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში, სადაც გაიმართა სტრატეგიული პარტნიორობის ფორუმი. ფორუმში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ოცდათვრამეტი რეგიონის სამოცდათექვსმეტი წარმომადგენელი მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურული, სპორტული, სკოლის გარეშე და არაფორმალური განათლების დაწესებულებებიდან.

– რა საკითხები განიხილეს ფორუმზე?

ფორუმის მონაწილეებს მიესალმა და საინტერესო საქმიანი წინადადებები შესთავაზა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ფეიქრიშვილმა.

ფორუმის ფარგლებში შედგა თითოეული ორგანიზაციის წარდგენა, მათ მიერ გავლილი გზა, განხილულ იქნა მონაწილე ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, შემუშავდა სამოქმედო პროგრამა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმა.

13 ნოემბერს, 16:00 საათზე, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ძირითადი მიზანია მხარეების ხელთ არსებული რესურსების საშუალებით სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, ერთობლივი საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი პროექტების მომზადება და განხორციელება, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება.

მემორანდუმის დოკუმენტი მომზადდა საქართველოს მთავრობის, კერძოდ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით.

ჩამოყალიბდა მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურული, სპორტული, სკოლისგარეშე და არაფორმალური განათლების დაწესებულებებისაგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭო, პირველ საბჭოში არჩეულ იქნა თბილისის, თერჯოლის, ქუთაისის, ბათუმის, ჩოხატაურის, ბაღდათის, გორის, სენაკის, ნინოწმინდის, თელავის, რუსთავის შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ რეგიონს, რომელიც კონტროლს გაუწევს ზემოთაღნიშნული მემორანდუმის შესრულებას.

საბჭო უზრუნველყოფს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, არსებულ სასწავლო პროგრამებსა და მნიშვნელოვან ღონისძიებებზე ინფორმაციის გაზიარებას



შორენა კეკელიძე

და სასწავლო – შემოქმედებით პროცესებში ერთმანეთის ხელშეწყობას.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ნინო ვადაჭკორია, სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისა და სასწავლო-შემეცნებითი სამსახურის უფროსი, ნინო ასათიანი, ნოვაციებისა და მეთოდური მუშაობის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ფურცელაძე.

ფორუმის დღეებში გაიმართა დისკუსია. დისკუსიის შედეგად გადაწყდა, რომ აუცილებელია შენარჩუნდეს სკოლისგარეშე დაწესებულება, როგორც მრავალპროფილიანი სასწავლო-სააღმზრდელო, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო-შემოქმედებითი დაწესებულება, რომელშიც დანერგილი და გამოყენებული იქნება არაფორმალური განათლების ელემენტები, ფორმები და მეთოდები. უნდა განხორციელდეს ერთობლივი საქმიანობა და გრძელვადიანი პროექტები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზატორის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ცინცაძე აღნიშნავს, რომ ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა მომავალში ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

– ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დღე თითოეული ჩვენგანისთვის, დაიგეგმა სხვადასხვა ერთობლივი პროექტი, მათ შორის სტუდია „პიონერფილმთან“ ერთად, რომლის ხელმძღვანელია წარმოშობით ჩოხატაურელი და ჩოხატაურზე შეყვარებული გრიგოლ ჩიგოგიძე, ეს იქნება პროექტი, რომელიც კიდევ ერთი ნოვაცია იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის. იმედია, ყველაფერი ისე იქნება როგორც ჩანაფიქრშია...

– აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი ყურნალის საშუალებით მივულოცავ „პიონერფილმს“ 55 წლის იუბილეს, რომელიც 20 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, გრიგოლს ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს ყოფნას, „პიონერფილმს“ კი – წარმატებებს...

ირინა რამიშვილი

ბერიკის მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობა ზოგადად, ძალიან დაბალია

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დარბაზში საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის წარდგენა მოეწყო, კვლევა შეეხო გურიის რეგიონსაც, რომელიც „ეი-სი-თი-ს“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით მომზადდა. კვლევების მიხედვით გურიის მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობა ზოგადად, ძალიან დაბალია.

რაც შეეხება მიზანს, მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა იყო არსებული სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების კუთხით. როგორ მიენოდება თითოეული სერვისის მოსახლეობას და რამდენად კმაყოფილი არიან.

კვლევებს მიხედვით, რომლის ცდომილების ალბათობა 5%-6%-ია, გურიაში 300 რესპოდენტი გამოიკითხა. კვლევებმა ცხადყო, რომ გურიის მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის გარდა არცერთი სხვა კომუნალური სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

გურიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ელექტროენერჯის მიწოდებაზე გამოკითხულთა 97% მიიჩნევს, რომ ხელმისაწვდომია, თუმცა კმაყოფილებას 92% გამოთქვამს, გაზი მოსახლეობის 53%-ს მიენოდება, კმაყოფილებას 92% გამოთქვამს. დასუფთავება ხელმისაწვდომია 45%-ისთვის, კმაყოფილია 77%. ნარჩენების გატანა ხელმისაწვდომია 35%, კმაყოფილია 90%, წყალი ხელმისაწვდომია 32%, კმაყოფილია 63%.

რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობას, გამოკითხულთა 36%-ისთვის ხელმისაწვდომია. საბავშვო ბაღი ხელმისაწვდომია 72%, კმაყოფილია 71%, საშუალო სკოლა ხელმისაწვდომია 88%, კმაყოფილია 78%.

ზოგადი ჯანდაცვის სისტემის მუშაობით მოსახლეობის 36% კმაყოფილი: საავადმყოფო 35% ხელმისაწვდომია, 87% კმაყოფილია, პოლიკლინიკა ხელმისაწვდომია 19%, 90% კმაყოფილია, სასწრაფო დახმავება 30% ხელმისაწვდომია, 78% კმაყოფილია, მოსახლეობის აცრები 16% ხელმისაწვდომია, 83% კმაყოფილია.

გურიის მოსახლეობის 86% თავს დაცულად გრძნობს,



ასევე კრიმინალურ მდგომარეობას არცერთს არ მიიჩნევს პრობლემატურად მათ დასახლებაში: სახანძრო სამსახური ხელმისაწვდომია 93%, კმაყოფილებას აქედან 53% გამოთქვამს, სამაშველო სამსახური ხელმისაწვდომია 83%, კმაყოფილია 62%.

რაც შეეხება საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას გურიაში, მოცემული მონაცემებით შიდა გზებს დადებითად 33% აფასებს, გარე გზებს 56%, ავტომაგისტრალებს 94%, საზოგადოებრივ ტრანსპორტს 70%, საგზაო ნიშნები 30%, შუქნიშნები 7%, განათება 45%, სახლების ნუმერაცია 16%.

გურიაში პრიორიტეტების თვალსაზრისით პირველ ადგილზე ბიბლიოთეკების გამართული მუშაობა დგას 48%, ტურიზმს, კი, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აქტუალურად არ მიიჩნევს მათი რაიონისთვის. 14%-ის აზრით უფასო იურიდიული მომსახურება მათ რაიონში ხელმისაწვდომია, მხოლოდ 15%-მა იცის ელექტრონული სერვისების შესახებ. მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ ჰაერი და ნიადაგი მოსახლეობაში დაბინძურებულია.

რაც შეეხება თვითმმართველობის შეფასებას მოსახლეობის მხრიდან, ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობით კმაყოფილია 61%, უკმაყოფილო მხოლოდ 13%-ია, ნდობას ასევე 63% უცხადებს, უნდობლობას 13 %.

მოსახლეობის საჭიროების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით მოსახლეობის 60% მიიჩნევს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის აზრი, 46% მიიჩნევს, რომ მეტი თანხა გამოიყოს მუნიციპალიტეტის პრობლემის მოსაგვარებლად, მიმდინარე პროცესების ინფორმირებულობის აუცილებლობას 28% მიიჩნევს.

გურიის მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობა ზოგადად ძალიან დაბალია.



საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად პარლამენტის ბიურომ დაადგინა: პარლამენტის წევრის გააფორმების მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (№07-3/386) საქართველოს კანონი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

საქართველოს კონსტიტუციით და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წელს შესული ცვლილების შესაბამისად, კონკურსის წესით პირის თანამდებობაზე დანიშვნა დარეგულირდა დამატებითი ნორმებით და დაანესა იმპერატიული ხასიათის ნორმა საჯარო სამსახურში პირის კონკურსის წესით დანიშვნის ვალდებულებასთან დაკავშირებით, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა. აღნიშნულ მოწესრიგებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში დამატებით არ არის ასახული მთავრობის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი პირის მიერ დასანიშნ მოადგილეზე ამავე კანონით გათვალისწინებული, კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული მოწესრიგების გავრცელების შეზღუდვა. კანონით გათვალისწინებული რეგულაციების მიხედვით – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე თანამდებობაზე დანიშვნას ექვემდებარება კონკურსის წესით. კანონპროექტი მიზნად ისახავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა-



ქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში არსებული უსწორობის აღმოფხვრას. ასევე კანონში აისახოს აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებზე, კერძოდ, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილეებზე აღნიშნული კანონის გავრცელების თავისებურებები. კანონპროექტის მიღების მიზანია: „საჯარო სამსახურის შესახებ“ უსწორობის გასწორება. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილეების საჯარო სამსახურებრივ სტატუსთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების ჩადება. გუბერნატორის მოადგილეების საჯარო სამსახურში დანიშვნასთან და შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, მათთან მიმართებით ზოგადი რეგულაციის შესწორება და მათი უკონკურსოდ დანიშვნის დაქვემდებარება.

საკანონმდებლო პროექტის გატანას რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა მხარი დაუჭირა. პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა.



17–21 ნოემბერს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებული და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია ლითვის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. დელეგაციის წევრებს შორის იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა. შეხვედრები გაიმართა ლითვის რესპუბლიკის პარლამენტში და გარემოს დაცვის სამინისტროში. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ქალაქების, კაუნასის და დრუშკინკაის მერებს. მოხდა გამოცდილების გაზიარება თვითმმართველობის, გარემოს დაცვის და მყარი ნარჩენების გადამუშავების საკითხებზე.

ქალაქის მერიას საკრებულომ ბიუჯეტი უკან დაუბრუნა

ქალაქ ოზურგეთის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი მერიას უკან დაუბრუნდა, ამის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულოს დეპუტატებმა 25 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მიიღეს.

კომისიისა და ფრაქციების ხელმძღვანელების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული პროექტი არ არის გათვლილი იმ ძირითად პრიორიტეტებზე, რაც მათ რეკომენდაციების სახით წარადგინეს. ინფრასტრუქტურა და სოციალური სფერო, ეს ის ორი ძირითადი მიმართულებაა, რაც მომავალი წლისთვის მნიშვნელოვნად გამოიყო და რამდენიმე ათასი ლარი, სავარაუდოდ გათვლილი სახელფასო დანამატებისა და პრემიებისთვის: მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთა რაოდენობა ჩვენსას ორჯერ აღემატება, სახელფასო ფონდში კი ჩვენი ბიუჯეტით ორჯერ მეტი თანხები იყო გათვლილი, ასეთია დეპუტატთა შეფასებები, რის საფუძველზეც მთავარი ფინანსური დოკუმენტი საკრებულოსგან უკან დაბრუნდა.

ქალაქ ოზურგეთის 7 მილიონ ნახევარიანი ბიუჯეტიდან 3 მილიონ 888 ათასი ლარი შრომით ანაზღაურებაზე გათვალისწინებული, ასე შეაფასა 2015 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის პროექტის პრიორიტეტი იურისტმა ირაკლი პაპავამ:

– ნებისმიერი მოქალაქისთვის, რაც ამ ბიუჯეტით თვალშისაცემია, არის ის, რომ 7 მილიონ ნახევარიანი ბიუჯეტიდან თითქმის ოთხი მილიონი ხელფასებზეა განხორციელებული, რომ აქ არ არის მარტო მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ხელფასები, ეს შეადგენს მილიონ 326 ათასს ლარს, აქ არის ა (ა)იპ-ების დაფინანსებაც, მაგრამ



ბრუნდა, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო გოგუაძემ 2015 წლის ბიუჯეტს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს:

– პირველ რიგში მოგახსენებთ იმას, რომ კანონით გათვალისწინებულ ვადებში შემოვიდა საკრებულოში მერიიდან ბიუჯეტი, შემდეგ მოვანყვეთ საჯარო განხილვა. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ჩემი შეფასებით ბიუჯეტი საერთო ჯამში არის დამაკმაყოფილებელი, გამომდინარე იქედან, რომ ქალაქ ოზურგეთში ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტის ხარჯვა შეადგენს 365 ლარს, რაც მნიშვნელოვნად ემატება სხვა თვითმმართველი ქალაქების ხარჯს. წარმოდგენილ პრიორიტეტთა შორის, პირველი ადგილი უკავია ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის განვითარებას, ასევე სოციუმის განვითარებას და დაკმაყოფილებას ქალაქში.



რაც შეეხება 102 ათასი ლარის სახელფასო სხვაობას, ამბობს, რომ აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე კონკრეტულ პირზეა გათვლილი:

– მართალია, თანხა ჩადებულია პრემიებისა და დანამატებში, რაც არ ნიშნავს, რომ ეს ხმარდება კონკრეტულ პიროვნებებს. ჩემი აზრით, საკრებულო ამას ვერ მიიღებს, დეპუტატებს არც პრემია ექნება და არც დანამატები, რაც შეეხება ხელფასების მატებას, რანგირების შემდეგ ეს იგეგმება. ხელფასების არა თუ კლება, არამედ მატება, რანგირების წესის შესაბამისად მოხდება. მისივე განმარტებით, სწორედ ამისთვის უნდა იყოს გათვლილი ბიუჯეტიდან მერიის თანამშრომელთა პრემიებისა და სახელფასო დანამატებისთვის მოთხოვნილი 102 ათასი ლარი.

მრგვალდება ეს თანხები 4 მილიონამდე. აქედან გამომდინარე, თუ დავიანგარიშებთ, გამოდის, რომ მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად შრომის ანაზღაურების სახით 324 ათასი ლარი გადის, მაშინ როცა სოციალური უზრუნველყოფისთვის კი მთლიანობაში 393 ათასი ლარია. კანონმდებლობის დარღვევა აქ არის, მაგრამ როცა ამას, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე ისე ვაფასებთ, ცოტა უხერხულობის მომენტს ქმნის – განაცხადა პაპავამ.

არსებული ბიუჯეტის პროექტი უარყოფითად შეაფასა „ლეიბორისტული პარტიის“ დეპუტატმა ნათია შარაშენიძემაც, მისი თქმით, ბიუჯეტის პროექტი არ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს:

– არსებული ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგინა მმართველმა გუნდმა, ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნას, – ამბობს ნათია შარაშენიძე.

შეხვედრა ამომრჩეველთა

2014 წლის 28 ნოემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ამომრჩეველებს შეხვედა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით შარაშიძე.

მან ღიად და დაუფარავად ისაუბრა სოციალურ სფეროში არსებულ პრობლემებზე. სოციალური კუთხით ძალიან მძიმე მდგომარეობაა შ.შ.მ პირებთან დაკავშირებით.

„ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს გარკვეულ თანხას, მაგრამ არ ვთანხმდები, რადგან აქამდე შემოთავაზებული თანხა არ არის საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად, დამატებით ჩვენ ვითხოვთ 200 000 ლარს – აღნიშნა დავით შარაშიძემ.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ იმ ოჯახებზეც გაამახვილა ყურადღება, რომელთა მინიმალური ქულათა რაოდენობა 57 000-დან 100 000-მდეა და არ ლეზულობენ დახმარებას.

„ამ კატეგორიის ადამიანებს ნაკლებად ექცევა ყურადღება, ეს ფენა საერთოდ ამოგდებულია ყოველგვარი დახმარების არეალიდან. რაც შეეხება აფხაზეთიდან დევნილებს, მათთვის მოთხოვნილია დამატებით 2500 ლარი, ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ბიუჯეტში თანხა უნდა გაიზარდოს 60 000-დან 100 000 ლარამდე.

მუნიციპალიტეტს ჰყავს თირკმლის უკმარისობის დიაგნოზით 10 პირი, ამ მხრივ 3 600 ლარის დამატებაა საჭირო, რაც შეეხება ონკოლოგიურ ავადმყოფებს, მათ ნამლებზე გამოყოფილი იყო 400 ლარი, საჭიროა კიდევ 200 ლარის დამატება, ამათგან ნამლებისთვის 150 ლარი. 0-დან 10 წლამდე შ.შ.მ ბავშვებს უნდა მიეცეთ თვეში 30 ლარი. თითოეულ ახალშობილზე გაიცემა ერ-



თვერადად 200 ლარი, ბიუჯეტიდან 100 000 ლარს ვითხოვ ბავშვების ურეკში გასამგზავრებლად“ – აღნიშნა დავით შარაშიძემ.

სხდომაზე მოსაზრებები დამსწრე სტუმრებმა გამოთქვეს. არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირი „გზა იმედისკენ“ ДРО-ს ხელმძღვანელმა ნინო ლომთათიძემ მოითხოვა, მეტი ყურადღება მიექცეს შშმ პირებს. კარგი იქნება თუ შეიქმნება ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ავზების დასუფთავების საკითხებს. ასევე გამოთქვეს სურვილი გაზიფიკაციის საბოლოოდ დასრულების.

დავით შარაშიძემ უფრო მეტი აქტიურობისკენ და ჩართულობისკენ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას – თითოეულმა თქვენგანმა უნდა დაიცვათ თქვენი უფლებები და ინტერესები, ის, რაც კანონის ფარგლებში გეკუთვნით.

ირინა რამიშვილი

მანიაკი - ავადმყოფი, თუ უსწოზი ნილბიანი?

რამდენიმე თვეა ჩოხატაურში ადამიანებს ღამით გარეთ გამოსვლის შიში დასჩემდა. უცნობი ნილბიანის



გამო, რომელიც მხოლოდ ღამით ჩნდება და დღისით იმალება. იგი ხვდება გზად მიმავალ ადამიანებს, მოულოდნელად გამოუვარდება და აშინებს, ისვრის ქვებს, შედის სახლებში ძირითადად იქ, სადაც ქალები არიან და იქაც ქვებით უმასპინძლდება დამხვდურ მასპინძელს. საქმე იმაშია, რომ ნილბიანი არც ფულს ითხოვს, არც ძვირფასეულობას, უბრალოდ ისვრის ქვებს. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, თურმე თავადაც ქვების ეშინია, თუ გინდა, მოიშორო, შენც ქვები უნდა დაუშინო. კიდევ იმასაც ამბობენ, კი არ მირბის, მიქროლავსო, ნუ იტყვიოთ და ჭიშკრებს და ღობეებს ახტება და ამიტომ ვერ დაიჭირესო, მოკლედ, რას არ იტყვიან. ზოგს არც სჯერა, იმ შემთხვევაში დარწმუნდებიან, თუ დაიჭერენ ან არ წააწყდებიან სადმე. იმედია, ამ მხრივ ამბის განვითარებას კეთილი ბოლო ექნება.

მითხრას, სამი წლით განაცხადის დანერგის უფლებას არ გაქვსო - სოციალურად შეჭირვებული ოჯახი დახმარების მოლოდინში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის თემში მცხოვრები გუგაგების ოჯახი წლებია სოციალური დახმარების ბაზაში მოხვედრას ელოდებიან. როგორც ოჯახის წევრები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, განცხადებით არაერთხელ მიმართეს, მაგრამ მათთვის დახმარების დანიშვნა ვერ მოხერხდა. როგორც ოჯახის უფროსი გვეუბნება, ბოლო განცხადების გაკეთების შემდეგ მაღალი ქულა მოუვიდათ, სააგენტოში აცნობეს, სამი წლით ახალი განცხადების დანერგაზეც უარი ეთქვა:

ბოლო განცხადება ორი წლის წინ დავწერე, მაშინ კიდევ ერთი შვილი მყავდა ჩანერილი, მოგვიანებით ის თურქეთში წავიდა, თუმცა მისი თურქეთში წასვლით ჩვენ არაფერი შეგვმატებია, ცალკე ოჯახია, შვილები და შვილიშვილები ჰყავს. სააგენტოში მითხრეს, დახმარებას აღარ დამინიშნავდნენ და სამი წლით უფლებაც აღამ მქონდა განცხადება დამენერა. მას შემდეგ ორი წელია გასული - გვითხრა ოჯახის უფროსმა, ხასი გუგავამ, რომელიც 73 წლისაა.

ოჯახი ოთხი წევრისგან შედგება, ცოლ-ქმარი 73-72 წლის არიან, მათი შვილი დათო გუგავა, 41 წლისაა. ოჯახში ასევე 80 წლის კატუშა გუგავა ცხოვრობს, სამივენი შრომის უუნაროები არიან, ერთადერთი შრომისუნარიანი დათოა, თუმცა დაუსაქმებელი.

რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს, სახლი რთულ მდგომარეობაშია, დაზიანებული საძირკველი, მოშლილი კიბე, ჩამონგრეული სახურავი, დაბზარული კედლები, - ესაა სურათი, რასაც ერთი შეხედვით დაინახავთ. რაც შეეხება საოჯახო ნივთებს, არაფერი გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით, ერთ ფერად ტელევიზორს, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია. არა მაცივარი, არა გაზი, არც სხვა საყოფაცხოვრებო ნივთი, რასაც შეიძლება მათთვის მაღალი ქულის მინიჭებაში ხელი შეეწყოს.

ოჯახის წევრების განცხადებით, თავდაპირველად 67 ათასი ქულა მიიღეს, თუმცა სოციალური დახმარების მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა, მოგვიანებით კი ქულები 90 ათასამდე გაეზარდათ. მოხუცების თქმით, ქულების ოდენობა ბევრად აღემატება მათ პირობებს,



რაც ისედაც თვალმისაცემია.

რაც შეეხება ოჯახის შემოსავალს, თავის გატანა მხოლოდ პენსიით უწევთ. როგორც თვითონ აცხადებენ, მედიკამენტებსა და საკვებში მისი გადანაწილება უძნელდებათ, რის გამოც პენსიას წინასწარ იღებენ, მერე მედიკამენტების მარაგსა და დაგროვილ ვალს ისტუმრებენ, საკვების შექენა და თავის გატანა კი ისევ ვალებით უწევთ.

ოჯახის უფროსის განცხადებით, ჯერ შეშაც არ მოუმარაგებიათ, უსახსრობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სოციალური სააგენტოს ოზურგეთის ფილიალში აცხადებენ, რომ ინფორმაციის მიღების უფლება, თუ რა მოხდა და რა მიზეზებით არ დაენიშნა ოჯახს სოციალური შემწეობა, მხოლოდ ოჯახს გააჩნია, დანარჩენ შემთხვევაში ინფორმაცია კონფიდენციალურია.

2013 წლის 1 იანვრის მონაცემთა ბაზაში ვკითხულობთ, რომ ოზურგეთში, მიზნობრივი სოციალური პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შემწეობის მიმღები ოჯახების სტატისტიკა ასე გამოიყურება: რეგისტრაცია გავლილი აქვს 11 388 ოჯახს, აქედან შემწეობის მიმღებთა ბაზაში მხოლოდ 1 999 ოჯახი ფიქსირდება, რაც რეგისტრირებული მოსახლეობის 7.9%-ია.

ნინო ონიანი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 7 მილიონი ლარით განისაზღვრა



„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. პროექტი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, დიმიტრი კვერელიძემ წარადგინა. შეხვედრას ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2015 წლის ბიუჯეტი 7 მილიონი ლარით განისაზღვრება. როგორც ცნობილი გახდა, ადგილობრივი ბიუჯეტით, იგეგმება საბავშვო ბაღების დაფინანსების გაზრდა, რაშიც გათვალისწინებულია როგორც კვებისა და ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესება, ასევე პედაგოგის ხელფასების ზრდა. თუმცა, რა ოდებობის თანხა იქნება გამოყოფილი აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ჯერ-ჯერობით უცნობია.

ითქვას ისიც, რომ 180 ათასით გაიზრდება სოფლის ა(ა)იპ-ის დაფინანსება, აქედან 100 ათასი ლარის გახარჯვა ლაბორატორიისთვის იგეგმება, სადაც დაავადებებისგან პირუტყვის გადარჩენის მიზნით პერიოდული ვაქცინაციები ჩატარდება.

ისაუბრეს მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივაზე, რაც 85 წელს გადაცილებული პენსიონერთათვის პენსიაზე და-

ნამატის გაცემას გულისხმობს. თუმცა კონკრეტული თანხა დასახელება ვერც აქ შეძლეს, გამომდინარე იქედან, რომ ჯერ ისიც არ არის ცნობილი თუ რამდენია ამ ასაკის პენსიონერთა რაოდენობა და რა თანხა შეიძლება იყოს გათვალისწინებული ყოვეთვიური დანამატის სახით.

საუბარი იყო, მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით შესვლაზე, რაც იურიდიული საკითხების მოგვარების შემდეგ მოხდება.

„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საჯარო განხილვის დროს განსაკუთრებული ხმაური ვაკვირელი ქალბატონის, ირინა მდინარაძის შეკითხვას მოჰყვა დაპირებული კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით, რაც აგვისტოში, გურიაში მომხდარ სტიქიის შედეგად უნდა გაცემულიყო.

– არავინ საუბრობს თხილის ზარალის მქონე ოჯახების კომპენსაციის საკითხზე, მაშინ, როცა კახეთში რამდენჯერმე გაიცა, რატომ არ ხდება ეს ოზურგეთის შემთხვევაში, – იკითხა ირინა მდინარაძემ.

ითქვას ისიც, რომ გადაუმომხმებელი ინფორმაციით, სტიქიის შედეგად, გურიას 12 მილიონი ლარის თხილის ზარალი მიაღდა, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერელიძემ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კომპენსაციის გაცემა გამორიცხა იმ მიზეზით, რომ ბიუჯეტი 7 მილიონი ლარით განისაზღვრა, გაკვირვება გამოთქვა კომპენსაციის გაცემის დაპირების გამოც:

– მოგეხსენებათ, ოზურგეთის ბიუჯეტი 7 მილიონ ლარს შეადგენს, კომპენსაციის გაცემა ვერ მოხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ როგორც აქ ითქვა, ზარალი ორჯერ დიდია, ვიდრე ჩვენი ბიუჯეტი, – აღნიშნა კვერელიძემ.

ნინო ონიანი

მიმართვა

სუფსის ხეობიდან წამოსულო, თქვენი კუთხის მოსიყვარულეებო, მოგმართავთ, შემოგვიერთდით, რომ უფრო ბევრი ვიყოთ და დიდი ენერჯით ვიზრუნოთ ამ ლამაზი ბუნების გადასარჩენად, რომლის მთავარი სიმდიდრე ადგილობრივებია, ისინი სიღარიბემ და უყურადღებობამ დააუძლურა, ამიტომ თითოეული ჩვენთაგანის ვალია, გვერდით დავედგეთ და ყურადღება საქმით დავანახოთ. დიდი ვანის, შუა სურების და ზემო სურების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები უნდა შევეუცვალოთ, ელექტორენერჯიის საკითხი ბოლომდე მოვანესრიგოთ და შემართებით ვიზრუნოთ გზის რეაბილიტაციაზე.

თანამდებობის პირებო და ბიზნესმენებო! უგზოობის გამო საქართველოს კიდევ ჩოხბატაურის სამი სოფელი გამოეცლება. ერთად ვიზრუნოთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად და პატარა მუნიციპალიტეტი „შაგრენის ტყავით“ არ შევამციროთ.

ჩემო მეგობრებო, ნათესავებო და თანამოაზრეებო, თუ სოფლები დღეს არ გადავარჩინებთ და იქ მცხოვრებლებს მომავლის იმედი დაეკარგათ, ხვალ უკვე გვიან იქნება. წარსულთან, მიცვალებულების სულებთან და რაც მთავარია, ჩვენ შვილებთან არ ვიქნებით პირნათელი. მიტოვებულ მინას, კი, სხვები დაეპატრონებიან და ჩვენი გენის უწყვეტი კავშირი გაქრება. საინიციატივო ჯგუფის წევრები ენერ-

გიას არ ვიშურებთ. ყველამ ამაყად ვთქვათ – ჩვენ გვიყვარს სუფსის ხეობა და მას განსაცდელში არ მივატოვებთ! პატივისცემით საინიციატივო ჯგუფის წევრები.

საკონტაქტო ნომერი: 599 91 63 37

გურიის რეგიონი შესაძლებელია მებაღეობა-მევენახეობის დარგის განვითარებით იყოს მიმზიდველი. სუფსის ხეობის ნოყიერ ნიადაგზე ვაზის ჯიშები გაშენდეს, მცირე ფერმერული მეურნეობები შეიქმნას, მოაშენონ თხები, საკალმახე და სამონადირეო მიმართულებით მცირე მენარმეები დაინტერესდნენ. უგზოობის გამო ინვესტიციის განხორციელება შეუძლებელია. ზამთარში ადგილობრივები გაუსაძლის პირობებში არიან. რამდენიმე დღეა ხეობაში გადაულეზლად წვიმს, სამ-ოთხ ადგილზე მენყერი ჩამონვა, მუნიციპალიტეტთან მისასვლელი გზა უფრო დაზიანდა. ჩვენ შუა სურების ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელს გივი ტრაპაიძეს დაუკავშირდით – ძლიერი წვიმის შედეგად დიდ ვანში, ბუკისციხის ჩამოსასვლელში, კიდევ რამდენიმე მონაკვეთში მენყერი ჩამონვა, კომისია გამოიყო, ნახეს, რომელ ადგილებშია ძლიერი დაზიანება, გადასცემენ გამგეობას და გზის გასუფთავების დროებით სამუშაოებს ჩაატარებენ, თუმცა ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს.

ექნებათ თუ არა ჩოსატაურელს უწყვეტი წყალმომარაგება!



წყლის პრობლემა ჩოსატაურს უკვე წლებია აწუხებს. 2013 წელს კი დაბაში წყალგაყვანილობის სამუშაოები დაიწყო... ჩვენ დავინტერესდით თემით და მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სააგენტოს შემდეგი კითხვებით მივმართეთ – რა სამუშაოები განახორციელა კომპანიამ პროექტის ფარგლებში. როგორ განისაზღვრება წყლის ტარიფი. მოუწვევს თუ არა მოსახლეობას წყლის მრიცხველის თანხის გადახდა და დაინტერესდა თუ არა ჩატარებული სამუშაოებით ფინანსური პოლიცია.

ამ კითხვებით ჩოსატაურში სააგენტოს მივმართეთ, სადაც გვითხრეს რომ ზუსტ პასუხს სამსახურის უფროსი ბატონი დავით ცერცვაძე გაგვცემდა. ბატონ დავითს ტელეფონით დაუკავშირდით, რომელმაც საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან ნინო რამიშვილთან გადაგვამისამართა, როგორც რამიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა ჩოსატაურში პროექტს ემ-დე-ეფ-ი ახორციელებს და ჩატარებული სამუშაოების შესახებ დეტალურ ინფორმაციას აღნიშნული კომპანია მოგვანოდებდა.

„რაც შეეხება მრიცხველებს თემას, ყველა ცივილურ ქვეყანაშია გამრიცხველიანება, სანამ სამუშაოები დაიწყებოდა მოსახლეობა იყო საქმის კურსში. რაც შეეხება მრიცხველების თანხას, ეს არის ასი ლარი, რომელსაც გადაიხდიან მრიცხველის დადგმიდან ექვსი თვის შემდეგ, გადასახადი გაუნაწილებათ 24 თვეზე და თვიურად წყლის ქვითარზე დაერიცხებათ მრიცხველის თანხა 4 ლარი და 17 თეთრი, იმ შემთხვევაში თუკი ვინმე უარს განაცხადებს, ამ თანხის გადახდაზე კომპანია წყალმომარაგებას შეუწყვეტს“, – აღნიშნა ნინო რამიშვილმა.

„ზოგადად მრიცხველები იმიტომ არის კარგი, რომ ეს აბალანსებს მოსახლეობის მიერ დახარჯული წყლის რაოდენობას, მრიცხველის დახმარებით მოსახლეობა უფრო ყაირათიანად მოიხმარს წყალს. მათ ექნებათ ერთნაირი წყალმომარაგება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ვიღაც მოიხმარდეს 7-8 კუბურ მეტრ წყალს და ვიღაც 1 კუბურს, არ შეიძლება ორივემ ერთნაირად გადაიხადოს წყლის გადასახადი, ზოგ მოსახლეს ეს წყალი სარწყავად უნდა. ამ ყველაფერს დააბალანსებს მრიცხველი, თითოეული მოსახლე შეეცდება წყალი უფრო ყაირათიანად მოიხმაროს, თვითოეულ მოსახლეს ერთნაირად მიენოდებოდეს წყალი, რომლის პრობლემაც ჩოსატაურელებს მრავალი წელია აწუხებს,“ – აღნიშნა წყალმომარაგების კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილემ ტექნიკურ დარგში ლევან ვაშაკიძემ.

ჩოსატაურელ მოსახლეობას ერთ კუბურ მეტრ წყალში 42 თეთრის გადახდა მოუწვევს, ხოლო ისინი ვისაც კანალიზაცია შეერთებული აქვს 50 თეთრს გადაიხდიან. რაც შეეხება გრაფიკს ის თანდათან უმჯობესდება, ამ-

ჟამად მოსახლეობას აქვს 8-12 საათიანი წყალმომარაგება და პროექტის დასრულების შემდეგ ეგ გრაფიკი 24 საათამდე გაიზრდება.

კითხვაზე დაინტერესდა თუ არა ნამდვილად ფინანსური პოლიცია სამუშაოებით საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა განაცხადა რომ არანაირი ფინანსური პოლიცია კომპანიამ არ შესულა...

ჩოსატაურში წყალმომარაგების პროექტის სამუშაოების შესახებ კომენტარის მიღება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პიარ მენეჯერს ლანა ბერიძეს ვთხოვეთ.

„წყალგაყვანილობის სამუშაოები ჩოსატაურში დაიწყო 2013 წელს და დასრულდება 2015 წლის აპრილში, ჩატარებული სამუშაოების შედეგად ვერ მოხერხდა დაბის მთლიანი მოსახლეობის წყალმომარაგება და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად დამატებით გამოიყო 700 000 ლარი, მიმდინარეობს ორკილომეტრნახევრიანი თხრილების გაყვანა და ტარდება შესაბამისი სამუშაოები, რომ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის წყალმომარაგებაც მოხდეს. ამჟამად სამუშაოებს ახორციელებს ჩვენი კონტრაქტორი კომპანია სააქციო საზოგადოება „თბილისი“ – აღნიშნა ბერიძემ.

ირინა რამიშვილი





ტივად ნახაშვილი

ნაკაშიძეების ერთი უზოს საინჟინერო ისტორია

ნაკაშიძეები მრავალრიცხოვან სათავადო გვარს წარმოადგენს. სიამაყით მოიაზრებენ საკუთარ თავს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას ირჩევენ და სულმუდამ ავანგარდში ყოფნას ცდილობდნენ. ამიტომაცაა, რომ ბევრი მათგანი სამაგალითო ერისკაცად და მოამაგედ მოგვევლინა.

სად არ ახარეს სიკეთის წერგი. საკუთარი სამშობლოს ნებისმიერ კუთხეში თუ საზღვარგარეთ: რუსეთში, უკრაინაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, თურქეთში, ამერიკაში. დღესაც ანათებს მათი ნაკვალევი და სიამაყის გრძნობით გვაკვებს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ისინი ამისათვის ძალისხმევას, ნიჭსა და ენერჯიას არ იშურებდნენ და არცთუ იშვიათად, ნარეკლითა და დრამატიზმით ყოფილა აღსავსე მათი ბედი.

ოღითგანვე გურისასა და აჭარას ფართო დიაპაზონის ურთიერთობა აკავშირებდათ. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ნაკაშიძეების ყველაზე მეტი რაოდენობა დღეს აჭარაში ცხოვრობს. მიგრაციის ორმხრივი პროცესები ხშირად ყოფით საკითხებს, სანათესაო კავშირებს, მტრულ და საკონფლიქტო სიტუაციებს უკავშირდებოდა. არა მხოლოდ საქმიან და ნათესაურ კავშირებს ამყარებდნენ ერთმანეთთან, არამედ ხშირი ყოფილა შემთხვევები ოჯახებით გადასვლა-გადმოსვლისა და სამუდამოდ დამკვიდრებისა. აღნიშნულის მიზეზები და მოტივები, ზოგჯერ, მტრული გარემოებიდან თავის არიდებაც ყოფილა.

ნაკაშიძეთა საგვარეულო გაერთიანების საქართველო-უკრაინის ასოციაცია „თავადი ნაკაშიძის“ პრეზიდენტის რევაზ ნაკაშიძის საგვარეულო შტო, აჭარის რეგიონში ცხოვრების სამ საუკუნეზე მეტ ისტორიას ითვლის. ერთობ საინტერესო ცხოვრებით, ბრძოლითა და იმედებით უკვლევიათ გზა ნაკაშიძე-გვარიშვილების (თურქების პერიოდში გვარელოღლის) ჩამომავლობას. ერთი დღითაც არ დავიწყებიათ „ვისი გორისა“ იყვნენ, საიდან მოვიდნენ და საით უნდა ევლოთ.

ამ შტოს, წარმოშობით ნატანებიდან, ახალგაზრდა თავადიშვილმა ალექსანდრე ნაკაშიძემ დაუდო სათავე. მისი დაფუძნება შიდა აჭარაში საკმაოდ წარმატებული, თუმცა ფათურაკებითაც ყოფილა აღსავსე.

ალექსანდრეს გასაიდუმლოებულ ვითარებაში დაუნერია ჯვარი სვანეთის მთავრის დადემქელიანების ერთ-ერთი ოჯახის უმშვენიერეს ასულზე – ქეთევანზე. ქეთევანი იმ ორი ყმანვილის უფროსი და ყოფილა, რომლებსაც მშობლები დაუხოცეს. ნათესაობას, ბავშვები შემდგომი შურის-

ძიებისათვის რომ განერიდებიათ, საიდუმლოდ გადაუყვანიათ გურიაში, იმის იმედით, რომ თავადის დახმარებით სათათრეთში გადამალავდნენ. ასე მოხდნენ ბავშვები ჩაქვის მახლობლად, სოფელ სახალვამოს ერთ-ერთ წარჩინებულ ოჯახში, სადაც მათ ყურადღებას არ აკლებდნენ და დიდი მზრუნველობითაც ყოფილან მოსილნი. სიფრთხილისათვის, შორეული მხრიდან ჩამოყვანილ ნათლულებად ასალებდნენ, გულმოდგინედ მალავდნენ მათ ჩამომავლობას და ცნობისმოყვარეთა კითხვაზე, ვინ და რა გვარი-სანი იყვნენ ისინი, პასუხობდნენ: კარგი გვარის შვილები არიანო, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო მათი გვარის „გვარიშვილის“ წარმომავლობას.

გარკვეული პერიოდის შემდეგ თავადი ნაკაშიძე, მეუღლითა და საკუთარი შვილით მღვდელთან ერთად დაბრუნებულა სახალვამოში. შინაურ წრეში დაუნერიათ ჯვარი ქეთევანისა და ალექსანდრესათვის და ახალდაქორწინებულები გონიოში, ისტორიული ციხის ახლოს, მათთვის მომზადებულ საცხოვრისში გადაუყვანიათ.

ახალშექმნილი ოჯახი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. პოპულარული და გავლენიანი ხდებოდა, ალექსანდრე-ბეგი (ასე ეძახდნენ თურქულად თავადს) პატივისცემასა და ავტორიტეტს იძენდა. ალექსანდრეს გურიაში მიღებული სანაოსნო საქმის ცოდნა და გამოცდილება წაადგა. ახლო ურთიერთობაში შესულა ადგილობრივ მოხელეებთან, ვაჭრებთან, ლაზ მეზღვაურებთან. მალევე გონიოს სანავსადგურო საქმიანობის ხელმძღვანელობა ჩაუბარებიათ. საქმის ალლომ და შრომისმოყვარეობამ შედეგი გამოიღო. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში იმდენად გამოუჩენია თავი, რომ თურქეთის სულთნის ყურადღება დაუმსახურებია, ფირმანი და თურქული ხმალი საჩუქრად უბოძებიათ.

მტერი და მოშურნეებიც მალევე გასჩენია. ვერ იტანდნენ ტყვეთა ვაჭრობის წინააღმდეგ თავგამოდებულ მებრძოლს. მის ქართულ ორიენტაციაზე მიჰქონდათ იერიში და მიზანშიც ამოულიათ. ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს.

ქეთევანი ამხნევებდა და ერთგულად ედგა მხარში მეუღლეს. დიდი ყოფილა მისი წვლილი საოჯახო მეურნეობის მართვაში, მოვლა-პატრონობაში და საქმიან ურთიერთობებში. იზრდებოდა ქონება, მამულების რაოდენობა, ტიტულები, გავლენა საზოგადოებაში, რაც შთამბეჭდავს ხდიდა მისი პატრონის სიძლიერეს და მოხერხებულობას. ვრცელი ადგილ-მამულები აღმოჩნდა მის მფლობელობაში: გონიოს ციხის მიმდებარე ტერიტორია ზღვის სანაპირომდე; კახაბრის ველის აღმოსავლეთით მდებარე ფართობები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ადმინისტრაციული შენობის მიდამოებში; კიდევ უფრო აღმოსავლეთით, არფაზონის მთის სამხრეთ-დასავლეთის ფერდობი სოფელ ნიკიტაურის მიმდებარე ტერიტორიით; სოფელ ერგეში სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართულ მთას დღესაც ნაკაშიძის გორას უწოდებენ. მდინარე ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავთან ახლაც დგას საუკუნეებგამოვლილი ნაკაშიძეების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. კიდევ უფრო ზევით აჭარისწყლის ხეობის აყოლებით, მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლებში: მალაკონსა და ჭალახმელაში სათიბები; სოფლების: ქოსოფლის, უჩხითის, ნამლისევისა და მილისის კუთვნილი ტერიტორიები უშუალოდ მდინარის ნაპირიდან იწყება და სამხრეთის მთის ფერდობებზე აყოლებით მწვერვალამდე აღწევს. გონიოში მოჰყავდათ ბრინჯისა და ღომის მოსავალი, ხოლო კახაბრის მინდვრებზე სიმინდის ყანები ჰქონდათ და ზამთრის საძოვრებადაც იყენებდნენ.

ეს ოთხი სოფელი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, განაშენიანებით, სამეურნეო, ყოფითი და სანათესაო ურთიერთობით იმდენად ერწყმის ერთმანეთს, რომ განუყოფელ ერთ დიდ სოფლად და ადმინისტრაციულ ერთეულად მოიაზრებოდა ყოველთვის. აქ ოდითგანვე გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობდნენ. ყველაფერში მაღალი კულტურა და პენი ეტყობოდა მათ ნახელავს. კობტა ოდა-სახლებით, მოვლილი ბალ-ვენახებით, ულამაზესი ბუნებით, ასწლოვანი ტყეებითა და ნადირ-ფრინველით მდიდარი კუთხე ყოველთვის იქცეოდა მნახველთა ყურადღებას. უცხოელი მოგზაურები, უდიდესი შთაბეჭდილებით აღვსილნი, ხაზგასმით მიუთითებენ აქაური ადამიანების სტუმართმოყვარეობის, თავაზიანობისა და კულტურის მაღალ დონეზე, რწმენისა და მამულისადმი განსაკუთრებულ ერთგულებასა და თავდადებაზე. ბუნების სიუხვსა და სიკეთეს თითქოს აქ მოუყრია თავი.

ამ ადგილებში ბლომად გვხვდება არა მხოლოდ გვარისა და რეგიონისათვის, არამედ ქვეყნის ისტორიისათვის ღირებული ფაქტი და მოვლენა, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებისათვის ნაკლებადაა ცნობილი და საფუძვლინ შესწავლას მოითხოვს. სამწუხაროდ არ გაგვაჩნია სხვადასხვა პერიოდისათვის ცნობები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მიგრაციის პროცესებზე, გვარის ფორმირებაზე, აჭარის თავადათა საოჯახო სიებზე და ასე შემდეგ.

ნაკაშიძეების საგვარეულო ციხე-სიმაგრე სოფელ ქოსოფელში, რომელიც გზათა შესაყარზე მთელს ხეობას გადმოჰყურებდა ზემოდან, მნიშვნელოვან სტრატეგიულ ციტადელს წარმოადგენდა. მისი ნაშთები და ნაომარი ადგილები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ბევრი ბრძოლა აქვს გადახდილი ამ ადგილებს. ნგრევა და აღორძინება მისი მუდმივი ხვედრი ყოფილა. ნაშთების მასშტაბები და სიდიადე თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ აქ ერთმანეთზე მიყოლებით ორი ციხე არსებულა. სახელწოდებებით ზედა და ქვედა ციხე (ღრმად მოხუცებულებში დღესაც შემორჩენილია ამ სახელწოდებათა თურქული ინტერპრეტაცია - „ზედა ნაყულევი“, „ქვედა ნაყულევი“). ამ კუთხისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ქალაქ ბათუმიდან 25 კმ-ზე და ზღვის დონიდან 500 მეტრზე მდებარეობს. მასზე გავლით, სამხრეთით, აჭარისწყლის ხეობიდან მაჭახლის ხეობაში გადადის უმოკლესი სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომელიც სოფელ კირნათის გავლით, მდინარე ჭოროხის აყოლებით: ბორჩხა, ართვინი, ტრაპიზონის მიმართულებით უმოკლეს გზას წარმოადგენდა.

გადმოცემით, თამარ მეფეს ამ გზით, მახუნცეთის თა-

ლოვანი ხიდის გავლით (მას დღესაც თამარ მეფის ხიდს ეძახიან) უმოგზაურია მაჭახლის ხეობაში და იქედან ტაოკლარჯეთში გადაბძანებულა. სხვათაშორის თამარ მეფის დაკრძალვაზე აქაურ წარმომადგენლებსაც მიუღიათ მონაწილეობა. მემათიანის გადმოცემით მილისელს მეფე-დედოფლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსიც წაუკითხავს.

დღეს არავის შეუძლია ზუსტად აგვიხსნას, რომ რატომ ეწოდება სამხრეთით მოსაზღვრე მთაგრეხილს „მთავარანგელოზის მთა“. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს არის ის ადგილები, სადაც ქრისტიანმა მოციქულებს საქართველოში შემოსვლის შემდეგ გონიოდან ზემო აჭარის მიმართულებით გაუვლიათ, დიდი ხნით შეუსვენიათ და ლოცვაც აღუვლენიათ ზეცაში. შემდგომში მწვერვალზე ბერ-მონაზვნების სალოცავიც აღუმართავთ, რომელიც თურქების შემოსევის შემდეგ, ციხის აღმოსავლეთით მდებარე საგვარეულო ეკლესიასთან ერთად გაუნადგურებიათ.

იშვიათი და მეტად საინტერესო შემთხვევებიც ახსოვს ამ ადგილებს. XIX საუკუნის 80-იან წლებში გაზეთი ივერიის რედაქცია გამოხმაურებია ასეთ მოვლენას: ქოსოფელსა და ნამლისევი გაჩენილა შინაურ პირუტყვზე მონადირე უცხო ნაკვალევის მქონე მტაცებელი ცხოველები. მხეცები პირუტყვს ანადგურებდნენ. ჩასაფრებულ მონადირეებს ამ ადგილებისთვის უჩვეულო მხეცები, ვეფხვები შერჩენიათ ხელში. ერთი ადგილზე მოუკლავთ, ხოლო მეორე, ერთი კვირის შემდეგ მალაკონის ტყეში. ერთი მათგანის ტყავი დიდხანს ამშვენებდა თავადის დარბაზის კედელს.

მოთარეშე მტრისა და ჭირიანობის დროს გაპარტახებული მეურნეობის აღდგენა-გაცოცხლებას მთელი მონდომებითა და გულმოდგინებით შესდგომია ალექსანდრე, მაგრამ არ დააცადეს, ღალატს ემსხვერპლა. მამის გარდაცვალების შემდეგ ქეთევანი შვილებითურთ ქოსოფელში დამკვიდრებულა. მისი აზრით სიფრთხილე გამოუჩენია და მოსახლეობის აღწერის დროს შვილები საკუთარ გვარზე ჩაუწერინებია, (თურქულად-გვარელოლი), რაც შემდგომ თაობებს დიდხანს აწუხებდათ. მხოლოდ 900-იანი წლების დასაწყისში დაბრუნებინა ძირძველ საკუთარ გვარს – ნაკაშიძეს.

განსაცდელი და ძნელბედობა არც ალექსანდრეს შთამომავლებს მოკლებიათ. ურჩობისათვის XIX საუკუნის დასაწყისში თურქებს მთლიანად გადაუბუგავთ ნაკაშიძეების ციხე-სიმაგრე, ხოლო განახლებული და აღორძინებული, პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთ-თურქეთის ომს შეუწირავს. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ასპარეზზე წარმოჩინდნენ ძმები ისაკ და შაქირ ნაკაშიძეები (ისაბეგი და შაქირბეგ ნაკაშიძეები, როგორც ოფიციალურ წყაროებში მოიხსენებენ). რუსეთ-თურქეთის ომის დროს ფრონტის ხაზს მათ სოფელზე გაუვლია. მოსახლეობის დიდი ნაწილი და მათ შორის თავადების ოჯახებიც ლტოლვილად თურქეთში გადასულან. ხელუხლებლად დარჩათ ყველაფერი.

თურქეთში ლტოლვილებს გაჭირვებისა და სიძნელეების მიუხედავად მუდმივად მიპყრობილი ჰქონდათ თვალის და გონება სამშობლოსაკენ. იმ დროს თურქეთში ფორმირებულ ქართული ლეგიონის მეთაურ კერესელიძესთან დაუმყარებიათ კავშირი და თვითონ, ისაბეგ ნაკაშიძე ლტოლვილთაგან შექმნილ ერთ-ერთ რაზმსაც ჩადგომია სათავეში.

ოთხნობიანი ლტოლვილობიდან დაბრუნებულებს, ნაცარ-ტუტად ქცეული და იავაქმნილი დახვდათ ყველაფერი. ისევ რუდუნებით შედგომიან ნაფუძვნარზე ახალი ცხოვრების შენებას. ნანგრევებზე, შედარებით მცირე ზომის ორსართულიანი ოდა-სახლის აშენება კვლავ მოახერხეს, რო-

მელიც დღესაც ამაყად გადმოჰყურებს ხეობას.

ბედისწერას სად არ უტარებია ნაკაშიძეთა გვარის წარმომადგენლები. უცხოობაშიც უხარებით სიკეთის ნერგი და საინტერესო ცხოვრებით უცხოვრიათ. ყველგან ნათელი კვალი დაუტოვებიათ. არაიშვიათად დრამატული ბედიც რგებიათ, მაგრამ სულით არ დაცემულან. აჭარის რეგიონში ჩანან მათი რაოდენობითაც. სხვადასხვა დროს ნაკაშიძეთა წარმომადგენლებს უღვანიათ მრავალ სფეროში. 900-იან წლებში ქალაქ ბათუმის თვითმმართველობაში ამ გვარიდან ორი დეპუტატი ირიცხებოდა. ძმები ისა-ბეგ და შაქირ-ბეგ ნაკაშიძეებიც აქტიურ ქალაქურ ცხოვრებაში აღმოჩნდნენ ჩაბმულნი. ზღვის პირას, ნავსადგურის ახლოს საკუთარი რესტორანიც ჰქონიათ გახსნილი, სადაც პერიოდულად იკრიბებოდნენ ქალაქის მოწინავე პიროვნებები და ბჭობდნენ იმ პერიოდისათვის საჭირობოროტო საკითხებზე. მათ შორის ყოფილან გურული ნაკაშიძეებიც, რომლებთან ახალი ძალით განუახლებიათ სანათესაო კავშირები. განსაკუთრებით ახლო და ბიძაშვილური ურთიერთობა აკავშირებდათ, იმ პერიოდში, ბათუმში მოღვაწე კომერსანტსა და ქველმოქმედ მიხეილ ნაკაშიძესთან. სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ ნაკაშიძეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აჭარის რეგიონის დედა სამშობლოსთან დაბრუნებისა და საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში. დიდი ღვაწლი მიუძღვით თურქული ორიენტაციისაგან აჭარლების გათვითცნობიერებისა და თურქ ემისრებთან ბრძოლაში.

უთანასწორო და უკომპრომისო ბრძოლები, ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ ფარული, დიდ მსხვერპლსა და რესურსებს იწირავდა. ასე იყო თურქეთის 300-წლიანი ბატონობის დროს, ასევე გაგრძელდა რუსების შემოსვლის შემდეგ და არც ბოლშევიკების პერიოდში დადგომიან სიკეთე.

წლები დასჭირდათ ცხოვრების რიტმში ჩადგომისათ-

ვის, ძალა და მხნეობა მოუკრებიათ, მაგრამ, ახლა კომუნისტებმა ამოიღეს თვალში. ჯერ გააკულაკეს, შემდეგ კი დევნისა და რეპრესიების ობიექტად აქციეს. 1937 წელს ისაბეგი დაიჭირეს, როგორც მავნებელი და ხალხის მტერი. ისე, როგორც მრავალი სხვა, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ციხეში მალევე დახვრიტეს. მისი საფლავი დღესაც არაა ცნობილი. იმ დროს აჭარაში გამომავალი გაზეთი „ფუზარა“ მთელ გვერდებს უძღვნიდა ისაბეგის ბრალდებებს რუბრიკით: „ისაბეგ ნაკაშიძის მზე ჩაყვანა“, „ისაბეგ ნაკაშიძის პარპაშს ბოლო მოელო“, ხოლო მისი ძმა შაქირ ნაკაშიძე მეუღლის მოხერხებულობამ გადაარჩინა, რომელმაც, ფაქტობრივად, დაპატიმრებული ხელიდან გამოსტაცა უშიშროების წარმომადგენლებს და დიდხანს მალავდა ტყეში.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურდა საგვარეულოს გაერთიანების პროცესი. 2000 წელს შეიქმნა საგვარეულოს კავშირი „თავადი ნაკაშიძე“. რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში ბევრ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. აღდგა ციხისფერდის საგვარეულოს ეკლესია. ყოველწლიურად 21 სექტემბერს და სხვა რელიგიურ დღესასწაულებზე აქ იკრიბებიან ნაკაშიძეები სხვადასხვა კუთხიდან. აჭარიდანაც ბლომად ჩამოდიან ოჯახის წევრებითა და ნათესავებით, ინათლებიან და მამა-პაპათა რელიგიას უბრუნდებიან.

გვჯერა, რომ დღევანდელი კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვან ფურცლად ჩაინერება ნაკაშიძეთა ისტორიაში. ბლომად გვყავს გვარის სანაქებო, ცნობილი, გამორჩეული საზოგადო და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერები, პატიოსანი, გამრჯე ადამიანები, რომლებსაც საკუთარი უმნიშვნელო წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში.

რევაზ ნაკაშიძე




წმინდა დიდმოწამე ბარბარე III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. მამისი დიდგვაროვანი წარმართი იყო, რომელსაც სახელად დიოსკორე ერქვა. იგი მალე დაქვრივდა. მამამ ერთ ულამაზეს ბაღში შვილისათვის საგანგებოდ ააშენა

მალალი კოშკი, სადაც წმინდა ბარბარე უცხო ხალხისაგან მოშორებით იზრდებოდა. ღვთის განგებით, მან გაიცნო ქრისტიანი თანატოლები და მათგან ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შეიტყო. წმინდა ბარბარემ აღიარა იესო ქრისტე და მამისაგან ფარულად მოინათლა. როდესაც დიოსკორემ შვილის გაქრისტიანება გაიგო, ისე განრისხდა, რომ მამობრივი სიყვარული სულ დაავინწყდა და შვილი მოსაკლავად გაიძეა. წმინდა ქალწული თავისი ხელით მიჰგვარა ქალაქის

მმართველს, რომელიც არ დასჯერდა წმინდა ბარბარეს წამებას და ბრძანა, ქალიშვილი შიშველი გამოეყვანათ ქალაქში, მაგრამ ამ დროს სასწაული მოხდა – წმინდა ქალწულის სხეული ზეციურმა ნათელმა შემოსა, ამის დანახვაზე გონებაგადაბნელებულმა მამამ საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერთადერთ შვილს, დიოსკორე და ქალაქის მმართველი იმავე დღეს დაისაჯნენ ამ საშინელი საქციელისათვის – ისინი მეხმა ფერფლად აქცია.

წმინდა ბარბარე განსაკუთრებით ბავშვების მფარველად ითვლება. მართლმადიდებელი ეკლესია ქალწულმონაწამე ბარბარეს ხსენებას 17 დეკემბერს აღნიშნავს. 19 დეკემბერი წმინდა ნოკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების დღეა.



წმინდა გიორგის ლომისკარელის ხაზის ისტორია

უძველესი დროიდან დასახლებული მთაგორიანი სოფელი შუა სურები გაშენებული მდინარე სუფსის ხეობის შუანელის ორივე სანაპიროზე, მდებარეობს მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 17 კმ-ის დაშორებით. დასავლეთით ესაზღვრება სოფელი დიდი ვანი, აღმოსავლეთით სოფელი ზემო სურები. ჩრდილოეთით ვანის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით სოფლები ნაბელავი და დიდი ვანი. სოფლის ტერიტორიაზე აღინიშნება ნასახლარების არსებობა. სავარაუდოდ სოფლის პირველი მცხოვრებლები ემსხვერპლნენ ეპიდემიასა და ტყვეთა მტაცებლობას. აუტანელი იყო მოსახლეობის მდგომარეობა, ღამე არ გავიდოდა, თათრებს არ აენიოკებინა სოფელი, თავდაცვის საშუალებად სურებლებს ორმოები ჰქონდათ გათხრილი. მტრის მოახლოებას თუ შენიშნავდნენ, მიაშურებდნენ თავშესაფარს. თურქი ყაჩაღები ძარცვავდნენ და ისედაც მცირე ქონებას უნიავებდნენ.

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს თქმულებები, ერთ-ერთი ვერსია ასეთია:

„ბატონისაგან გაქცეულ ყმა ესეს, მდევარი ვერ დაენია, ბატონს ამბავი ჩამოუტანა, ვეძებთ მდინარე სუფსის გაუვალ ხეობაში „სულ-ურებ“ ადგილას, კვალში ჩავუდექით, მაგრამ ვერ დავიჭირეთ“. (ყმა ესე, სადაც ცხოვრობდა, იმ ადგილს დღესაც „ესეს გორას“ ეძახიან).

სიტყვამ სულ-ურები განიცადა ცვლილება, სიტყვის ფუძიდან ამოვარდა „ლუ“ და მივიღეთ სიტყვა „სურები“.

სოფლ სურების ტერიტორია, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, იყო დიდი, გამოყვეს ერთმანეთისაგან სოფლების ქვემო სურების (დიდი ვანი), შუა სურებისა და თავსურების სახით.

სოფელ შუა სურებს სახელწოდება მისი გეოგრაფიული

მდებარეობის გამო მიეკუთვნა. (მდებარეობს სოფლების დიდი ვანისა (ქვემო სურები) და ზემო სურების შუა).

გადმოცემით პირველი მოსახლენი იყვნენ გვარად ხაბეიშვილები. ძირითადად ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: შათირიშვილები, ბერიშვილები, ტრაპაიძეები, თევზაძეები, ლავკილაძეები. სოფლის ტერიტორიაზე მდინარე სუფსის პატარა შენაკადია ჟავის წყალი, მარცხენა შენაკადია აგაშის წყალი, რომელიც „ქვაბსაქცევის“ ქედზე იღებს სათავეს.

რელიეფის მიხედვით სოფლის ტერიტორია საშუალო სიმაღლის მთიანი ზონაა. უმაღლეს მწვერვალს წამოადგენს მთა „ჯვარი“, მთის სიმაღლე ზღვის დონიდან 1400 მეტრს უდრის.

მთები დაფარულია ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის ჯიშებით. სოფელ შუა სურების ტოპონიმებია: ნასახლევა, ლეღვეთა, ნაჭიანები, ცეცხლკლდე, ქვაბსაქცევი, ზვარისწვერი, კოკოცა, საჩიტია, დობირო და სხვა.

„ზახტოურას“ გორაზე სოფლის ცენტრიდან 2კმ-ის დაშორებით იდგა წმინდა გიორგის ეკლესია (ზომით პატარა შედარებით, მანამ ახალი აშენდებოდა), ეს პატარა ეკლესია იყიდა სოფელ ქვემო სურების „გადაღმა დობიროს“ მოსახლეობამ ეკლესიად. ზახტოურას გორაზე 1893 წელს ააშენეს, ხის ძალიან ლამაზი ეკლესია, ასევე ხის ძალიან ლამაზი სამრეკლოთი, ეს ეკლესია ისტორიას შემორჩა „ლომისკარელის“ სახელით. ეკლესიიდან 3 (სამი) ვერსის დაშორებით მდებარეობდა უახლოესი ეკლესია.

ეკლესიაში დაბრძანებული წმინდა გიორგის ხატი, დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული იყო ლომისკარელის სახელით, (ხალხმა სასწაულმოქმედი ხატის ძლიერება, ლომს შეადარა და ლომისკარელი შეარქვა). ხატი



სხვა ხატებთან შედარებით, ფორმითაც დიდი, ჩასმული ოქროსვარაყიან ძვირფასი სამკაულით მოჭედილ ჩარჩოში, უმთავრესი და უძლიერესი, მომლოცველებისათვის იმედის მომცემი იყო. წმინდა გიორგის ხავერდის ნითელი პერანგი ეცვა. შუქის ცვალებადობაზე სახე ზებუნებრივ შუქს ასხივებდა. სოფლის და არა მარტო სოფლის მოსახლეობისათვის, არამედ გურულებისათვის ხატი იყო ხელი-ხელ საგომანები წმინდა რელიქვია. უამრავი თქმულება არსებობს ხატთან დაკავშირებით. ლომისკარელი სიმბოლო სინდისის, სიმართლის, რწმენის, სიყვარულისა და სიკეთის. თავის მხრივ პატივისცემას, შიშს და ერთგულებას იმსახურებდა, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და ყვაოდა, როგორც ათასწლოვანი ხე „ხატისა“.

ლეგენდა გვიყვება „ქვესკნელიდან ამოძვრა ყაზანდევი, კლდე წინინათაზე ნადირთა მეფეს გამოსტაცა აღმასის თვალი და თვით გახდა მეფეთ-მპყრობელი, დევს დიდხანს ედო კლდის უბეში აღმასის თვალი და რალაც ამ თვალზე ძვირფასი. გამოჩნდა ვინმე ლომკაცა რაინდი, რომელმაც დაამარცხა დევი, ხელთ იგდო აღმასი და ძვირფასი განძი, ხატი გმირისა (წმინდა გიორგის) აიტანა ზახტოურას გორაზე, ააგო ხატისთვის საყდარი. აქ „სულურებ“ ადგილას გაჩნდა ახალი სიცოცხლე „ლომისკარელის“ სახელობის საყდარი.

გვალვინი გაზაფხული დადგა, აპრილი იწურებოდა, მოსახლეობა ვერ ახერხებდა მიწის დამუშავებას, სოფლის, რამდენიმე თავკაცი შეიკრიბა, მივიდნენ ეკლესიაში წინამძღვარს ბლალოჩინ მღვდელს, ნიკო რამიშვილს სთხოვეს „განვბანოთ ლომისკარელი, წყალში შევევედროთ, იგი სულგრძელია, შეისმენს ჩვენს გასაჭირს და წვიმას მოგვივლენსო“, ჩააბრძანეს ხატი მდინარე მორწყალას ნაპირთან, წაიკითხა მღვდელმა ლოცვები, ხატი დაასველეს მდინარის წყლით. წმინდა გიორგის მადლითა და ძლიერებით, სასწაული მოხდა, ღამით განვიძა.

ხატთან დაკავშირებით, სასწაულების შესახებ ხალხში გადადიოდა და მრავლდებოდა თქმულებები. ოზურგეთიდან მოიყვანეს ცხენზე შემჯდარი ბრმა. უამრავი ხალხი მოყვებოდა, ჭირისუფალი, მორწმუნეც და „სეირისმოყვარეც“. ბრმა ხატთან მიიყვანეს, მღვდელმა ლოცვები წაიკითხა, კვლავ ერთი სასწაულის მოწმე გახდა იქ მყოფნი, ბრმას თვალი აეხილა. დაუწყეს ბრმას კოცნა და მილოცვა, სიხარულისაგან ყველა ტიროდა (ირაკლი ტრაპაიძის მოგონება).

სასწაულების ნახვის შემდეგ უფრო იზრდებოდა ხატი-სადმი პატივისცემა და მოკრძალება, ღრმავდებოდა სიყვარული და იმედი.

სოფელ ნაბელავში მკვლევობა მოხდა, სანადიროდ წასულმა მეზობელმა მოკლა მეზობელი. საქმე გამოუძიებელი რჩებოდა, უდანაშაულოს ბრალდებოდა მეზობლის სიკვდილი. ბრალდებული სოფელ შუა სურებში ფეხით წავიდა, წმინდა გიორგის დახმარება შესთხოვა. მღვდლისგან კურთხევა აიღო. მეზობლების დახმარებით ხატი გადააბრძანა სოფელ ნაბელავში, მიაბრძანეს მკვლევობის ადგილას, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, უდანაშაულომ დაიფიცა ხატის წინაშე, რომ მას მკვლევობა არ ჩაუდენია, დამნაშავემ ვერ გაუძლო ხატის ყურებას და დანაშაული აღიარა.

ზემთთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხატთან დაფიცებას ძნელად თუ გაბედავდა ვინმე. ლომისკარელისთვის მიჰქონდათ შესანიშნავი, მოჰყავდათ საკლავი, ძალიან

დიდ პატივს სცემდნენ წმინდა გიორგის. შესანიშნავი მრევლსაც აპურებდა.

გურიის ყოვლისშემძლე კომიტეტს (1905 წელი) არ მოსწონდა ხალხის დამოკიდებულება ხატისადმი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა მათ სანინალმდევოდ ღვთის შიში და სიყვარული იყო, რომელიც ღრმად იყო გამჯდარი ხალხში. გადანყვიტეს ბლალოჩინი მღვდელის, ნიკო რამიშვილის მოშორება და ლომისკარელის ზედ მიყოლება. მთავრობა და ახალთაობის „ყოლოჩინები“ ყველანაირად ცდილობდნენ, ხალხში შეერყიათ რწმენა ღვთისა, ჩაენერგათ შიში, რადგან მოსახლეობაში ხატის პატივისცემა დაკარგულიყო. პოლიტიკურმა არეულობამ სოფლის მოსახლეობა დააბნია და ხატის იმედად იყვნენ.

პროფესორი მ. გოგიბერიძე წერდა: „ძველს გურიაში ქრისტიანული სარწმუნოება მტკიცე ყოფილა. წარსულ საუკუნეში გურულებს ქრისტეს ჯვარი ერთგულად და ვაჟკაცურად რომ არ ეტარებინათ, ხმალთან ერთად ისიც, რომ მუდმივ ხელთ არ პყრობოდათ, ვერც გურიას შეინარჩუნებდნენ და ვერც ქართველებად დარჩებოდნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო პატივისცემა ლომისკარელის ხატისა. ლომისკარელზე გადაცემა დიდს უბედურებად ითვლებოდა, ლომისკარელის ხატზე ნათქვამ ფიცს ძნელად თუ გატეხავდა გურული. ლომისკარელი ხშირად უფრო ძლიერი ყოფილა ვიდრე ამოცდილი გამომძიებელი. ბევრი ყოფილა შემთხვევა ლომისკარელის წინაშე ბოროტმოქმედს ხშირად უღიარებია დიდხანს ნამალევი საიდუმლოება. 1905 წელს გურიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ღმერთი ლომისკარელისა და სინდისი ახალთაობისა. ახალთაობის კაცებმა გადანყვიტეს ანგარიში გაესწორებინათ ლომისკარელთან“.

მღვდელი ნიკო რამიშვილი ვერაგულად მოკლეს. ჯერი ლომისკარელზე მიდგა ეკლესიაში ფარულად შეაგზავნეს რამდენიმე კაცი ხატის გასატაცებლად, გამტაცებლებმა ვერ შეძლეს დავალების შესრულება, ხატს სანთლები დაუწეთეს, შენდობა სთხოვეს და უკან გამობრუნდნენ.

მთავრობის გეგმა შეიცვალა და უფრო ვერაგული გახდა. დიდი მარხვის პირველი კვირის ერთ დღეს ხატი სოფელ ბუკისციხეში ჩააბრძანეს, რაფიელ შარაშიძის ეზოში დააბრძანეს, თავი მოუყარეს არა მარტო ამ სოფლის, არამედ ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობასაც. აიძულეს, ხალხი სათითაოდ მისულიყო ძლიერ ლომისკარელთან და აზრი გამოეხატათ, თავისი პოლიტიკური შეხედულებები ელიარებინათ. საკუთარი თავი და შვილები „გასცა“ მშობლებმა, ქმრები ცოლებმა, ვერ გაბედეს ტყუილი, ხატის მიმართ მოსახლეობას სამწუხაროდ ბოროტი შიში გაუჩნდა. მეფის მთავრობამ სანადელს მიაღწია, ლომისკარელის მეშვეობით გააკეთეს, რაც სურდათ. ხატი ისევ თავის ადგილს დაუბრუნეს.

ღამით სავარაუდოდ გიორგი ძნელად, კაპიტო გოჯასპირის ძე სანიკიძე, გიორგი ივანეს ძე ბარამიძე მიადგნენ ეკლესიის ეზოს, მცველმა წინააღმდეგობის განწევა ვერ შეძლო, ხატი გაიტაცეს, სოფელ შუა სურების ტყეში აიტანეს, დაშალეს, გაძარცვეს, წმინდა გიორგის სახე დაწვეს.

ხმა ხატის შესახებ, სწრაფად გავრცელდა. ვერაგი განზრახვა ასრულდა, ხალხი ეკლესიას ჩამოშორდა.

1921 წელს ეკლესიის შენობა დაშალეს, ჩაიტანეს სოფლის ცენტრში, ააშენეს სოფლის კლუბად – (სავარაუდოდ ეკლესიის შენობის იერ-სახე უცვლელია).

ნ. კალანდაძე.

იქნებ, შევძლოთ სურების გადაჩენა...

1930 წლის 7 დეკემბერს, დღის 3 საათზე, პარიზში ჯებირს ამოფარებულმა ქართველმა ემიგრანტმა პარმენ ჭანუყვაძემ ესროლა ემიგრანტთა კრებაზე მიმავალ ნოე რამიშვილს. გასროლა სასიკვდილო აღმოჩნდა. მკვლელი ციხეში გარდაიცვალა.

2015 წლის 7 დეკემბერს ნოე რამიშვილის მკვლელობიდან 85 წელი სრულდება. ახალ ზელანდიაში მცხოვრები ნოე რამიშვილის შვილიშვილი, მიშელი მონდომებულია დიდი წინაპრის ფუძეზე დაბრუნდეს და თავისი ოჯახით იქ იცხოვროს.

რბ ისი, ეშმაკს სა სძინავს?

დიდი ვანის და შუა სურების საზღვარზე, ქვაბჯარაში, ბაბუას კოლექტივის ყანა ჰქონდა გაპიროვნებული. სადილი ავუტანე. ბლის ტყავისაგან დაწული ჩანთიდან სითბოშერჩენილი ლადრის კვერი და ბაბილოში გახვეული ყველი ნიფლის ფეროზე დავანყვე. „ნარე კვახით“ საცივის წყალიც მოვარბენინე.

ღელის გაღმიდან ხმამალალ ლაპარაკში არეული სიცილი და თოხების ჩახა-ჩუხი მიწყნარდა. მერე ისეე ახმაურდნენ. ნადურს „ნემსის ყურში გაყვანილი“ (გრიგოლ სალუქვაძე) კრიმანჭული მოყვა.

- ნადი ყავენ რამიშვილებს, - კვახის წყლით ხელები გადაიბანა ბაბუამ და ჩიბუხი გაანყო.

- კვესით ანთებული აბედის სუნი გიგრძენიათ? არა? არც ნასადილევს ყანაში შებრუნებული ნადის ვაჟკაცობაზე ნათქვამი სიმღერა გსმენიათ? ამის უკეთესს რას გეიგონებს ყური, - ჩიბუხი ხელის გულზე დაიფერთხა ბაბუამ, წამოდგა და თოხი აიღო.

გალმა ბულარეს ამბავი ჩაათავა ნადმა.

ჩანთა ავიღე და... უცებ

**ესესქედის თავზედაო,
ქარი გიქრის თმაზედაო,
იქ ოტიე დაგიხვებოდა,
ხმალს შემოგკრავს თავზედაო...**

- ვინაა, ბაბუა, ოტიე?

- როვაც ბულარე იყო გუბაზოულისკენ, ისე იყო, აქანე, სუფსის ხეობაში ოტიე. დათიკო ქვიოდა მამამისს. ნემეტარი მაგარი კაძახები იყვნენ მაგი შლეგიშვილები. ოსმალები რომ მოგვანვენ და ღამეს ხეზე ვითევდით, ოტიე და საბიე იგერიებდნენ მაგენს. საბიე უმცროსი ძმაი იყო ოტიეს, მარა ლექსებმა ოტიე უმფრო შემეინახა. ამფერ ხალხს ლექსი ინახავს, ბაბუა. კაცი კვტება და ლექსი რჩება. თუ იქნები, სალექსო კაცი უნდა იყო.

- შლეგი აბღალას ხომ ქვია, ბაბუა?



ნოე რამიშვილი

- ასეც იტყვიენ, მარა, ნემეტარი მაგარ კაცსაც ქვია შლეგი. ტყვიას რომ იქით მიასკტება. მტერს რომ არ მოუშინდება და მის ქვეყანას რომ დეიცავს, იმფერს. ნარჩევი ხალხი იყვნენ შლეგიშვილები.

- ახლა რაფერ არიენ?

- ახლაც კაი არიენ, ბაბუა, მარა ერთი რომ გამეერია, იმფერი ანი აღარ დეიბადება.

- რომელია მაი?

- ნოვე ქვიოდა, ბაბუა, ბალნობას კოჟორას ვუძახოდით, მოკლენ გრანიცაში.

- ვინ მოკლა?

- სტალინმა მოკლა, ბაბუა, მარა არ თქუო მაი სამე.

- სტალინის რომ არ ეშინიენ ახლა?

- კია მასე, მარა, რა იცი, ეშმაკს სა სძინავს.

სამკვდრო-სასისოცხლო ბრძოლის დასასრული?

მამინ ათი წლისა თუ ვიქნებოდი, იმ დღეს, ტყის ბილიკით ყანიდან მომავალს, ყველა ხის ძირში და შკერის ბურქებში დაძინებული ეშმაკი მეღანდებოდა. ახლა, შვიდ

ათეულს მოტანებული, ვხედავ, რომ იმ ბილიკებზე კი არა, სოფლის დედო გზებზე „ჩიტი კურკანტელას ვერ გეიტანს“, მაგრამ არც მძინარე და არც მღვიძარე ეშმაკი კაციშვილს არ უნახავს.

ამდენ ათეულში ბევრი რამ მანახა ცხოვრებამ. დავრწმუნდი, რომ ცხოვრება მართლაცაა ის კიბე, რომელზეც ზოგნი ადიან, ზოგნი ჩამოდიან. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამ კიბის ზემო, უმაღლეს საფეხურზე რჩებიან. ასეთები ძალიან ცოტანი არიან. ისინი არასოდეს მარცხდებიან.

განგებამ ერთი დიდი საჩუქარი მიბოძა ადრეული ბავშვობიდანვე, - მუდმივი შეხება მქონდა საქართველოს ისტორიის ერთ უდიდეს, მარადიულ თემასთან - ვინ იყო ნოე რამიშვილი?

მისი ბიოგრაფია 70 წლის მანძილზე არ არსებობდა ქართველი ბავშვებისათვის. უბრალოდ, არცერთმა ბავშვმა არ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი, მაგრამ ბევრმა იცოდა, მამა, ბაბუა, ბიძა რომ გაუციმბირეს. რატომ? - არავინ კითხულობდა უფროსების გავლენით. მე, სურებელს, ნოეს დის, მართას ეზოსთან გაზრდილს (ეზოსთან იმიტომ ვამბობ, რომ ჩემს ბავშვობაში საშიშად და „საბრძენლადაც“ კი ითვლებოდა იმ გავერანებულ ეზოში შესვლა), არავინ არაფერს მეუბნებოდა ამ, თურმე ბუმბერაზი ხალხის შესახებ. მაგრამ რაც დამალულია, უფრო ხმაურდება და მეც, უფროსთაგან ნამალევად მოსმენილი, ძალიან ბევრი რამ გავიგე ამ ტაბუდადებულ თემაზე.

არავითარი ეშმაკი! სტალინური რეჟიმი არასოდეს იძინებდა და გაუგონარი სისატიკით სპობდა ყველაფერს, რაც იმ კაცს უკავშირდებოდა, ვინ გაბედა ჯულაშვილთან პოლემიკაში შესვლა. გამარჯვების აღიარება და ხელდახელ შეტაკებაც კი. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო და ნოე რამიშვილის სიკვდილამდე გაგრძელდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვობიდან მამინაცვლისაგან განამებულ-გაბოროტებული სოსო ტერორიზმის მომხრე გაიზარდა, დიდი განმანათლებლის და საზოგადო მოღვაწის, ისიდორე რამიშვილის მოსწავლე და ოტიე შლეგის ნაშიერი თავისუფლებისა და სიმართლისათვის მებრძოლ მამულიშვილად.

ნოეს მკვლელობამ მალევე დაანახა სისხლიან ტირანს,



ღამა ნუცა და აკაი რამიშვილები



რომ ბრძოლა არ დასრულდებოდა, ეს კაცი არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა საბჭოეთისთვის სიკვდილის შემდეგაც.

საიდან ეს სიმატელი და სიდიადე?

ნოე რამიშვილის სიმატელს და სიდიადეს სხვა უდიდესი საფუძველიც ჰქონდა. მისი დედა იყო ოზურგეთელი მგელაძის ქალი. იგი სურებში იშვიათი მზითვეთი შემოვიდა, ეს „ვეფხისტყაოსანი“ იყო. ექვსივე შვილს დედამ სახლშივე ასწავლა წერა-კითხვა და შეაყვარა წიგნი. დედამ „ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთ ქალიშვილს, მართას ამზითავა, როცა იგი შუა სურებში ნესტორ ბერიშვილზე გაათხოვეს.

წიგნი არ იყო! რამიშვილებმა ალილოთი ხარ-ურმით ჭიათურამდე იარეს და შემოწირული ფიცით წიგნები შეიძინეს, ნათხოვარ ოთახში ბიბლიოთეკა გახსნეს. დიდი ვანი, ერთ-ერთი პირველია გურიაში, სადაც სკოლა გაიხსნა.

სხვა ვინ შეძლება?

არ ვიცი, ვინ აიღებს თავზე და ვინ შეძლებს ნოე რამიშვილის ცხოვრების გზის სრულად შესწავლას, მით უმეტეს, მაშინ, როცა მთელ გურიაზე და განსაკუთრებით სურებზე „გასიანებული“ ტერორისტული რეჟიმი ყველანაირი ხერხით ეცადა, მოესპო ყველაფერი, თვით მინამი ჩარჩენილი პანია ფესვიც, მაგრამ მაინც დარჩა ოზურგეთის სასულიერო სემინარია. იურიევის და ლაიფციგის უნივერსიტეტები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა, დაპატიმრებები, ეტაპით მიმავალის გაქანებული მატარებლიდან გადახტომა და გაქცევა, კრისტალური პატიოსნებით ცხოვრება, ხურჯინგადაკიდებული მამის სურებიდან თბილისის მალი-მალ სტუმრობა და ამაყი შეძახილი, – „მე გარჩენ, მინისტრო!“

ვიკითხავ, – გვყავს კიდეც სხვა კაცი, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავმჯდომარე? ვინ შექმნა პირველი დემოკრატიული მთავრობა? ვინ შეძლებდა სხვა, თუ არა ნოე რამიშვილი, ერთი წლის შემდეგ ეს უპირველესი პოსტი გადაეცა ნოე ჟორდანიასთვის სამომავლო კონფლიქტის აცილების მიზნით?

გენიალური წიგნი, პირველი გზა და ცარიელი ბიუჯეტი 2012 წელს გამოვიდა გელა სულაძის წიგნი „ქართული ემიგრაცია და სპეცსამსახურები“. – ტიტანური შრომის შედეგია ეს წიგნი, რომელიც ჯერ მათხოვა, მერე კი, ნამეტანი რომ შემეხარბა, შევეცოდე და მაჩუქა მურმან რამიშვილმა. უზომოდ დიდი მადლობა თქვენ!

მეცოდება ყველა ქართველი და მით უფრო გურული, ვისაც ეს წიგნი არ წაუკითხავს. რას იზამთ, გურულო ბიზნესმენებო! ხელახლა აუხელთ თვალს „გაძეძენილი“ სუფრის პირველ სადღეგრძელოს და სიმღერას გურიაზე, თუ...

არა, გზაზე არაფერს ვამბობთ. ისე, მინდა ყველამ იცოდეს, რომ სურებელმა მაკარ კიკვაძემ მიაკითხა ნოეს და გზის გაყვანა სთხოვა. შენუხდა მინისტრი, დიდხანს ფიქრობდა. ბიუჯეტი ცარიელია, მაგრამ სამშენებლო მასალებით დავინწყითო. მეორე დღეს მაკარმა ასაფეთქებელი

მასალა და სამუშაო იარაღები წამოიღო თბილისიდან და დიდ ვანში სარდაფში შეინახა. ნოე მალე ემიგრაციაში წავიდა. კაი ხნის შემდეგ მაკარმა და მისმა ბიძაშვილმა გზა აიყვანეს ხალხის თავგანწირული შრომით სურებში, მაგრამ კიკვაძეები 37-ში მაინც დახვრიტეს!

დუქნები, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი და ყველა სიკეთე ნოეს სახელს უკავშირდება.

„რა ვქნათ, რომ ბედი არ გვწყალობს“ სურებლებს და ჩვენ რომ მივადგებით, აგერ ათეული წლებია, მიზღვემჩი ცარიელია ბიუჯეტი? ან სადღაა ის ენთუზიასტი ხალხი, „კტეს რომ მოძრავდა“ უნინ? ახლა სიკვდილის ანუ გადაშენება-გაქრობის წინაშე მდგარ სურების სკოლებში შერჩენილი მოხუცები ჯორჯოდან ვერ აყენებენ ერთმანეთს.

მაგრამ არის საშუალება, რომლითაც შეიძლება უდიდესი მოვლენის, ნოე რამიშვილის ხსოვნა შეეუწახოთ შთამომავლობას.

ვის ეკუთვნის დედის რძე?

უკვე სამი წელია, ყოველ ზაფხულს, ახალი ზელანდიიდან 300 000 კილომეტრს გამოვივლის მიშელ რამიშვილი და ბაბუას მშობელ მინაზე ფეხს დაადგამს. ნოეს საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრისთვის არ ეცალა მაშინ. 49 წლის ვაჟკაცი უდიდეს საქმეებს აკეთებდა პარიზში. მისი უფროსი ვაჟი, აკაკი, 4 წლისა წაიყვანეს საქართველოდან. იგი 1999 წელს გარდაიცვალა და ვერ მოახერხა მამის ანდერძის შესრულება – ვერ ჩამოვიდა სამშობლოში. და ნოეს შვილიშვილმა შეძლო ეს.

შარშან ზაფხულსაც გვწვევია მიშელი, მოესიყვარულა სურების მინას, ნაბუხრალზე ამოსული უცნაური სილამაზის და სურნელის მქონე ყვავილები დაკრიფა და ლევილს წაიღო ბაბუას და მამის საფლავზე დასადავად.

ამ ნასახლარზე მემორიალური მუზეუმის მონყობა სურს მიშელს.

ჟურნალის ძვირფასო მკითხველო! ნოეს მამა, ბესარიონ რამიშვილი ხურო იყო. სახლებს აშენებდა და აივანს ყურძნის ბაბილოს და მტევნების ჩუქურთმით ალამაზებდა. ასეთი იყო მისი სახლიც, რომელიც ბერიას ბრძანებით დაშალეს, ჩოხატაურში ააშენეს და მილიციას გადასცეს.

მიშელ რამიშვილი პეპერას ხელშეწავლებ კედლებს ეძებს. ამბობენ, ეს სახლი გაიყიდაო. ვეძებთ მყიდველს, თუ შეთანხმება მოხერხდება, სამართალი აღვასრულოთ და ნოეს კერა ისევ გავაჩალოთ. გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ.

ეზოს შესასვლელში 200 წელზე მეტი ხნის წიფელი დგას. მისი ტოტების ქვეშ გაიზარდა ბესა რამიშვილის ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. იქნებ საყდრული მყუდროება დაარღვეს, იქნებ გახშირდეს უდანაშაულო დამნაშავეთა ეზო-კარი? თუ სახლს ვერ ვიპოვით, მაშინ უნდა შევძლოთ, სხვა სახლი ავაგოთ ნასახლარზე მუზეუმისთვის.

მალე მოვა დრო, გავიკითხოთ სურებლებმა, რა დავაშავეთ ისეთი, რომ ჩვენს მინაზე არა თუ სამასალე ხის, საშეშე, ბებერი თხმელის მოჭრის ნებაც არ გვაქვს საკუთარ ეზოში. „ურალები“, კი, გლეჯენ გზას და რატომ მიაქვს ჩვენი სიმდიდრე, ვერაფრით გაგვიგია – „ვის ეკუთვნის დედის რძე“.

იმედიანად გემშვიდობებით, ჟურნალის ძვირფასო მკითხველო და ვფიქრობ, თქვენს სიტყვას დროულად იტყვით სურების გადასარჩენად. ქართველებს ყველგან ყოველთვის გვაგვიანდება. არ დაგვაგვიანდეს!!!

იქნებ, ნოე რამიშვილის კვალზე დამდგარნი, განგებამ ისე დაგვლოცოს, რომ შევძლოთ ამ ულამაზესი, სხვათაგან განსხვავებული ისტორიის მქონე სოფლებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

რუსუდან ბერიშვილი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
30 ნოემბერი, 2014 წელი.



ექვთიმე თაყაიშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი – თაყაიშვილი წმინდანი და პრისკასი

ილია ჭავჭავაძის შემდეგ წმინდანობა ისე არ შეუღლებია და შეუ-სისხლხორცებია ერთმანეთში, როგორც ექვთიმე თაყაიშვილს. ჩვენ აქამდე მიჩვეული ვიყავით ერთ უღელში გაბმული ორი ღვთაებრივი სახელის წარმოთქმას – ილია და აკაკი. ახლა ჩვენში თანდათან მკვიდრდება მეორე ღვთაებრივი სახელი – ილია და ექვთიმე. თუ ილიამ იხსნა ქართველი ერი რომანოვების რუსეთის იმპერიული ბრწყალებსაგან, ექვთიმემ გადაარჩინა ბოლშევიკური რუსეთის ურდოებისაგან ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სულიერი საგანძური. ამიტომ შერაცხა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ერთიც და მეორეც წმინდანებად და ღვთისკაცებად. სიმბოლურია, რომ ისინი მთაწმინდის პანთეონში ერთმანეთის გვერდით განისვენებენ. ექვთიმე თაყაიშვილის წმინდა სახელი და ღვანლი დიდი ხნის მანძილზე იკრძალებოდა საბჭოთა რეჟიმის მიერ, თუმცა ყოველი ქართველი გულით ატარებდა მის სიყვარულს, თაყვანს სცემდა მის უკვდავ სახელს და „ჩუმის ნატვრითა“ ნატვრობდა იმ ბედნიერ დღეს, როცა ექვთიმეს სახელი სიღიადით ამობრწყინდებოდა.

გურამ შარაძე

ადრეული ბავშვობა, მშობლები

ექვთიმე თაყაიშვილი დაბადებულა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ლეხორში (ამჟამად ლიხაურს უწოდებენ).

ჯერ კიდევ თვითონ ექვთიმე შენიშნავდა მოგვიანებით დაწერილ თავის „ავტობიოგრაფიაში“ – ჩემი მეტრიკის მიხედვით, დავბადებულვარ 1863 წლის 5 იანვარს, მაგრამ შესაძლოა, ამაზე ერთი წლით მაინც უწინ ვიყო დაბადებული, ვინაიდან ჩვენში მეტრიკას მონათვლისას ადგენდნენ ხოლმე.

მამამისი იყო აზნაური სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილი, დედა – ნინო მაკვანეთელი თავადის, გიტული ნაკაშიძის ასული. მათ ოთხი შვილი შესძენიათ – ლისა, ნიკო, ვარლამი და სულ ნაბოლარა ექვთიმე.

ძალიან მოუსვენარი ბავშვი ყოფილა – სამი წლის იყო, როდესაც ხეზე ავიდა, ტოტზე ფეხი აუცდა, ჩამოვარდა და ისე მოიტეხა ფეხი, რომ კარგად ვეღარ შეუხორცდა და მთელი სიცოცხლე ხეიბრად დარჩა (მიუხედავად ამისა სწრაფი სიარული სცოდნია).

მამა ექვთიმეს დაბადების შემდეგ მალე გარდაცვლილა, ხოლო დედით 5 წლის ასაკში დაობლებულა.

სამი ობოლი ძმის – ნიკოს, ვარლამის და ექვთიმეს აღზრდა თავის თავზე აუღიათ ბებიას – საჯავახოელ შარაშიძის ასულ, დაქვრივებულ და შინ მობრუნებულ მამიდა მაკას, უფროს დას ლისას და მის მეუღლეს სიმონ გოთუას, რომელიც ობოლი ცოლისძმების მეურვედ დაუნიშნავთ.

ექვთიმე თაყაიშვილი – ოზურგეთისა და ფოთის სამაზრო სასწავლებლის მოსწავლე

7 წლის ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანიათ 1869 წელს და დაუსვამთ მოსამზადებელ კლასში, რომელშიც უსწავლია 1869–1872 წლებში.

სამი წლის შემდეგ ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასიდან პირველ კლასში გადასულა და 1872–1873 სასწავლო წელი აქ დაუყვია. ხოლო 1874 წელს მესამე კლასში რომ გადასულა, ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელი საქალაქო სასწავლებლად გადაკეთებულა და როგორც ექვთიმე იგონებს – იქ სწავლა სულ სხვა გეგმით უნდა ეწარმოებინათ, თითო კლასში ორ-ორი განყოფილება და ორი წლის კურსი იყო. ჩვენ გამოგვიცხადეს, შეგიძლიათ დაამთავროთ სამაზრო სასწავლებელი ფოთშიო.

ამიტომ ექვთიმე თაყაიშვილს ოზურგეთის მიტოვება

მოუხდა და სიმონ გოთუამ იგი ფოთში წაიყვანა იქაურ სამაზრო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

ექვთიმე თაყაიშვილი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და მისი პირველი უსწავლო სამაზრო წარჩინები

ოზურგეთის (1869–1874 წლებში) სამაზრო სასწავლებელში სწავლის შემდეგ, 1876 წლის 3 სექტემბერს ექვთიმე თაყაიშვილი თავდაპირველად შედის ქუთაისის პროგიმნაზიაში, რომელსაც ამთავრებს 1879 წელს.

ირკვევა, რომ ქუთაისის პროგიმნაზიაში სწავლის დროს მატერიალური ხელმოკლეობის გამო ექვთიმე თაყაიშვილი განთავისუფლებული ყოფილა სწავლის ქირის გადასახადისგან (ამისთვის მას სიღარიბის მოწმობაც კი წარუდგენია) და სარგებლობდა ხაზინისგან დანიშნული სტიპენდიით, რომელიც შეადგენდა 80 მანეთს წელიწადში.

ქუთაისის პროგიმნაზია 4 კლასიანი იყო, რომლის კურსდამთავრებული ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კლასში ჯდებოდა, მაგრამ აღმოჩენილა, რომ იმ წელს გიმნაზიის მეხუთე კლასში ადგილი არ ყოფილა და ამიტომ ექვთიმესთვის უარი უთქვამთ. ექვთიმეს თხოვნით მიუმართავს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომელსაც ფიცხელი განკარგულება გაუცია, წარჩინებული მოსწავლე გამონაკლისის სახით მიეღოთ გიმნაზიის მეხუთე კლასში.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის V–VII კლასებში 1879–1883 წლებში სწავლის პერიოდში ექვთიმე თაყაიშვილს თავი გამოუჩენია სანიმუშო ყოფაცქვევითა და წარჩინებული სწავლით, რის გამოც მისთვის „კლასის მშვენება“ უწოდებიათ.

პედაგოგიური საბჭოს 1883 წლის 3 ივნისის დდგენილებით იგი დაუფიქრდებოდა ვერცხლის მედლით.

ირკვევა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი არ კმაყოფილდებოდა მარტო საგიმნაზიო აკადემიური საგნების მომზადებით და თავის სახელოვან თანაგიმნაზიელთან ნიკო მართან თანამშრომლობდა ხელნაწერ ჟურნალ „ბედში“, სადაც აიდგამან ფეხი, როგორც მომავალმა დიდმა მეცნიერმა და ეროვნული სიძველეების დაუღალავმა მოჭირნახულემ.


ამ ჟურნალში „ე.თ.“-ს და „თ“-ს ფსევდონიმებით გამოქვეყნებულია ექვთიმე თაყაიშვილის ორი წერილი: „ქუთაისიდან ენერამდე“ და „ლეგენდა“. პირველი ეხება 1880 წლის ზაფხულში გიმნაზიელი ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობას ქუთაისიდან ენერამდე, ხოლო „ლეგენდა“

გადმოგვცემს მანამდე უცნობ თქმულებას მშობლიურ სოფელ ლიხაურთან ახლოს მდგარ XIII საუკუნის აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ.

ღვთისძე

მდინარის პირას, ოზურგეთის მახლობლად, ერთი დიდი ქვა არის. წინ კედრით რაღაც კარისავით არის მოყვანილი და კვერცხის სისხო ღრუ აქვს.

ამ სოფლის დიდი და პატარა შემდეგს ამბობს ამ ქვაზე – ეს არის მღვთის სახლი, აქედან აოხრებდა იგი ყველაფერს, არ უშობდა ცოცხალს არაფერს სულდგმულს, მაგრამ ღმერთმა თლათ კი არ განყვეტია მისი განაჩენი:



ღვთის ძე (ქუთის მგულაძის ფოტო)

ერთხელ მღვთა წმინდა გიორგი დაპატიჟა სადილად: როდესაც მღვთი სახლში შევიდა, წმინდა გიორგიმ კარი მოუკეტა და ზედ ფეხი კრა; აი, ჩექმის ქუსლი დღესაც აჩნია.

ამას გარდა, ერთი მეზობლიდგან გავიგონე, ვითომც, ერთხელ მოენდომენ იმ ქვის გატეხა, მაგრამ სისხლის წვიმა მოსულიყოს და ვითომც თლათ ყველაფერი შეძრულოს.

ამ ქვას დღესაც მღვთის ქვას ეძახიან და მახლობლად წმინდა გიორგის საყდარია.


ექვთიმე თაყაიშვილი კატარაგორის უნივერსიტეტში და მისი უსწოხი სადისერტაციო შრომა

1883 წლის 4 ივნისს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს სამხედრო გზით იმპერიის სატახტო ქალაქში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. მას თავიდანვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დაუფლებოდა ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ქართველი ახალგაზრდობის აღმზრდელად – ისტორიის მასწავლებლად ემუშავა.

ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც ქუთაისის გიმნაზიის წარჩინებით კურსდამთავრებულს, ჯიბეში თან ჰქონდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, კ. იანოვსკის მიერ ხელმოწერილი მოწმობა, რის საფუძველზეც სანკტ-ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიის სტიპენდიანტის ახლადგახსნილ ვაკანტურ ადგილზე სწორედ ექვთიმე თაყაიშვილი ჩარიცხულიყო, რადგან იგი საგანგებოდ მისთვის გახლდათ გამოყოფილი.

1883 წლის 1 სექტემბერს ექვთიმე უკვე სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტია, რის საფუძველზეც მისთვის რუსეთის სატახტო ქალაქში თავისუფლად ცხოვრების ნება მიუციათ. არდადეგებს ის პავლოვსკში ატარებდა.

პავლოვსკის არდადეგებიდან პეტერბურგში დაბრუნებულ და მეორე კურსზე გადასულ სტუდენტ ექვთიმეს 1883 წელს უთხოვია სილარბის გამო ლექციების მოსმენისათვის



საჭირო თანხის გადასახადისგან განთავისუფლება...

არ ვიცი, ჯანმრთელობის გაუარესების, თუ სამშობლოს მონატრების გამო, მაგრამ ფაქტია, მესამე კურსის სტუდენტს გადაუწყვეტია 1886 წლის ზაფხულის არდადეგები საქართველოში გაეტარებინა.

დათქმული პირობის თანახმად, ექვთიმე 1 სექტემბრისთვის პეტერბურგს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო ის სამშობლოდან ვერ წასულა.

სულ რაღაც ოთხიოდე თვის შემდეგ – 1887 წლის 16 ივნისს იგი ლებულობს პეტერბურგის უნივერსიტეტის სრული კურსის დამთავრების დროებით მოწმობას, ხოლო 1888 წლის 29 თებერვალს კი უნივერსიტეტის დამთავრების ნამდვილ დიპლომს.

არსებული წესის თანახმად, კავკასიის სტიპენდიანტი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვალდებული იყო ხუთი წელი ემუშავა კავკასიის რომელიმე პროვინციულ სასწავლებელში (ოღონდ არა საქართველოში), მაგრამ ექვთიმეს თავი დაუხსნია ამ მძიმე ვალდებულებისაგან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მთავრობამ კავკასიაში მას ვერსად აღმოუჩინა ადგილი.

ექვთიმე თბილისში დარჩა და 1887 წლის შემოდგომაზე ქართულ სათავადაზნაურო სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად დაინიშნა მუშაობა...

სამშობლოს სიყვარულში დაფარული სისოცხლე

1953 წლის 21 თებერვალი... გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი. იგი გულით დაიტოვა ქართველმა ხალხმა, მაგრამ... ცხედარი ორმოციოდე კაცმა თუ გააცილა და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალა. საქართველომ იცოდა ფასი გარდაცვლილისა, მაგრამ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ეს დაფასება მხოლოდ მომავალში წარმოჩნდება. სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონში გადმოსვენდა.

გარკვეული დროის შემდეგ საფრანგეთიდან გადმოასვენეს და იქვე დაკრძალეს მისი მეუღლე ნინო პოლტორა-ცკაია. ამჯერად ექვთიმე და ნინო თაყაიშვილების საუკუნო მოსასვენებელი მთაწმინდის პანთეონშია.

დღესდღეობით დაფასდა დიდი მამულიშვილის და მეცნიერის ღვაწლი-შრომა, რომელსაც შეენირა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში დაფერფილი სიცოცხლე. საყოველთაოდაა აღიარებული და შორსაა გატანილი ექვთიმე თაყაიშვილის მონამებრივი ცხოვრების ამბავი.

ექვთიმე თაყაიშვილი სანიმუშო ყველასთვის, მისი მაგალითით უნდა გაიზარდოს ჩვენი ახალგაზრდობა, შეიგრძნოს სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის ძალა და მისთვის, მის სამსახურში თუნდაც სიცოცხლის ნაწილის დახარჯვით მიღებული სიამაყის სიამოვნება.

როინ მეტრეველი



შაქვათილის შუაი ღრუბი ფლვის სანაპირო

შეკვეთილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან 21 კილომეტრზე, ზღვის დონიდან 2 მეტრზე, ზღვის ნაპირას, მდინარე ნატანების შესართავთან მდებარეობს. XVIII საუკუნის განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო.

ბათუმის, გონიოს და კვარიათის კურორტები დამსვენებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. შეკვეთილის მაგნიტური ქვიშის სანაპირო ასევე იდეალურია დასვენებისა და მკურნალობისთვის. სიმალიდან კარგად მოჩანს, როგორ იშლება ზღვისა და ხმელეთის ლამაზი პანორამა.

შეკვეთილის განაშენიანებაში პირველად ასოციაცია „ატუმ“ მიიღო მონაწილეობა. პარკ „ციცინათელას“ მშენებლობის შემდეგ, სადაც თანამედროვე სტანდარტების მქონე ევროპული ატრაქციონებია, 2007 წელს ამფითეატრის მსგავსი საკონცერტო დარბაზის მშენებლობა დაიწყო. 2015 წლის ზაფხულში დარბაზი გაიხსნება და



გიორგი სიმონია

პირველი კონცერტი გაიმართება. მის მიმდებარე ტერიტორიაზე ევკალიპტის ტყეში თემატური პარკი მოეწყობა. იქ 50-ზე მეტი ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლის ილუსტრირებული მაკეტი განთავსდება. დათ-



ბიძინა ივანიშვილი

ვალიერების შემდეგ უცხოელ სტუმრებს თუ სურვილი გაუჩნდათ, თითოეულ მაკეტთან ადგილმდებარეობა მითითებული იქნება. საკონცერტო დარბაზის და პარკის იდეა ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის და ფონდ „ატუმს“ მისი გახორციელება დაავალა.

შეკვეთილში ინოვაციების დანერგვა დღესაც გრძელდება, 2014 წლის აგვისტოს თვეში მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობა დაიწყო, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება. კიდევ ერთ მასშტაბურ პროექტზე ჟურნალ გურია REGION-ს კომპანია „ბურჯის“ გენერალური დირექტორი ზაზა სიმონია ესაუბრა. ჩვენ პირველები მოგიტხრობთ ზღვის პირას, ფიჭვნარში ახალი სასტუმროს მშენებლობაზე და უცნაურ პირსზე, რომლის ჩანაფიქრი ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.

– რა განასხვავებს ახალ პროექტს სხვა სასტუმროებისგან?

– არა მარტო გურიაში, არამედ მთელ საქართველოში ეს იქნება ერთადერთი სასტუმრო, რომელსაც ხუთი ვარსკვლავი პლიუსი მიენიჭება. 8 სართულიანი შენობის 5 სართული უკვე აშენებულია. 220 ნომერზე გათვლილი სასტუმრო A, B და C ბლოკებისგან შედგება. ბავშვებისთვის და დიდებისთვის წინ აშენდება აკვაპარკი. იქნე-



ბა აუზები, სპაცენტრები, ზამთრის ბაღი, რესტორნები და სათამაშო მოედნები, რა თქმა უნდა, VIP ოთახები მაღალი რანგის სტუმრებისთვის. სასტუმროს ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში მიიღებს დამსვენებლებს. კომპანია „ბურჯი“ არა მარტო საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში პერსონალით და დანადგარებით საკმაოდ მძლავრი სანარმოა.

- პირსი, რომელმაც უცხოელი არქიტექტორების მონონება დაიმსახურა.

- სასტუმროდან პირდაპირ დახურულ აუზში გავდივართ, აუზიდან, კი, პირსზე, რომელიც ზღვაში 150 მეტრით არის შეჭრილი, წრეზე კატერი შევა, გაჩერდება და სტუმარი ამოვა.

- რამდენი ადამიანია სასტუმროს მშენებლობაზე დასაქმებული?

- 500-მდე ადგილობრივი არის დასაქმებული. შეკვეთილის განაშენიანების წამოწყება ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, სხვებსაც გაუჩნდათ ინტერესი, შეკვეთილში ინვესტიციები განახორციელონ. იმედია, საქართველო ტურიზმის განვითარების ახალ ეტაპზე გადავა და ლამაზი ადგილები განვითარების გარეშე არ დარჩება. მეცენატ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა სათანადოდ არ არის გახმოვანებული, ქართული სახელმწიფოს მიმართ განეული დიდი ფინანსური კაპიტალი მისი უანგარო ღვაწლის გამოხატულებაა.

ლელა სურმავა




ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის ახალი მოდელი

დღეს, მედიცინა რომ განვითარდეს და მეურნალობის ახალ მიმართულებას ჩაეყაროს საფუძველი, განსხვავებული იდეები და მოდელები არის აუცილებელი. ადამიანის უჯრედები ქიმიური ელემენტებისგან შედგება, რომელთაგან უპირველესი წყალბადია. მისი მნიშვნელობის განსაზღვრა სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. წყალბადი ქიმიური ელემენტების ახალ სივრცულ მოდელში ცენტრალურ ადგილს იკავებს. კლინიკა „ოჯახის მეურნალის“ დირექტორი თორნიკე ალაშვილი ახალი 3D მოდელის ავტორია. ის ურნალ გურია REGION-ის ხშირი რესპონდენტი. ამჟამად, ექიმობოლოპათი დახერგილი ინოვაციის შესახებ მოუთხრობს მკითხველებს.


– რატომ დაინტერესდით ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემით?

– ჯერ კიდევ 15 წლის წინ დაინტერესდი, ქიმიური ელემენტების სამკურნალო თვისებები როგორ არის დაკავშირებული მათ პერიოდულ სისტემაში განლაგებასთან. გრძელი და ოთკუთხედი ფორმა არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ნათლად დაგვენახა ამ საკითხის ყველა კანონზომიერება. ამიტომ ელემენტები სფეროზე განვალაგეთ, რადგან ეს ფიზიკურ სამყაროში ყველაზე ოპტიმალური ფორმაა. წყალბადმა ცენტრალური ადგილი დაიკავა. სპირალურად გაშლილ 8 ჯგუფს შორის, ქვეჯგუფების 10 ელემენტი ამ მოდელში ორბიტაზე გადის, 14 ჯგუფი ლანტანოიდ-აქტინოიდები გარშემო კიდევ მეორე წრეს ქმნიან. მოვამზადეთ ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის 3D მოდელის კომპიუტერული ვერსია. განვითარეს ინტერნეტში www.curamediana.ge. 2011 წელს ქიმიკოსთა გერმანულმა საიტმა ჩვენი 3D მოდელი გამოაქვეყნა http://www.meta_synthesis.com/webbook/35_pt/pt_database.php?PT_id=447.

– რას გვაძლევს პრაქტიკული თვალსაზრისით ახალი მოდელი?



– დავაზუსტეთ პირველი ელემენტის ნამდვილი მდებარეობა ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის ჯგუფებში, ის არის ცენტრალური ელემენტი და საერთო რვავე ჯგუფისათვის, როგორც საათის ციფერბლატზე შუა წერტილია საერთო, ასევეა წყალბადი ამ მოდელში. მას აქვს, როგორც ჰალოგენების, ასევე ტუტე მეტალების თვისებები, ესე იგი შეუძლია აღმდგენი იყოს და დამჟანგავიც. თუ კარგად დავაკვირდებით, რა როლს ასრულებს წყალბადი სამყაროში, დავინახავთ, რომ ის არა მარტო ყველაზე გავრცელებული ელემენტი (სამყაროს 2/3-ს შეადგენს) არამედ ენერჯის, სითბოს და შუქის წყაროც (რადიოაქტიული სინთეზის რეაქცია მზესა და ვარსკვლავებში). სხვა, უფრო მძიმე ელემენტებსაც აძლევს საწყისს. ცოცხალ ორგანიზმებშიც წყალბადს მსგავსი ფუნქციები აქვს რაოდენობრივად ბევრად აღემატება სხვა ელემენტებს (მასით დაახლოებით 10%, ხოლო მოლური წილით 60%), არის უჯრედის ენერჯეტიკის მთავარი ელემენტი, მონაწილეობს ფერმენტების, გენომის ფუნქციებში, ორგანიზმის მუცეპტუტოვან წონასწორობაში. ჩვენი ვარაუდით, ცენტრალური ადგილი აქვს მახსოვრობისა და აზროვნების ფუნქციებში, ცოცხალი ორგანიზმის ტვინში 90%-ი წყალია. მოლეკულაშიც წყალბადი ორჯერ აღემატება უფრო მძიმე ელემენტს, როგორც არის ჟანგბადი. ჯანმრთელობა, სიცოცხლის ხანგრძლივობის, გაახალგაზრდავების საკითხები, ხანდაზმულობა პირველი და ცენტრალური ელემენტები – წყალბადთან არის კავშირში. ცნობილია, რომ მკვრივ ფორმაში წყალი უფრო ნაკლები სიმკვრივისაა, ვიდრე თხევად ფორმაში (4⁰ გრადუსზე მაღალი ტემპერატურის დროს). სხვადასხვა პირობებში მყოფი წყალი სრულიად განსხვავებული თვისებებით გამოირჩევა. ნაკურთხი წყალი არ ფუჭდება. წყალი რეაგირებს, იცვლის თვისებებს და კრისტალოგრაფიული კვლევის დროს ანომალური სურათს გვაძლევს. მეცნიერებაში შემოდის ცნება წყლის მახსოვრობაზე, ესე იგი წყალს შეუძლია მის გარშემო მოვლენების მიმდინარეობა დაიმახსოვროს, მასში გახსნილი ნივთიერებები იმ შემთხვევაშიც კი როცა მათი მოლეკულები პრაქტიკულად წყალში აღარ არის. ასე რომ წყლის უნიკალური და ჯერ კიდევ კარგად შეუსწავლელი თვისებები, წყალბადთან არის კავშირში. წყლის მოლეკულაში ჟანგბადი პასიური ცენტრია – ქალური ნაწილი ოქროს პროპორციის, წყალბადი, კი, – აქტიური კაცური ნაწილი. ორივე ერთმანეთს აწონასწორებს, მაგრამ ამავე დროს წყლის





უნიკალურ ცვალებად მდგომარეობას განაპირობებენ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის განვითარებასა და არსებობაში. თავის ტვინის ისეთ რთულ ფუნქციებში, როგორც არის აზროვნება და მეხსიერება.

– წყალი არის სიცოცხლის წყარო, რა მნიშვნელობა აქვს ატომის აღნაგობას და შემადგენლობას მის თვისებებთან და ფუნქციებთან?

– ჟურნალის ნომბრის თვის ნომერში ვისაუბრეთ ოქროს კვეთაზე. ოქროს კვეთა ჰყოფს მთლიანობას ქალურ და კაცურ საწყისებზე (ნაწილზე). ცოცხალ ფორმებში, სადაც ოქროს კვეთაა, იქვე სიმეტრიაა და მათი ჯვარისებრივი გადაკვეთა სწორ კვერცხის ფორმას გვაძლევს. ცოცხალი ფორმების მრავალფეროვნება აიხსნება ამ პროპორციების გაწონასწორებული, თუ გადახრილი მაჩვენებლებით. თუ სწორ ოქროს კვეთის პროპორციებთან გვაქვს საქმე და ფორმა კვერცხის ფორმისაა, კაცური ნაწილის სიჭარბით, აღვის ხესავით წაგრძელებულ ფორმას ვიღებთ, ხოლო ქალური ნაწილის სიჭარბის შემთხვევაში – სფერულ ფორმისკენ სწრაფვას. წყლის მოლეკულას ასევე ოქროს კვეთის პროპორციები აქვს. სამკუთხედში, რომელსაც ქმნიან ჟანგბადის ატომის და წყალბადის ატომის ცენტრები, დიდი მხარე მცირეს შეეფარდება, როგორც 1.618.. ესე იგი ასო „ფი“. ოქროს კვეთის პროპორციების გადახრით, წყალი განსხვავებულ თვისებებს იღებს, რაც მის მრავალფეროვნებას განაპირობებს. შემთხვევით არ არის ის სიცოცხლის წყარო. წყალბადი კი სამყაროს საწყისიკაა და საზრდოც. წყალბადის ნაერთებს პომეოპათიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ მძიმე დაავადებების მკურნალობის დროს.

– სიმსივნეების და გულსისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის მთავარი გამომწვევე მიზეზია. რა შეგიძლიათ თქვათ ახალი ამ ავადმყოფობების სამკურნალოდ?


– გულსისხლძარღვთა დაავადებებზე ჯერ ვერ გეტყვი, რაც შეეხება ონკოლოგიურ დაავადებებს, მათ

მკურნალობაში წყალბადის ნაერთებს ჩვენი წინასწარი მონაცემებით შეიძლება დიდი როლი დაეთმოს. კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დიქლორაცეტატს და მის ნატრიუმის მარილებს, შეუძლიათ ქიმიოთერაპია შეცვალოს. გავეცანით მათი მოქმედების მექანიზმებს, გლიკოლიზის ენერგეტიკაზე მყოფ უჯრედებში, როგორ ხდება ჟანგბადის ენერგეტიკის ჩართვა, მიტოქონდრიუმის ამუშავება, გავაანალიზოთ, რომელ პომეოპათიურ წამლებს აქვთ მსგავსი მოქმედება. აღმოჩნდა, ყველაზე მეტად წყალბადის ერთ-ერთი ნაერთი დიდ დოზაში სპობს მიტოქონდრიუმის მუშაობას, უმცირესში კი, იგივეს სტიმულირებს. ესე იგი მოინახა დიქლორაცეტატის პომეოპათიური ანალოგი და ის წყალბადის მარტივი ნაერთია. წამალი უმცირესი დოზით მოქმედებს, რაც სიმსივნური უჯრედებისთვის სასიკვდილოა. პრაქტიკული შედეგებიც გამაოგნებელია. ჩვენი მიზანია წამალი დავაპატენტოთ, ამიტომ ფორმულას ვერ დავასახელებთ. წყალბადის როლი ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში მნიშვნელოვანი იქნება.


– რატომ არ შეისწავლეს წყალბადის მნიშვნელობა და როლი სათანადოდ?

– მედიცინა და საერთოდ ბიოლოგია დაინტერესებულია ისეთი ბიოელემენტების მნიშვნელობის დადგენით, როგორცაა რკინა, კალციუმი, ნატრიუმი, კალიუმი და სხვა. რეალურად მათი როლი და ფუნქციები წყალბადის თვისებებს ვერ შეედრება. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის სივრცული მოდელი წყალბადის გარდა ნათლად გვიჩვენებს მიკრო და მაკროელემენტები რა კანონზომიერებით არის განლაგებული ამ სფერულ სივრცეზე. 3D მოდელი გვიჩვენებს, რომ პერიოდული სისტემის უსასრულობა შეიძლება წრეზე იყოს, რომელსაც **მეზიუსის წრე** ჰქვია. მრავალი საკითხი დაისმის, მედიცინის, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის თვალსაზრისით უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

ლელა სურმაგა



ხილულ პათოლოგიას კრიოქირურგი მკურნალობს



ამბაშ თათლუაძე

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე 30 სტუდენტს შორის ომარ თაფლაძე მაღალი თანამდებობაზე მომუშავე ამიერკავკასიის რკინიგზების შვილი იყო. „არანორმალურად ცელქი“ ბავშვობიდან ექიმის პროფესიაზე, კარგ ქირურგობაზე ოცნებობდა, თერაპევტიკა მის ბუნებას არ შეეფერებოდა. პროფესორი საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში კანისა და ხილული ლორწოვანი გარსის ზოგიერთი ლოკალიზაციის სიმსივნურ წარმონაქმნთა კრიოქირურგია. ექიმის აზრით, თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ჯანმრთელობა მისსავე ხელშია და ზოგიერთი დაავადების თავიდან აცილება შესაძლებელია დიდი მატერიალური დანახარჯების გარეშე – ერთი შეხედვით მარტივი, ყველასთვის კარგად ცნობილი „ცხოვრების ჯანსაღი წესის“ დაცვით, ასეთ ადამიანებში კიბოს განვითარების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება. ონკოლოგიის ცენტრის შესასვლელთან გამოკრული ბანერი – კიბო ეს არის დიაგნოზი და არა განაჩენი, აძლევს თუ არა პაციენტებს ოპტიმიზმის საფუძველს. ექიმების რჩევით, რაც უფრო დროულად მოხდება მისი გამოვლენა და ჩატარდება ადექვატური მკურნალობა, ისინი უკეთეს შედეგს მიიღებენ.

დავიბადე 1944 წელს თბილისში. დავამთავრე რკინიგზის პირველი სკოლა წარმატებით, ბევრ სასკოლო ტურში და ოლიმპიადაში ვიღებდი მონაწილეობას. სიცელქის მიუხედავად, სწავლა ძალიან მიყვარდა. სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ყელ-ყურის კვლიატივიკაციას დავეუფლე, მოსკოვის ყველა მონინავე კლინიკაში ვსწავლობდი და პარალელურად ვმუშაობდი. სამტრედიის რაიონში ჩასული, უკვე დიპლომიანი ექიმი ვიყავი და დამოუკიდებელი საქმიანობა დავიწყე. შემდეგ თბილისში დავბრუნდი და 1978 წლიდან ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში ვმუშავებ. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დავიცავი კრიოქირურგიულ მკურნალობაში – ეს არის დაბალი და ზედაბალი ტემპერატურების გამოყენებით ოპერაციის ჩატარება, რაც ონკოლოგიაში სიახლეა. კანის, ლორწოვანი, გინეკოლოგიური – თითქმის ყველა პათოლოგიის ხილული ლოკალიზება ხდება, ის რაც მოჩანს და ადვილად მიუდგები. ნელ-ნელა გაეფართოვე ეს სფერო და დღემდე მოვიტანე. გამოქვეყნებული მაქვს 100-მდე სამეცნიერო შრომა. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, საზღვარგარეთ სიმპოზიუმებში გამოვედი მოხსენებებით.

– მსოფლიოში ყოველწლიურად კიბოს 12 მილიონი ახალი შემთხვევა ვლინდება, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2020 წელს კიბოს შემთხვევების რაოდენობა 20 მილიონამდე გაიზარდება, გაუსწრებს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და პირველ ად-

გილს დაიკავებს დედამიწაზე მცხოვრებლების ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში. უახლოეს ათწლეულში ონკოლოგიური ავადობის მატების ტვირთი გადავა განვითარებად ქვეყნებზე, მათ შორის არის საქართველო. ბატონო ომარ, ძალიან რთული პროგნოზია, დღეს, ექიმებში არის სათანადო ონკოლოგიური სიფხიზლე?

– სიმსივნური დაავადებების განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. პირველ რიგში ასაკი, საცხოვრებელი ადგილის ეკოლოგიური სიტუაცია და მანე ფაქტორები, ცხოვრებისა და კვების პირობები, ინდივიდუალური და საყოფაცხოვრებო ჩვევები, ორგანიზმის იმუნოლოგიური და ენდოკრინული სტატუსი და მრავალი კიბოსწინა დაავადება. მკურნალობის ეფექტურობა პირდაპირპროპორციულია დაავადების სტადიაზე, რაც უფრო ადრეულ სტადიაზე არის გამოვლენილი, მით უფრო მაღალია გამოჯანმრთელების და ხშირად აბსოლუტური განკურნების შანსი. ვისაც საკუთარი თავი უყვარს, აუცილებლად მორჩება. პაციენტებმა პრევენციული ზომები დროულად უნდა მიიღონ. წინასწარ ანალიზებს ვუკეთებ. ოპერაციის დადებით შედეგში 99%-ით ვარ დარწმუნებული და ვიცი ყველაფერი კარგად დასრულდება. დღეს, სირცხვილია პაციენტი კანის კიბოთი გარდაიცვალოს.

– ბატონო ომარ მამით იმერელი ბრძანდებით, თუმცა თბილისის შემდეგ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი თქვენი ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილია.

– ჩემი ოჯახი სოფელ ქვიანის კომლია. დედა, თამარ ჯიბუტი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა, საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა. როცა იქ ზაფხულობით ჩავდივარ, ყოველ საღამოს სახლში სუფრა გვაქვს, ნამდვილი კონცერტი იმართება. ბაბუას სახლი ოფიციალურ დონეზე დავიბრუნე, თუმცა ყოველთვის ჩვენ გვეკუთვნოდა. უკვე ორი წელი სოფლის ვაუჩერს ვიღებ. ჩემი მეგობრების შვილები მოდიან, ერთმანეთს ვეხმარებით.

– ვის გაიხსენებთ ლანჩხუთელებიდან?

– ლანჩხუთის რაიკომის მდივნის დათიკო საბაშვილის ქალიშვილი მანანა და მე ჯგუფელები ვიყავით. შემდეგ გავიცანი კარლო გუჯაბიძე, მიშიკო გვარჯალაძე, თენგიზ ქერქაძე და შოთიკო სიხარულიძე. ახალგაზრდებმა წინა თაობიდან შრომისმოყვარეობა უნდა ისწავლონ. ძველი გამოთქმაა – „ხმლის სიმოკლე ხელს არ გიშლის, ფეხი წადგი წინარეო“. ასე რომ მათ ვურჩევ, უკან არ იყურონ, წინ გადადგან ნაბიჯი და ცხოვრებას კიდევ რამდენიმე წელი გამოტყუონ. დინების სანინაალმდეგოდ არ წავიდნენ. მზამზარეულს არავინ მიართმევს, საბაზრო ეკონომიკის არსიც ეს არის. ასეა მთელ მსოფლიოში და არც საქართველოა გამონაკლისი.

– თქვენი მეუღლე მეგრელი თაფლაძეა.

– „თოფურ“ მეგრულად თაფლს ნიშნავს, მე ვარ იმერელი თაფლაძე, ის კი მეგრელი. ნანა თოფურია კარგი პედიატრია. გვყავს ორი შვილი – გიორგი და და ლევანი, არცერთმა ჩვენი პროფესია არ აირჩია. ორი შვილიშვილი – თეკლა და ერთი წლის ნიკა თაფლაძეები. ზაფხულობით ორი თვე ქვიანში ვისვებთ, უკვე წინილები მყავს, გოჭსაც ვიყიდ. გეპატიჟები, ჩვენი ოჯახის კარი თქვენთვის ღია იქნება.

– მადლობთ, აუცილებლად გესტუმრები.

ლელა სურმავა

ქეთევან უზნაძე – მჭედლიშვილა ასეულობით პასიენტის კიდურები გადაარჩინა



ქეთევან უზნაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მალ-ლობზე ლამაზი სოფელი გუნდაეთია, რომელიც ყველა სოფელს ზემოდან გადაჰყურებს. იქ დაიბადა და გაიზარდა ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი. ჭიათურის სკოლის დასრულების შემდეგ საშუალო ტანის გოგო თბილისში ჩამოვიდა და სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. თავდაპირველად პედიატრიის დარგი აირჩია, სულ მალე სამკურნალო სფეროს დაეუფლა. მომავალმა ქირურგმა ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა, ქირურგიული კათედრის გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ფერემ ზაქარაიას ნიჭიერი სტუდენტი შეუმჩნეველი არ დარჩა. ქეთევანი ქირურგიულ კათედრაზე დატოვეს. მოქმედი ქალი ქირურგი იმ დროს იშვიათი იყო, ის ქალაქის №3 ჰოსპიტალში მუშაობდა. მეორე მსოფლიო ომიდან ჩამოყვანილ დაჭრილ მეომრებს კუჭნაწლავზე, თორმეტგოჯა წყლულზე, ელენთის, ღვიძლის ოპერაციებს უტარებდა. მუცლის ღრუს ქირურგმა ისეთ კორიფეებთან გაიარა სკოლა, როგორებიც იყვნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები – ეფრემ ზაქარაია, აკადემიკოსი ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა, დავით იოსელიანი, გოგი ბოჭორიშვილი და გივი გონჯილაშვილი.


ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილმა 52 წელი იმუშავა სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ და ჰოსპიტალურ კათედრაზე, ჯერ ორდინატორად, შემდეგ ასისტენტად და პროფესორად. სა-

მედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე მომავალ მკურნალებს ზოგად ქირურგიაში უკითხავდა ლექციებს.


1954 წელს ქეთევანმა აიღო სამეცნიერო თემა კიდურების არტერიათა მათემატიკური ენდარტერიოტის, შემდგომ განგრენის დაავადების შესახებ. აღნიშნული დაავადება ძლიერი ტკივილებით მიმდინარეობს, რასაც ინვეს იმემიური კიდურების ნეკროზული ქსოვილების ნერვულ რეცეპტორთა ძლიერი გაღიზიანება. ექიმმა განგრენის წინააღმდეგ გადანყვიტა ბრძოლა. იმ დროს ცნობილი რუსი დასტაქრების – ვიშნევსკის, არემინის და შნირიოვის მალამოები, მართალია, სამკურნალო საშუალება იყო, მაგრამ შეხორცების მიმართ ისეთ ეფექტს ვერ ახდენდა. საჭირო იყო ისეთი მალამოები შეექმნა, რომ განგრენით დაავადებულ ავადმყოფთან, რომელიც ძლიერი იმემიური ტკივილების გამო ექიმს მისვლის უფლებას არ აძლევდა, მისულიყო და დაზიანებული ქსოვილები დაემუშავებინა. სამკურნალო მალამოებს შეხორცების პროცესში სწრაფად და ეფექტურად ემოქმედა. ქართველმა მეცნიერმა ქეთევან-უზნაძე მჭედლიშვილმა მედიცინაში ნოუ-ჰაუ შექმნა, მისი მალამოები ბევრად უკეთესი აღმოჩნდა.

ქეთევანმა ორი პარტიის, სხვადასხვა წამლისგან შემდგარი მედიკამენტური ნარევი შექმნა, რომელთა მეშვეობით ფეხის არეში სისხლძარღვებში დატრომბილი ადგილები გაათავისუფლა, გაიხსნა გზა და სისხლმა დაიწყო დენა. დიდი კვლევებისა და დაკვირვების შემდეგ პროფესორმა მიაღწია მიზანს და შექმნა უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო №1. ორგანიზმში მედიკამენტური ნარევის შეყვანის დროს, სწორედ, ამ მალამოს

დახმარებით დანეკროზებული ადგილების მოჭრის შემდეგ, კიდურები ამოძრავდა და ტკივილებმაც იკლო. ასე გადაარჩინა ასეულობით პაციენტი კიდურების ამპუტაციას. მიღწეული შედეგი 70%-მდე გაიზარდა, რაც არა მარტო საქართველოში, მაშინდელ საბჭოთა კავშირშიც, უპრეცედენტო იყო. 1961 წლიდან უზნაძე-მჭედლიშვილის ტკივილგამაყუჩებელი მალამო №1 ფართოდ გამოიყენება განგრენული იარების, დამწვრობის (განსაკუთრებით პირველ პერიოდში), ჰერპეს ზოსტერის, მწვავე ბუასილისა და ძლიერი ტკივილებით მიმდინარე ქრონიკულად შეუხორცებელი წყლულების დროს. №1 მალამოს ეფექტურობაში დარწმუნებულმა მეცნიერმა №2 მალამოს დამზადება გადანყვიტა, რომელიც ეფექტური სამკურნალო საშუალება აღმოჩნდა ყველა სახის დამწვრობის, ნითელი ქარის, ტროფიკული წყლულების, ნანოლებისა და ყველა სახის ჩირქოვანი ჭრილობების დროს. უზნაძე-მჭედლიშვილის №1 და №2 მალამოები 1963–1965 წლებში გამოიცადა სამ ქირურგიულ კლინიკაში, სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კლინიკაში (პროფესორი დ. იოსელიანი), სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში (პროფესორი დ. მურვანიძე). 1965 წელს სამივე კლინიკამ დადებითი რეცენზიები დაწერა და ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულმა ფარმაკოლოგიურმა კომისიამ აკადემიკოს ვ. ასათიანის ხელმძღვანელობით დამტკიცა მონოდებული მალამოების დადებითი სამკურნალო თვისებები და ეფექტურობა. **ქართველმა მეცნიერმა ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილმა მედიცინაში ნოუ-ჰაუ შექმნა. მისი მალამოები ბევრად უკეთესი აღმოჩნდა. მეცნიერმა**



განგრენით დაავადებული კიდურები მკურნალდამამდი და მკურნალდამის შემდეგ





დავით მჭედლიშვილი და ივლიტა კუხიანიძე დაჯილდოების ცერემონიაზე

მალამოებზე კვლევებს 7 წელი მონაღობა.

უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო №1-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და ანტი-სეპტიკური მოქმედება, აცილებს ნეკროზულ ქსოვილებს, ხელს უწყობს ქრონიკული ჭრილობების შეხორცებას, ოპერაციის შემდგომი სხეულის ზედაპირის შეხორცებას. გამოიყენება განგრენული იარების ინფიცირებისას, მწვავე ბუასილის, მსუბუქი და მძიმე ხარისხის დამწვრობის (განსაკუთრებით პირველ პერიოდში), ჰერპეს ზოსტერის, ფურუნკულის (ყურში, ცხვირში, სხეულის ზედაპირზე), სურდოს, მასტიტის მკურნალობისას, კოლოს ნაკბენის დროს. №1 მალამოს გამოყენების შემდეგ ავადმყოფს მომენტალურად ეხსნება ძლიერი ტკივილები.

უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო №2-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ძლიერი ანტი-სეპტიკური და სწრაფი რეგენერაციული მოქმედება, აჩქარებს რბილი ქსოვილების აღდგენასა და გრანულაციური ქსოვილების განვითარებას. გამოიყენება მსუბუქი და მძიმე ხარისხის დამწვრობის, ტროფიკული წყლულების, წითელი ქარის, კოლპიტის, ენდოცერვიციტის, საშვილოსნოს

ყელის ეროზიის, ეგზემის (მშრალი, სველი), გამოყვლის (განსაკუთრებით ახალშობილებში), ნაწილების, სტომატიტის, კბილის ექსტრაქციის (ამოღების), ალვეოლოტიტის, ყველა ფორმის პარადონტიტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს, სახის კანის ინფიცირების შემთხვევაში. პირის ღრუში სოკოვანი დაავადებების დროს.

მალამოებმა აპრობაცია გაიარა თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში. სწორწინაღმართის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ილია ბაქრაძემ მალამოებს ასეთი შეფასება მისცა – „ონკოლოგიური ავადმყოფები ძლიერ ტკივილებს განიცდიან, სიმსივნის ამოჭრის შემდეგ, მალამოების გამოყენებით სწრაფად ისრუტავს ჩირქს, მიმდინარეობს დაზიანებული ქსოვილების აღდგენა და შეხორცება“. კისრის სიმსივნის განყოფილების უფროსი ან გარდაცვლილი ილია ლოღელიანი წერდა – „№1 და №2 მალამოები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ყველა ქირურგიულ კლინიკაში, მეორადი შეხორცებისთვის დადებითი შედეგებით“. მალამოები გამოდის თეთრ კოლოფში. ინახება გრილ ადგილას.

1962–1963 წლებში ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილმა შექმნა მალამო №3,

რომელიც სააფთიაქო ქსელში არ გაუშვებს. მალამო №3 ზღუდავს დამწვრობის და ოპერაციის დროს წანაზარდებს. მალამოს ქირურგები იყენებენ, ის თრგუნავს ჭარბ რეგენერაციას.

ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი ბუნებით და მოწოდებით ქირურგი იყო. დასტაქარმა მედიცინაში დანერგილი ნოვაციით საქართველოს კიდევ ერთ წარმატებას დაუდო საფუძველი.

90-იანი წლებიდან ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილის საქმიანობა შვილმა ტენიკურ-მეცნიერებათა დოქტორმა დავით მჭედლიშვილმა გააგრძელა. 1997 წელს მის სახელზე დარეგისტრირდა ინდ. საწარმო „დავით მჭედლიშვილი-ჰიპოკრატე“. სამკურნალო პრეპარატები ერთადერთი ორიგინალია, პირველადი და ნამდვილი მალამოებია. 2002–2004 წლებში №1 და №2 უზნაძე-მჭედლიშვილის მალამოები და მისი მწარმოებელი დაჯილდოვდა ოქროს, პლატინისა და ბრილიანტის პრიზებით ლონდონში, პარიზსა და ნიუ-იორკში „საუკეთესო ხარისხისათვის და ლიდერობისთვის მსოფლიოში“. 2011 წელს რომში დაჯილდოვდა „ოქროს გლობუსით“ სამკურნალო პრეპარატებს მსოფლიოში, მართლაც, ანალოგი არ აქვს.

უზნაძე-მჭედლიშვილის მალამოები იყიდება ყველა სააფთიაქო ქსელში, PSP-ს გარდა!

ნატალია შარაშენიძე



უზნაძე-მჭედლიშვილის №1 და №2 მალამოების პრემიები

ლანჩხუთის სიყვარული დღევანდელ მომავალზე

ცნობილმა პედიატრმა ლელი ქერქაძემ ორდინატურაში ჩააბარა და კათედრაზე დატოვეს. მან იერარქიის ყველა საფეხური გაიარა. პედიატრიის კათედრის გამგეობიდან თავისი ნებით გადადგა, რაც იშვიათი მოვლენა იყო. მედიკობიოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გაერთიანებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის მრჩეველი. ერთადერთ ლანჩხუთელ აკადემიკოს ქალბატონს ლანჩხუთის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. მისი მეუღლე გიორგი მახარაძე ედუარდ შვეარდნაძესთან მეგობრობდა, შსს-მინისტრობის დროს ის ჯერ კოლონიური სამმართველოს მოადგილედ, შემდეგ სამმართველოს უფროსად დანიშნა. წესიერი ადამიანისთვის




ლელი ქერქაძე

სისტემაში მუშაობა რთული იყო, მაგრამ შვეარდნაძესთან მეგობრობის გამო ვერ უპირისპირდებოდნენ. ყურნალისტიკა მისი პრაქტიკული მონოღება იყო. გიორგი მახარაძე 14 წიგნის ავტორია. მთელ მსოფლიოში ქართული ფესვების მქონე ხალხს ეძებდა – აფრიკაში, ავღანეთში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში დიდი კვლევები აქვს ჩატარებული. ჭადრაკის თანრიგოსანმა ვაჟთა ტურნირებში პირველად ქალების მონაწილეობას მიუძღვნა წიგნი – მოჭადრაკე ქალები მოჭადრაკე მამაკაცების წინააღმდეგ.

ლელი ქერქაძის და გიორგი მახარაძის ერთადერთი შვილისთვის სამედიცინო სფერო იმდენად ახლობელი და ნაცნობი იყო, რომ სხვა პროფესიაზე არც უფიქრია. თემური მეოთხე კლასის ჩათვლით ბებია-ბაბუასთან ლანჩხუთში იზრდებოდა. მეხუთე კლასიდან სწავლა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში გააგრძელა. ამ პერიოდში თანატოლებთან „ქუჩის აკადემია“ (რუსთაველის გამზირი) გაიარა. შატალოზეც დადიოდა, ოთარ რამიშვილთან გიტარაზე დაკვრას ეუფლებოდა. კარგად სწავლობდა და სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა.

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ლანჩხუთში თერაპევტად გაა-



თემურ მახარაძე

ნანილეს, სადაც 8 წელი იმუშავა, იქ დაქორწინდა და ცოლ-ქმარი პირველ შვილს 5 წლამდე ლანჩხუთში ზრდიდნენ. ბევრი პაციენტი ჰყავდა, მთელი გურიის დიაბეტით დაავადებულები მასთან მოდიოდნენ. 28 წლის ახალგაზრდა ექიმს მთელი რაიონი ხელის გულზე ატარებდა. შემდეგ ასპირანტურა დაამთავრა და სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე ასისტენტად გააგრძელა საქმიანობა. ამ დროიდან თერაპევტის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. კათედრის გამგე ცოცხალი ლეგენდა კონსტანტინე ვირსალაძე გახლდათ. იქვე მოღვაწეობდნენ მეცნიერები – გიორგი მხეიძე, ბადრურ რაჭველიშვილი, რუსუდან ლამბაშიძე. ისეთი შემად-

გენლობა იყო, რომ თემურ მახარაძე დილის კონფერენციის მოხსენების დროსაც კი ლელავდა. 9 წელიწადში იგრძნო, ექიმს ავადმყოფის აღარ ემინოდა.

დედაჩემთან ერთად ასე მგონია ჩემი ერთი სიცოცხლე დასრულდა – ამბობს თემურ მახარაძე. დედას ერთადერთი შვილი უსაზღვროდ უყვარდა. მისთვის ბოლომდე ბავშვი დარჩა.

სტუდენტობის დროს „ოროველაში“ უკრავდა, მოვლილი აქვს მთელი საბჭოთა კავშირი სახალისიდან დასავლეთ უკრაინამდე. წელიწადში 6-7 თვე საგასტროლო ტურნეში იმყოფებოდა. ანსამბლის წევრები ცნობილ სიმღერას „ყელსაბაში ლალისფერი“ მღეროდნენ.

ფეხბურთი თემურ მახარაძის ჰობი კი არა, ავადმყოფობა იყო. 1980 წელს სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობის დაწყების შემდეგ ჩამოაყალიბა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველობა, რომლის უცვლელი ჩემპიონები იყვნენ. სისტემატურად მონაწილეობდა მინი ფეხბურთის სხვადასხვა ტურნირში. ვეტერანებს შორის ყოველთვის სამეულში იყო.

ექიმი ყოველ დილით ვარჯიშობს და ყველას ურჩევას ასეთი ჯანსაღი წესით ცხოვრებას. აქტიურ პროპაგანდას უწევს სპორტს. კატეგორიული წინააღმდეგია ჭარბი წონის. ამბობს, რომ იგი ძალიან ბევრი დაავადების ხელშემწყობი და გამომწვევია.

90-იანი წლებიდან დოცენტის ხარისხი მიენიჭა, თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო მათი ბაზა. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა დიდი ტრადიციების მქონე მთავარი კლინიკა საბოლოოდ უფუნქციოდ დატოვა. პირველი ტალღა 9 აპრილს დაღუპულების ორმოცზე თითქოს თაიგულებიდან მომწამვლელი გაზი გადავიდა, ტყუილი იყო. ისინი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. თემურ მახარაძის განცხადებით, მათ მონამვლის სიმპტომები არ აღენიშნებოდათ, ფსიქურად აშლილები და აგრესიულები იყვნენ, პალატები დალენეს. ეროვნული მოძრაობის ლიდერები მიდიოდნენ, ამხნევებდნენ, ამ მოვლენებით ბოროტად ისარგებლეს. შემდეგ მეორე ეტაპი წამოვიდა, აფხაზეთის ომი, საავადმყოფოში დევნილების 155-მდე ოჯახი ცხოვრობდა.

მესამე ეტაპზე, კი, საავადმყოფოში პაციენტებისთვის დიდხანს დაიკეტა კარი. აშშ-დან ჩამოსულ ნიკა ყიფშიძეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში პომპეზური წარდგენა მოუწყვეს. საუნივერსიტეტო კლინიკად გარდაქმნის იდეა გაცხადდა. ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკურის რეაბილიტაციისთვის 60 მილიონი ლარი გამოყო. დევნილებმა კარგი ფულადი კომპენსაცია მიიღეს და შენობა დატოვეს.

დაიხარჯა თუ არა თანხა მიზნობრივად?

პირველ სართულს რადიოლოგიური განყოფილება დააშენეს, მესამეზე საოპერაციო ბლოკები მოაწყვეს. ბიზნესმენმა დაფინანსება შეუწყვიტა. მეოთხე სართულის შემდეგ რა მდგომარეობაშია საავადმყოფო ჩვენი ფოტორეპორტაჟით დარწმუნდებით. გათხრილი კორიდორები, სადაც სპილენძის მავთულები მოიპარეს. დანგრეული პალატები და პირველ სართულზე დაყრილი სამედიცინო აპარატურა.

ემერჯენსში პირველადი დახმარების შემდეგ პაციენტი დიდ შენობაში სპეციალიზებულ განყოფილებაში უნდა გადაეყვანათ. სამედიცინო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებს სხვა კლინიკაში წასვლა არ სჭირდებოდათ. თვალის, ენდოკრინოლოგიის, მუცლის ღრუს, ზოგადი და ნეიროქირურგიული, თუ სხვა განყოფილებები მომავალი ექიმების სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი ბაზა იყო. მეთორმეტე სართულზე საოპერაციო ბლოკებში ოპერაციებს ატარებდნენ. ნიკა ყიფშიძის მოსვლამდე რესპუბლიკური საავადმყოფოს თორმეტივე სართული ფუნქციონირებდა – აღნიშნა თემურ მახარაძემ.

რატომ არ განხორციელდა რესპუბლიკურის რეაბილიტაცია?

საავადმყოფოს შენობის და მიმდებარე ტერიტორიის

გაყიდვა გადაწყვიტეს. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ისევ მოინდომეს თუმცა ჯანდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ამირან გამყრელიძემ ეს საკითხი შეაჩერა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ერთ-ერთ შეხვედრაზე რესპუბლიკურის მუნიციპალურ საავადმყოფოდ გარდაქმნაზე ისაუბრა. დღეს, რთულია მისი რეაბილიტაცია, რადგან მარტო შენობის კარკასია დარჩენილი და სოლიდური თანხა ესაჭიროება.

თემურ მახარაძე კეთილი ნებით ყოფილ ლეჩკომბინატში შეიფარეს. ექიმი კარდიოლოგიაში და ზოგად თერაპიაში მოღვაწეობს, სტუდენტებს იქვე უკითხავს ლექციებს. კათედრის სხვა თანამშრომლები 31-ე ქარხნის საავადმყოფოს რეფერალურ განყოფილებაში გადავიდნენ, რომელიც კომპანია აღდაგმა შეისყიდა და შესაძლოა სამუშაოს გარეშე დარჩნენ.

ზაფხულის დასვენების შემდეგ მედპერსონალი და პაციენტები საავადმყოფოში არ შეუშვეს, კიბებზე ასასვლელი რკინის გისოსები ბოქლომით ჩაკეტილი დახვდათ. რესპუბლიკელები, როგორც თემურ მახარაძე უნოდებს, იქ დაბრუნების იმედს არ კარგავენ.

თემურ მახარაძე პაციენტებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც იღებს. ხშირად ჩაჰყავს ექოსკოპისტი, ნევროპათოლოგი და დერმატოლოგი. ავადმყოფებს კარდიოგრამს უღებს და ზოგადი თერაპიული მკურნალობის კურსს უტარებს. ზაფხულში ორი თვე იქ არის, 10 საათიდან 2 საათამდე სახლიდან არ გადის, ავადმყოფები 20 ლარს იხდიან, ნაცნობები კი, ყოველთვის უფასოდ მკურნალობენ.

ლელა სურმავა







პატრიარქალურ კულტურაში ქალის ღირებულების როლი

„ქალების ემანსიპაცია საჭიროა არა მხოლოდ დედაკაცებისთვის, არამედ მამაკაცებისთვის და მთელი ერის და კაცობრიობისთვის. ვინ უწყის, რამდენი საუკეთესო აზრი და გრძნობა ჩაკლა მდებდრობითი სქესის მონობამ. ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა ისტორიის ჩარხი, რომ ქალები თავიდანვე სწორუფლებიანი ყოფილიყვნენ პოლიტიკურად და მოქალაქეობრივად“.

კატო მიქელაძე „ხმა ქართველი ქალისა“ 1917 წელი.

პარლამენტის წინ, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში საპროტესტო აქციებს და უფლებების დაცვის სხვადასხვა ფორმას, არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ. 25 ნოემბერს ქალთა მოძრაობამ თბილისის პარლამენტის წინ შეკრებილეს მანიფესტი გააცნო, მათ მხარდაჭერა ხელმონერებით დაადასტურეს. აქციის ორგანიზატორებმა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად პეტიციით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

დღეს, ჩამოყალიბდა ქალთა მოძრაობა, რომელიც აერთიანებს თანასწორობას, სამართლიანობისა და თავისუფლების ცნებების ერთგულ ადამიანებს – მათ, ვისთვისაც აშკარაა ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციული მწვავე პრობლემა, რომელიც მყისიერ რეაგირებას საჭიროებს.

ეს არის მოძრაობა ქალისა და მამაკაცის თანასწორობისათვის, რომელიც ჯერ მიუღწეველი მიზანია, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა გლობალური ბრძოლა უფლებებისათვის უკვე ორ საუკუნეს და ბევრ ხელშესახებ შედეგს ითვისებს.

ქალთა და გოგონათა მიმართ რეპრესიული, ძალადობრივი დამოკიდებულება ჩვენს რეალობაში ღრმად ფესვგადგმული. დისკრიმინაციული შეხედულებები და უსამართლო მოპყრობა გამყარებულია ალზრდისა და განათლების სისტემებით, ხშირად კულტურული და რელიგიური ტრადიციების სახელით ინიღბება.

ჩვენი ქვეყანა ორ ათწლეულზე მეტია, მუდმივად განიცდის პოლიტიკურ მღელვარებას, ეკონომიკურ სირთულეებს და კულტურულ ტრანსფორმაციას. ასეთ ფონზე რთულია, მაგრამ აუცილებელია ქალთა დისკრიმინაციაზე სიღრმისეული დისკუსიის დაწყება.

ასეთი დისკუსიის არარსებობის პირობებში ქალთა დისკრიმინაცია უხილავი და მიღებულია. სქესებს შორის უთანასწორობა ხშირად აღიქმება „ბუნებრივ“ და „ნორმალურ“ მოვლენად, რაც კიდევ უფრო ართულებს უსამართლობასთან ბრძოლას.

დღეს, როცა მოქმედება გვიწევს ქალთა მიმართ ძალადობის და მათი მკვლელობის აშკარა გახშირების ფონზე, ვითარება უფრო ტრაგიკულია. ქალზე ძალადობა სისტემურია; ქალებს კლავენ ყველგან, ყველა სოციალურ ჯგუფში – ქალაქში, სოფელში, ოჯახში, სასწავლო დაწესებულებებში. სანამ სიცოცხლის მოსპობამდე მივიდოდეს, ქალების და გოგონების ჩაგვრა, მათთვის თავისუფლების შეზღუდვა უამრავი, ფართო საზოგადოებისათვის ხშირად შეუმჩნეველი ფორმით იჩენს თავს.

და ჩვენ ბრძოლას სწორედ ჩაგვრისა და დისკრიმი-

ნაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად ვინყებთ. ჩვენ ვერთიანდებით იმისთვის, რომ დაცული იყოს ყველა ქალის ღირსება და თანასწორი უფლებები – რაოდენ განსხვავებული შესაძლებლობები თუ საჭიროებებიც უნდა ჰქონდეთ მათ.

იმისთვის, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ თვალი გაუსწორონ საქართველოში სქესებს შორის უთანასწორობას და ერთად ვიფიქროთ ამ უსამართლობის აღმოფხვრის გზებზე. იმისთვის, რომ შეიცვალოს პატრიარქალური კულტურა, რომელშიც ქალს ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე კაცს.

იმისთვის, რომ შევთანხმდეთ – ქალზე ძალადობა, მათ შორის ოჯახში, მთელი ქვეყნის და საზოგადოების სატკივარია და არა ვინმეს „პირადი საქმე“. ყველამ გავიაზროთ, რომ ქალი არასოდეს, არც ერთ ვითარებაში არ „იმსახურებს“ ძალადობრივ მოპყრობას. ჩვენ ვერთიანდებით იმისთვის, რომ ყველა გოგონას და ქალს თანაბრად შეეძლოს განათლების მიღება. იმისთვის, რომ ქალებს მიეცეთ კაცების თანაბარი შესაძლებლობა პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის და გზა გაეხსნათ გადწყვეტილების მიმღები პოზიციებისაკენ, მათ შორის პოლიტიკის სფეროში. ქალი ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა გახდეს. შეწყდეს მისი შრომის კაცისაზე ნაკლებად ანაზღაურება. ქალი უნდა გახდეს სრულუფლებიანი მემკვიდრე. ჩვენ ვებრძვით სტერეოტიპებსა და კლიშეებს, რომლებიც ქალების ჩაგვრას და მათზე ძალადობას უწყობს ხელს. ჩვენ გვიწევს ბრძოლა ყოველდღიურობაში – პოპკულტურაში, მედიასა და რეკლამაში – გამოვლენილი ქალის დამცირების წინააღმდეგ.

ვიბრძვით იმისთვის, რომ ქალებს შეეძლოთ გადწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება პირადი ცხოვრების,



ქორწინების, განქორწინების, სექსუალურობის და სხეულის ავტონომიის შესახებ. ვუპირისპირდებით ნაადრევ ან იძულებით ქორწინებას. ყველა იმ წეს-ჩვეულებასა და პრაქტიკას, რომლებიც ქალს ართმევს საშუალებას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პირადი ცხოვრების შესახებ.

ჩვენი გზა არ იქნება იოლი, მაგრამ ყველა სირთულის დაძლევისთვის მზად ვართ, რადგან ვიცით, რომ ახლა, ამ წუთებში, ჩვენ გარშემო უამრავ ქალს ეზღუდება პიროვნული თავისუფლება, უამრავი ქალი ძალადობის მსხვერპლია.

ჩვენი ბრძოლა სამართლიანობის, ღირსების, თანასწორობისთვის ბრძოლაა და ის არა მხოლოდ ქალების, არამედ მთელი საზოგადოების და ქვეყნის უკეთეს მომავალს

ემსახურება.

ძალადობასთან სისტემური და მძლავრი დაპირისპირების ნაცვლად, ხელისუფლება ფრაგმენტულ და ხარვეზიან რეაგირებას გვთავაზობს და აქცენტი მხოლოდ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადააქვს, მაშინ როცა ქალზე ძალადობა კომპლექსურ მიდგომას და დამხმარე მექანიზმების ჩამოყალიბებას საჭიროებს. არაძალადობრივი კულტურის დამკვიდრებაში თანამდებობის პირებმა და საჯარო მოხელეებმა პირადი მაგალითების მეშვეობით უნდა შეიტანონ წვლილი – აღნიშნულია პეტიციაში, რომლის სამივე ადრესატმა სენსიტიური მართლმსაჯულების სისტემის ფორმირებაზე უნდა იზრუნოს.

ლელა სურმავა

მულტიპლი შეზღუდვა გავშვის გაღიზიანებას ინვესტ...

გვესაუბრება გურიის რეგიონის შშმ შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ფსიქოლოგი თამაზ დოლიძე

ჩვენი საუბარი მსურს ასე დავინყოთ – არ არსებობს ცუდი ადამიანი, ადამიანს აქვს ცუდი თვისებები და ასევე აგრესიის შემთხვევაშიც. არ არის სწორი, როცა ვამბობთ, აგრესიული ბავშვი. ბავშვს აქვს აგრესიული ქცევა. ამ დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს ბავშვის ქცევაზე და არა პიროვნებაზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ჩვენ არ ვეხებით მის პიროვნებას, არამედ ვეხებით მის ქცევას.

აგრესია არის სხვის მიმართ გამოხატული უარყოფითი ემოცია, ხშირად უარყოფითი ემოცია განიხილება აგრესიულ ქცევად, საბოლოოდ უარყოფითი ემოციის შედეგი არის აგრესიული ქცევა, მაგრამ ყოველთვის არა. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვს რაღაც არ მოსწონს, ბრაზს იწვევს მასში, მაგრამ ეს ყოველთვის არ მიდის აგრესიულ ქცევამდე.

– რამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული ქცევა და რა როლი ენიჭება ოჯახს აგრესიული ქცევის ფორმირებაში?

– აგრესიული ქცევა ბავშვებში შეიძლება ბევრმა ფაქტორმა განაპირობოს, მაგალითად ხშირი აკრძალვები: „ეს არ გააკეთო“, „ხელი არ მოკიდო“, „არ შეიძლება“ და ასე შემდეგ. ეს სიტყვები თითქმის ყოველთვის გვემის ბავშვებთან მიმართებაში, ვუკრძალავთ, მაგრამ არ ვუხსნით, რატომ არ შეიძლება, ბავშვი ქვეცნობიერ არას ვერ იღებს, მისთვის წარმოუდგეელია, რატომ არ შეიძლება. მუდმივი შეზღუდვა, ინვესტი ბავშვის გაღიზიანებას, რაც შესაძლოა აგრესიული ქცევის მიზეზი გახდეს, ასევე ყურადღების ნაკლებობა მშობლების მხრიდან, სითბოსა და ყურადღების ნაკლებობას ბავშვები აგრესიით პასუხობენ, ამით ცდილობენ ასე მაინც მიიპყრონ მათი ყურადღება. მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემო, რომელშიც იზრდება ბავშვი, მუდმივი ხმაური, უთანხმოება ოჯახის წევრებს შორის ხდება ბავშვის სტრესის მიზეზი, რაც საფუძველი შეიძლება გახდეს აგრესიული ქცევის. დამოუკიდებლობის სურვილი, ხასიათის ის თვისებაა, რომლის განვითარება და ჩამოყალიბება ბავშობიდან უნდა დაიწყოს, ხშირ შემთხვევაში კი ჩვენ ვბლოკავთ მას, ჩვენ გვინდა ბავშვმა ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც ჩვენ გვინდა, ჩვენ მოგვწონს, გვაიზიწყდება რომ ის არის ბავშვი და ყველაფერს ჩვენი სურვილების



მიხედვით ვერ გააკეთებს. მშობლები ძირითადად ვყიდულობთ იმას, რაც ჩვენ გვინდა, ბავშვი მიგვყავს იქ, სადაც ჩვენ გვინდა, ვაცმევთ იმას, რაც ჩვენ მოგვწონს, ირიბად კი ვბლოკავთ მის პიროვნებას, იმიტომ რომ ის ბავშვია და უნდა რომ იყოს ფუფალა, ჩვენ კი დიდები ვართ და კარგი გემოვნება გვაქვს. დამოუკიდებლად რაღაცის კეთება, თუნდაც სასურველი ტანსაცმლის ჩაცმა, რაც მას უნდა, მნიშვნელოვანი დასაწყისია მისი პიროვნების დამოუკიდებლობის, თუ არ გინდა რომ იყოს ფუფალა, ხომ შეიძლება შენთვის მისაღები რამდენიმე ტანსაცმლიდან ამოარჩევინო ის რაც მას უნდა, ამით არა მარტო დამოუკიდებლობის განვითარება ხდება, არამედ გემოვნების ჩამოყალიბებასაც შეუწყობს ხელს. აგრესიის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს დაგეგმილის ვერ განხორციელება, როდესაც ხდება მისი სურვილის ფრუსტრაცია, ეს კი შესაძლოა წინაპირობა იყოს აგრესიული ქცევის.

– რა ფორმებით შეიძლება გამოვლინდეს აგრესიული ქცევა?

ფეხების ბაკუნით, ყვირილით, შეურაცხყოფას აყენებს, თმებს წინკნის სხვებს, ურტყამს, ისვრის, ამტვრევს სათა-

მაშობებს და ასე შემდეგ.

– როგორია ინტერნეტის და კომპიუტერული თამაშების გავლენა აგრესიულ ქცევაზე?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური თემაა, ვინაიდან იშვიათად ნახავთ ბავშვს, რომლის ოჯახშიც კომპიუტერი არ არის და არ თამაშობდეს კომპიუტერულ თამაშს, ან ტელევიზიით უყურებენ ძალადობის შემცველ მულტფილს, რაც დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, თამაშში თუ მულტფილში ნანახ ძალადობას ხშირ შემთხვევაში აღიქვამენ, როგორც მისაღებს, ბაძავენ და იმეორებენ ნანახს, ზოგადად დაუშვებელია ბავშვების ტელევიზორთან თუ კომპიუტერთან დიდი ხნით დატოვება. ბავშვი ადვილად ილღება, რაც აგრესიული ქცევის საფუძველი ხდება.

– რას იტყვი ოჯახში ბავშვის აღზრდის სტილზე?

– ყველა ოჯახს აქვს აღზრდის თავისი სტილი, რა თქმა უნდა, ეს სტილი გავლენას ახდენს ქცევის ჩამოყალიბებაზე, როცა ოჯახში არის ავტორიტარული აღზრდის სტილი, აკონტროლებენ ბავშვის ქცევას და აიძულებენ დაემორჩილონ წესებს, იძლევიან ბრძანებებს და ბავშვს აიძულებენ მათ შესრულებას, ამ ტიპის ოჯახში აღზრდილი ბავშვები არიან ჩაკეტილები, გალიზიანებული და დათრგუნულები, რაც აგრესიული ქცევის წინაპირობაა. ავტორიტეტული – კონტროლი და ამავე დროს თბილი დამოკიდებულება, მშობლები ყოველთვის ეკითხებიან ბავშვს, რა სურს, აძლევენ არჩევანის საშუალებას და ამავე დროს აკონტროლებენ ბავშვის ქცევას, ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვები არიან თავდაჯერებულები და უყალიბდებით მაღალი თვითშეფასება. ლიბერალურ მშობლებს შვილებთან აქვთ თბილი დამოკიდებულება, ყველაფრის უფლებას აძლევენ. ისინი თითქმის არ აკონტროლებენ ბავშვს, ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვი იქნება ჯიუტი. ზოგჯერ ექმნებათ პრობლემა ისეთი საქმის შესრულებაში, რომელიც ძალისხმევას მოითხოვს, ოჯახში სადაც აღზრდის სტილია ლიბერალური, შესაძლოა ერთ დღეს შვილმა როცა გაიზრდება, უთხრას დედას – მე შენ არ გიყვარვარ, იმიტომ რომ ყველაფრის უფლებას მაძლევდი და ამის საკმაოდ ბევრი მაგალითი არსებობს. დემოკრატიული აღზრდის სტილი, მეც ვარსებობ და შენც არსებობ, ეს ის სტილია სადაც ორივე მხარის, დედის და შვილის აზრები ერთნაირად არის გათვალისწინებული, სა-

დაც ოჯახი წარმოადგენს ერთ მთლიან ჯგუფს.

– როგორ შეიძლება აღმოფხვრას აგრესიული ქცევა?

– ყველაზე მნიშვნელოვანი არის, რომ აგრესიულ ქცევას არ ვუპასუხოთ აგრესიული ქცევით, ყვირილი, უხეში მოპყრობა, უხეში ფორმით დასჯა არ არის გამოსავალი, ასეთი მიდგომა იძლევა უკუ შედეგს და მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს. იმისთვის, რომ გავიგოთ, რა ინვესტს აგრესიულ ქცევას, დავაკვირდეთ, რა ინვესტს მის გალიზიანებას და ვასწავლოთ ბავშვს სოციალურად მისაღებ ფორმებში მოახდინოს აგრესიის გამოხატვა, სიტყვით, ხატვით, თამაშით და სხვა. ბავშვი თანდათან სწავლობს ემოციების გამოხატვას საუბარში, ფერებით, ფორმებით, თამაშის დროს. რაც მისაღებია და ეფექტურია არა მარტო ემოციების გამოხატვისთვის, არამედ მათი მართვისთვისაც. ამ საშუალებებით ბავშვი თავისი შინაგანი სამყაროს აღწერას ახერხებს, რაც მისი აგრესიული იმპულსების ტრანსფორმაციისა და მისაღებ კალაპოტში ჩაყენების წინაპირობაა.

მაქსიმალურად თავი შევიკავოთ მუდმივი აკრძალვებისგან, ვეცადოთ, შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც უსაფრთხო იქნება ბავშვის ყოფნა და არ მოგიწევთ ხშირი თქმა მოშორდი ან ხელი არ მოკიდო რაიმე ნივთს. აკრძალვის შემთხვევაში კი ავუხსნათ, რატომ არ შეიძლება. აუცილებლად უნდა მოხდეს ბავშვის პოზიტიური ქცევის შექება, “კარგი გოგო ხარ” ან „კარგი ბიჭი ხარ“, უმჯობესია ვუთხრათ „შენ ძალიან მასიამოვნე, რომ არ იჩხუბე“ ვაქებთ და თან ხაზს ვუსვამთ, რატომ ვაქებთ, ბავშვმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რატომ ვაქებთ. არ შეადაროთ შვილი თანატოლებს, ამით შეიძლება შური გამოიწვიოთ, გაუჩინოთ ლტოლვა, სწრაფად დაამტკიცოს თავისი უპირატესობა, შეადარეთ მხოლოდ საკუთარ მიღწევებს, ფრაზა რომ ვინმეზე უარესია არასოდეს გამოიყენოთ. ფსიქოლოგიაში არსებობს მარტივი კანონი, მოზარდში ძლიერდება ის მხარე რაზეც ყურადღებას ვამახვილებთ, ასე რომ, აგრესიულ ქცევას გაუკეთეთ იგნორირება, უკეთეს მხარეს მიაქციეთ ყურადღება, მისი არსებობა თანდათან გამოკვეთეთ და უარყოფითი თვისებები ნელ-ნელა შემცირდება.

ქეთევან კუკულავა

პირველი ქართული ჟურნალი ბურულაბზე



ბუჩი REGION

დაინტერესებულ მკითხველს მთავარობთ ჟურნალის გამოწერას
დაზვიკავშირდით რედაქციის საკონსტაქსო ნომერზე
790 46 48 01; 558 25 65 50

გამოდი სულო სინათლეზე



ჩოხატაურის სახალხო თეატრმა მორიგი პრემიერა წარმოადგინა. ამჯერად მაყურებელს შეთავაზა ა. მითაიშვილის პიესა „გამოდი სულო სინათლეზე“, „ჭკვიანი გიჟები.“ (ნ. დუმბაძის მოთხრობების მიხედვით). სპექტაკლი განახორციელა რეჟისორმა გოგი ცინცაძემ, მასვე ეკუთვნის სპექტაკლის სცენოგრაფია, მუსიკალურად გააფორმა ნინო სიხარულიძემ. როლებს ასრულებდნენ: გალაქტიონი, ქოფაკა – შალვა შარაშიძე; ბაჩანა, ნოდარი, სოსოია, ზურიკელა – გიორგი სიხარულიძე; ბეჟანა – გია ხვინჩიაშვილი; დიდრო – შოთა ყაჭვიშვილი; პართენა წვერა – გოგი ცინცაძე; ლოთი- ავთო მახარაძე; მარგო – ქეთევან კუკულავა; კოკა – რეზო კოტრიკაძე; ბერძენა – არჩილ სიხარულიძე.

სპექტაკლი იწყება გალაქტიონ მთვარაძის დიალოგით ბაჩანასთან, რომელიც საუბრობს სამყაროს შექმნაზე, ადამიანის დანიშნულებაზე, საკუთარი სახელისა და გვარის წარმომავლობაზე. იგი თავს ჰუმანოიდს უწოდებს. მისი აზრით არსებული ცივილიზაცია დედამიწაზე უკულმართად ვითარდება, უცხო პლანეტიდან იმიტომ „გვეწვია“, რომ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენოს, ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც ჰუმანოიდები იყვნენ: სერვანტესი, ბახი, ბეთჰოვენი, რუსთაველი, ფალიაშვილი, თამარი, დავითი, ილია, აკაკი. როცა ერი მათ დაივინყებს, ის განწირულია დასაღუპად. ადამიანებს ამ ჰუმანოიდებისთვის რომ კარგად ეგდოთ ყური, მაშინ ყველაფერი უფრო უკეთ იქნებოდა. შემდეგ კი თავის მშობელ პლანეტას ჰომოსს „უბრუნდება“, ამასთანავე ბაჩანას უბარებს, რომ ერთი წუთითაც არ მოადუნებს ყურადღებას ადამიანებისადმი. ბაჩანას კი ჰუმანოიდს უწოდებს, რადგან ყველა კეთილი და პატიოსანი ადამიანი ჰუმანოიდი...

ბაჩანა, ნოდარი, სოსოია – გვაცნობს თანასოფლელებს, გვიყვება თითოეული მათგანის ისტორიას, რომლებსაც სხვადასხვა უბედური შემთხვევის გამო ფსიქიკა დაუმახინჯდათ. სპექტაკლში ერთმანეთს ენაცვლება კომედიური და ტრაგიკული სცენები. მაყურებელი სცენაზე გაცოცხლებულ პერსონაჟებთან ერთად განიცდის მათი სულიერი მდგომარეობის ცვლილებებს, მათ სიხარულს, აღტაცებასა თუ მწუხარებას.

სცენისმოყვარეებმა დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს. თითოეული მათგანი უშუალოდ და ინდივიდუალობით გამოირჩეოდა. უნდა აღინიშნოს გოგი ცინცაძის პიესის თავისებური გადაწყვეტა და მისივე სცენოგრაფია, რომელიც ზუსტად მიესადაგა სცენაზე მიმდინარე მოქმედებას.

სპექტაკლის წარმატებას ასევე ხელი შეუწყო ნინო სიხარულიძის მუსიკალურმა გაფორმებამ, რომელიც თითოეული პერსონაჟის შინაგანი სამყაროს გადმოსცემს. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა კიდევ ერთხელ იხილა თავის საყვარელ მსახიობებთან ერთად პრემიერის გამარჯვება, რის დასტურიც მქუხარე აპლოდისმენტები, ყვავილები და ამალღებული განწყობილება იყო.

პრემიერის შემდეგ შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს – **თამარ კვეციანი** ჩოხატაურის კულტურის ცენტრის დირექტორი: ჩვენს თეატრს მომავალ წელს დაარსებიდან 130 წელი უსრულდება. თავისი არსებობის მანძილზე მრავალჯერ ჰქონია რთული პერიოდები, მაგრამ პრობლემებზე ყოველთვის იმარჯვებდა თეატრისადმი თავდადებული ადამიანები და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩოხატაურის თეატრი დღემდე მოვიდა. მოხარული ვარ, რომ კვლავ წარმატებული პრემიერით წარსდგა სახალხო თეატრი ერთგული მაყურებლის წინაშე. მსურს, მივულოცო შემოქმედებით ჯგუფს ეს გამარჯვება და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო.

ვასილ ჩიგოგიძე – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი: პირველ რიგში ბედნიერებაა, რომ ის ტრადიცია, რაც ჩოხატაურის თეატრს ჰქონდა, შენარჩუნდა და მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა თეატრი ცოცხლობს. ჩოხატაურის თეატრალური სკოლა ოდითგანვე იყო ბაზა ბათუმის, ოზურგეთისა თუ სხვა ქალაქების თეატრებისა. საქართველოს სხვადასხვა თეატრებს ამშვენებდა ჩოხატაურელი ლამარა კალანდაძე, გრიშა კალანდაძე, აკაკი მგელაძე, ნაზი კეჭაყმაძე, კუკური გოგიბერიძე, თედო წეროძე და სხვები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. ფაქტობრივად ჩვენ ყოველწლიურად ვხედავთ ჩოხატაურის თეატრში ახალ პრემიერებს, ვხედავთ იმ საოცარ დამოკიდებულებას, რაც თვითონ კულტურის მესვეურებს აქვთ თეატრისადმი. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ყოველი სპექტაკლის ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, აქ საოცრად განსხვავებული მაყურებელია, თითოეულ მაყურებელი თხემით





ტერფამდე გრძნობს და განიცდის სცენაზე მიმდინარე მოქმედებას. თუმცა ეს გასაკვირი არცაა, რამეთუ გურული კაცის ბუნებაა თეატრთან ახლოს. გურული გენეტიკური კოდი კი დუმბაძის თითქმის ყველა ნაწარმოებში დევს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ჩოხატაურელი სცენისმოყვარეების მიერ გაცოცხლებულ პერსონაჟებში და მე, როგორც ძირით ჩოხატაურელს ეს ძალიან მახარებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თუ იქნება საქმისადმი გულწრფელი დამოკიდებულება, შეუძლებელი არაფერია. კიდევ ერთხელ ვულოცავ ნიჭიერ ადამიანს გოგი ცინცაძეს და თითოეულ მონაწილეს სპექტაკლის წარმატებას. რა თქმა, უნდა ვითვალისწინებთ, თუ სად და რა პირობებში ჩატარდა სპექტაკლი. კინო-თეატრის შენობაში, სადაც სათეატრო ესტეტიკას იყო მოკლებული გარემო, სადაც არ არის საჭირო და აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და ასე შემდეგ ამ პირობებში ასე გათამაშება ამ სპექტაკლისა ეს მართლაც დიდი მიღწევაა. მჯერა, სპექტაკლი დიდხანს იცოცხლებს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ოზურგეთის თეატრის მსახიობებთან ერთობლივად ვითამაშოთ „ჭკვიანი გიჟები.“ შემდეგ კი სხვადასხვა ფესტივალებზე იქნას წარმოდგენილი. ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომით ჩოხატაურის სახალხო თეატრი უფრო პოპულარული გახდება. კიდევ ერთხელ მადლობა და მრავალ ასეთ ლამაზ და წარმატებულ დღეებს გისურვებთ.

ზაზა ჯინჭარაძე – ოზურგეთის დრამატული თეატრის დირექტორი: მინდა გითხრათ, ძალიან დიდი სიხარული მონიჭა სპექტაკლმა. საერთოდ ეს პიესა დრამატურგ ალექო

მითაიშვილის მიერ ორიგინალურადაა დაწერილი, რომელიც ოზურგეთის თეატრში განხორციელდა და რომლითაც ლიტვაში საერთაშორისო ფესტივალზე მივიღეთ მონაწილეობა. მოხარული ვარ, რომ ჩოხატაურის სახალხო თეატრშიც წარმატებით დაიდგა. მართლაც რომ საოცარი სახეები შექმნეს მსახიობებმა. მოხიბლული ვარ გოგი ცინცაძის რეჟისურით, სწორად გააზრებული სცენოგრაფიითა და არტისტიზმით. ზუსტად მიგნებული მუსიკალური გაფორმებით. ერთი სიტყვით შემოქმედებითი ჯგუფის მიერ შესანიშნავი ნამუშევარი ვიხილეთ და ამისათვის თითოეულ მონაწილეს დიდ მადლობას მოვხსენებ. თქვენი პირობებიდან გამომდინარე ნამდვილი გმირები ხართ, რომ ასეთი დონის სპექტაკლი აჩვენეთ მაყურებელს. თამამად შემოძლია ვთქვა, ამ სპექტაკლით ნებისმიერ საერთაშორისო ფესტივალზე შეგიძლიათ წარდგეთ. ვამაყობ, ჩოხატაურის თეატრით. წარმატებებს გისურვებთ.

ეკა დიხამინჯია, პედაგოგი – ვამაყობ, რომ ამ პატარა ჩოხატაურში არის თეატრალური დასი, რომელსაც შეუძლია აგატიროს, გულიანად გაცინოს, თავისი ემოცია შენამდე მოიტანოს. საოცარი არტისტიზმი, შესაბამისი დეკორაცია, არაჩვეულებრივი მუსიკალური გაფორმება და განსაკუთრებული გურული ნიჭი... ამ ყველაფერმა განაპირობა სპექტაკლის წარმატება. შვიდი არაჩვეულებრივი მსახიობი მამაკაცი და საოცარი არტისტიული შარმის მქონე ქეთევან კუკულავა, რომელმაც კიდევ ერთხელ მოხიბლა მაყურებელი. მადლობა შემოქმედებით ჯგუფს ამ ლამაზი დღისთვის. წარმატებასა და წინსვლას გისურვებთ.

სალომე კილასონია



სესილი და
იოანე წინააღმდეგ
ვულოცავთ
წმინდა ზარზარეს
ღღესასწაულს.
ჯანმრთელობას
და ზედნიერებას
ვუსურვებთ.

ჟურნალი გურია REGION-ი



მამა ისაკი ყველა განსაცდელს ღირსეულად უხვდა

მღვდელი ისაკ ანტონის ძე კეკელიძე 1863 წლის 9 იანვარს (ძველი სტილით), გურიაში, ჩოხატაურის რაიონის, სოფელ იანეულში, მღვდლის – ანტონ კეკელიძისა და ელისაბედ იობის ასულ ჩიგოგიძის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. იანეულში მცხოვრებ კეკელიძეთა ეს შტო სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა. საარქივო მასალებით ირკვევა, მამა ისაკის ბაბუა, მღვდელი იოანე იესეს ძე კეკელიძე იყო პირველი მოძღვარი ამ შტოში. იგი დაიბადა 1795 წელს გურიის სამთავროში, საბატონოს ყმის ოჯახში. ჰყავდა მეუღლე და ოთხი ვაჟი: ნიკოლოზი, მაქსიმე, ანტონი, და იესე. წმინდა ნერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ყმანვილმა იოანემ იმერეთში, გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში ისწავლა, რის შემდეგაც თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და 1820 წელს ჯუმათელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (შარვაშიძე) ჯერ დიაკვნად აკურთხა, მალევე მღვდლად დაასხა ხელი და იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. თითქმის ორმოცი წელი იმსახურა მამა იოანემ იანეულის ეკლესიაში



მღვდელი ისაკ კეკელიძე

– ერთგულებითა და პატიოსნებით, რითაც მრევლის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1839 წელს მამა იოანეს თაოსნობით აშენდა იანეულის ახალი ხის ეკლესია, რომელიც ამავე წელს აკურთხა წმინდა გიორგის სახელებზე.

მამა იოანეს შემდეგ ტაძრის წინამძღვრის ადგილი მისმა მესამე ვაჟმა, მღვდელმა ანტონმა დაიკავა. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ იგი თავდაპირველად ტაძარში მედავითნის მოვალეობას ასრულებდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით 1858 წელს, გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) მას მღვდლად დაასხა ხელი და იანეულის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. მამა ანტონი სამი ათეული წელი ემსახურა უფალს და 1893 წლის 16 მაისს, თავისი თხოვნის საფუძველზე, პენსიაზე გავიდა.

ბაბუის და მამის გზის ღირსეული გამგრძელებელი იყო მღვდელი ისაკ კეკელიძე, რომელიც ამ შტოში უკანასკნელი მოძღვარი გახლდათ. ისაკმა 1882 წელს წარჩინებით დაამთავრა ოზურგეთის ოთხწლიანი სასულიერო სასწავლებელი და ამავე წლის 1 სექტემბერს სოფელ ციხიის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1890 წლის 15 ოქტომბერს იგი ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის უმცაბო მედავითნე იყო.

ამ პერიოდში ისაკმა ჯვარი დაინერა ანა ბართლომეს ასულ მილორავაზე, რომელთანაც 10 შვილი შეეძინა:

ანტონი, ტარასი, გრიგოლი (გრიშა), ნინო, ალექსანდრა, თომა (კოტე), ოლლა, ანდრია, მიხეილი და კორნელი. ანა მღვდლებისთვის შესამოსელს კერავდა.

1892 წლის 27 მაისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ისაკი დიაკვნად აკურთხა და ფოთის საკათედრო ტაძარში დაადგინა. 1893 წლის 6 ივნისს მეუფე გრიგოლმა მღვდლად დაასხა ხელი და იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1894-1899 წლებში მამა ისაკი ერკეთის ოლქის სამღვდლოების მხრიდან იყო დეპუტატის კანდიდატად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. 1899 წლის 10 ივნისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის საგვერდულით დააჯილდოვა. 1895 წლის 1 მარტს სკუფია უბოძეს. 1907 წლის 10 ივლისს გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ერკეთის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. 1913 წლის 6 მაისს კამილაკა ეწყალობა. 1909 წლის 13 მაისს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ მამა ისაკი სოფელ სურების ორკლასიანი სახალხო-სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნა. 1909 წელს მამა ისაკმა თავისი პირადი ხარჯებით ააშენა იანეულის ეკლესიის ახალი სამრეკლო, რაც მას 150 მანეთი დაუჯდა. 1910 წელს, ასევე თავისი ხარჯებით, სოფელ იანეულში გახსნა ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის გამგე და საღვთო სჯულის მასწავლებელიც თავადვე იყო. ამ სკოლამ 1918 წლამდე იარსება. ამჟამად იქ საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს.

მამა ისაკს დიდი ავტორიტეტი და სახელი ჰქონდა სოფელში. იგი იყო ფრიად განსწავლული და კეთილშობილი პიროვნება. მისი წინამძღვრობის დროს სოფელში უამრავი სასიკეთო რამ გაკეთდა და თითქმის ყველაფრის სულის ჩამდგმელი და წამომწყები მამა ისაკი გახლდათ. იგი ხელს უმართავდა გაჭირვებულ ადამიანებს, სოფლის ახალგაზრდებს ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა, წირვის შემდეგ ხშირად ქადაგებით მიმართავდა მრევლს და სარწმუნოების სხვადასხვა საკითხებს განუმარტავდა.

1921 წელს საქართველოს სახელმწიფოს ხელმეორე ანექსიის შემდეგ ქვეყანაში საშინელი რეპრესიები დაიწყო. უღმერთო კომუნისტური ხელისუფლება ანგრევდა ეკლესია-მონასტრებს და ხელყოფდა საეკლესიო სინამდვილებს. 1922-1923 წლებში ადგილობრივმა ხელისუფლების წაქეზებით სოფლის კომკავშირლებმა იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დაანგრიეს და მამა ისაკს ღვთისმსახურება აუკრძალეს. ოჯახის წევრთა გადმოცე-

მით, როდესაც ტაძრის სამრეკლოდან ზარს აგდებდნენ, გააგებულ კომკავშირლებს მამა ისაკი წინ გადაუდგა და შეევედრა – ნუ ჩაიდენდნენ ღვთის სანინაალმდეგო საქმეს, რადგან სასჯელი არ აცდებოდათ ამ ცოდვის გამო. ერთმა კომკავშირელმა მანინც ჩამოაგდო ზარი და შეშლილი ხმით დაუყვირა მოძღვარს – ისაკი გლახა, ზარი რომ ჩამოვაგდე, რატომ არ დამსაჯა ღმერთმაო? მამა ისაკმა კი უპასუხა – მეტი რა უნდა დაგსაჯოს, აზრი და გონება დაკარგული გაქვს უკვეო.

ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რა მდგომარეობა იყო მთელი გურიის მასშტაბით ანტირელიგიური კამპანიის მხრივ, საკმარისია გადავხედოთ 1924 წელს გაზეთ „კომუნისტი“ ვინმე გრ. მ-ს ინიციალებით გამოქვეყნებულ პატარა წერილს სათაურით – „რელიგიის საკითხი გურიაში“:

„აგრარულ მოძრაობის დაწყებასთან ერთად 1901 წელს იწყება ბრძოლა, როგორც მემამულეების, ისე სამღვდლოების წინააღმდეგ. ეს მოძრაობა თანდათან გაძლიერდა და 1905 წელში თითქმის ლეგალური შეიქმნა. მთავრობა, ფაქტობრივად, არსად ჩანდა. მღვდლებს, ეკლესიას და მემამულეებს გამოეცხადა ბოიკოტი.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამარჯვებული რეაქცია ავალებს გლახობას, იაროს ეკლესიაში და პატივისცემით მოუპყრან სამღვდლოებს. გლახობაში კი ეს უფრო მეტ ზიზლსა და მძულვარებას იწვევს ეკლესიისა და სამღვდლოებისადმი.

საბჭოთა მოძრაობის დაარსებისთანავე ბევრმა სოფელმა, ხელისუფლების დაუკითხავად, ეკლესიები სახალხო სახლებად გადააკეთა, დარწმუნებული იმაში, რომ მუშურ-გლეხურ მთავრობას სანინაალმდეგო არაფერი ექნებოდა. 1922 წელში გურიის კომიტეტმა ორმოცამდე ანტირელიგიური ლექცია მოაწყო სპეციალურად. 1923 წლის მარტის თვიდან ყველა კუთხიდან მოდიოდა დადგენილებები ეკლესიების გაუქმებაზე. გურიის კომიტეტმა გაუწია ანგარიში ხალხის მოთხოვნას, დაგზავნა ყველგან პროპაგანდისტ-აგიტატორები, რომლებიც ხალხს უხსნიდნენ მღვდელ-ბერების მატყუარობას და ღმერთების არარსებობას.

ხალხს გამოჰქონდათ დადგენილებები, თითქმის ერთხმად, ეკლესიების დახურვის შესახებ. თუ სადმე წინააღმდეგი იქნებოდა უმნიშვნელო უმცირესობა, იქ ეკლესია არ იკეტებოდა.

გაუქმდა 130-მდე ეკლესია და გადაკეთდა სახალხო სახლებად, სკოლებად და სამკითხველოებად. ძველი ისტორიული ეკლესიები, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ, ხელუხლებლნი დარჩნენ. მღვდლების დიდმა უმეტესობამ გაიპარსა, ბევრმა მღვდელმა აშკარად აღიარა ხალხის წინაშე, როგორ ატყუებდნენ ხალხს. ეკლესიების კვლავ გახსნის შესახებ იყო სამი განცხადება, რომელზეც ხელს აწერდნენ 60-მდე მღვდელი, მედავითნე და სასულიერო წოდების პირები. არცერთი მუშა და გლეხი მათ განხადებას ხელს არ აწერდა“.

მამა ისაკი ტაძრის დახურვის შემდეგ ქობულეთის მხარეში, ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში გადაასახლეს, სადაც ტიფით დაავადდა. ის სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

რამდენიმე წლის შემდეგ მას მისცეს უფლება, დაბრუნებულიყო სოფელში, თუმცა საეკლესიო წესების შესრუ-

ლება აკრძალული ჰქონდა. მამა ისაკმა სახლში მოაწყო სამლოცველო და ფარულად აღასრულებდა ქრისტიანულ წესებს. 1935 წლამდე ის კანონგარეშედ გამოცხადდა, არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება. ამ წელს კი მას თავისუფალი მოქმედების ნება დართეს.

სიცოცხლის დარჩენილი წლები მამა ისაკი სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. მუშაობდა მინაზე და თავს ამით ირჩენდა.

მოძღვარზე დაწყებული დევნა და რეპრესიები მისი ოჯახის წევრებზეც აისახა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ მისი სამი ვაჟი იმსხვერპლა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, შორაპნის მაზრაში დახვრეტილთა შორის იყო სტუდენტი გრიგოლ კეკელიძე, რომელიც იმჟამად 24 წლის გახლდათ და სოციალ-დემოკრატთა პარტიას ეკუთვნოდა, ხოლო 1937-1938 წლების რეპრესიებს ტარასი და თომა კეკელიძეები შეენივნენ.

ხელისუფლების მიერ შევიწროებული და გატანჯული მამა ისაკი სულით არ დაეცა. ის ღირსეულად და ვაჟკაცურად შეხვდა ღვთისაგან მოვლენილ ყველა განსაცდელს. ჩვეულს მხოლოდ ის უკლავდა, რომ ტაძარში მსახურება აღარ შეეძლო, ქრისტეს სისხლსა და ხორცს ვერ ეზიარებოდა. ღრმადმოხუცებული მოძღვარი 1947 წელს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა მისი ცხედარი იანუელის საგვარეულო სასაფლაოზე, წინაპართა გვერდით მიაბარეს.

ასევე სასულიერო პირი გახლდათ მამა ისაკის უფროსი ძმა მიხეილი, რომელიც 1857 წელს დაიბადა. სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ორი კლასი დაასრულა. 1880 წლის 20 მარტს იანუელის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ დაინიშნა. 1894 წლის 6 სექტემბერს ციხიის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის შტატის მედავითნედ გადაიყვანეს. 1895 წლის 25 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და იმავე ტაძარში დატოვა. 1900 წლის 30 აპრილს, თავისი თხოვნის საფუძველზე, დიაკონი მიხეილი იანუელის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადავიდა. 1900 წლის სექტემბრიდან მამა მიხეილი იანუელის სამრეკლო-საეკლესიო სკოლაში გალობის მასწავლებლად დაინიშნა. მასვე დაევალა ობოლ ბავშვთათვის გახსნილ საზრუნველზე ხელმძღვანელობა. 1914 წლის 9 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ოქროპირიძე) დაიკონ მიხეილს მღვდლად დაასხა ხელი და ბუკნარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. მოძღვარი ადრე დაქვრივდა. დარჩა ერთი ასული – შუშანიკი (დაბადებული 1895 წელს).

1910 წელს შედგენილ ნამსახურებათა ნიგში მღვდელ ისაკ და დაიკონ მიხეილ კეკელიძეების გარდა, დასახელებულია ასევე მათი ორი უმცროსი ძმა: დიომიდე (დაბადებული 1870 წელს) და გიორგი (დაბადებული 1883 წელს). დიომიდე ზუგდიდის მაზრაში ფერულად მუშაობდა, ხოლო გიორგი ჩოხატაურის მაზრის საფოსტო განყოფილების თანამშრომელი იყო.

ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მამა ისაკის შვილიშვილს, ისაკ კეკელიძეს



მკვლელობის ვეჩხია

აფორიაქება დატყობოდა მუშლაძეთა ოჯახს. აგერ უკვე მე-3 დღე იღევა და ვარლამი არ ჩანს. ვარლამის ვაჟი, ბექა ადგილს ვერ პოულობს. მეორედ დარეკა დღეს განყოფილებაში, სანუგეშოს ვერაფერს ჰპირდებიან. თავადაც მთელი დღე ენაგადმოგდებული ძალივით დარბის, იმ იმედით, იქნებ რამე მნიშვნელოვანს წავაწყდეთ... რა იღონოს, რა წყალს მისცეს თავი, რა ბედი ელის მამას? ერთი იმათი ბუნაგი აღმოაჩინონა, არ დაინდობს, საკუთარი კბილებით დაგლეჯს, ისინი ხომ მგლები არიან, ადამიანებზე მონადირე მგლები. მერედა რისთვის იმეტებენ ადამიანებს... იმისთვის რომ სიმართლე აღიარა, ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ გაიღო ხმა... რალაც უნდა იღონოს... საიდან დაინყოს?..

უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგოს ყოველი ეჭვიმტანილი პიროვნების ადგილსამყოფელი, იმ პიროვნებების, რომელთაც ოდესღაც, თუ ამჟამად რაიმე სახის მტრობა აკავშირებდა ვარლამთან. უნდა გაიგოს, იყოფებიან თუ არა ისინი ადგილზე... ეშველება კი ამით საქმეს? – ეჭვმა გაკენლა ბექას... ვინ იცის... ცდის... ცდა ბედის მონახვერეაო, – გაიფიქრა და ყურმილს დაწვდა...

- გისმენთ, გაისმა ყურმილში ქალის დახშული ხმა.
- „ბატონ ნიკოს სთხოვეთ თუ შეიძლება“.
- „არ არის“.
- „სად შეიძლება იყოს?“
- „არ ვიცი“..
- „კვლავ მოკლე, არასრულ პასუხს დასჯერდა ქალი.
- „მაინც?“.
- „არ ვიცი“, – ერთობ სიტყვაძუნნი აღმოჩნდა მოპასუხე
- „შემეძლება სალამოს მასთან დაკავშირება?“.
- „არ ვიცი... ვერაფერს გეტყვით“ – ამ ჯერზე ტონი გაიკაცრა ქალმა და ყურმილი დაკიდა.

„ადამიანები ერთმანეთს ვერ ნდობენ, ყველას რალაცის თუ ვილაცის ქვეცნობიერი შიში დაუფლებია. მათი აზროვნება გამსჭვალულია მტანჯველი ფიქრით, – „ვინ შეიძლება ა იყოს შემდეგი?“ – ეტყობა მოპასუხესაც ვილაცის შიში აქვს, ამიტომაც ვერ მიიღო ხეირიანი პასუხი მისგან.

ამჟამად სხვა ნომერი აკრიფა ბექამ და პასუხის მოლოდინში გაინაბა.

- „– გისმენთ!“
- „– ბატონ ედიშერს სთხოვეთ“...

ყურმილი სასწრაფოდ დაუკიდეს. არც ამჟამად გაუმართლა მოლოდინმა, ერთსაც ცდის... ტყემლაძესთან გადარეკავს. მისდაუნებურად წამოუტივტივდა გუნებაში მამასთან მისი წა-

კამათების მომენტი და ნომრის ძებნას შეუდგა.

- „გისმენთ!“
- „ბატონი ჯუმბერი მინდოდა“.
- „არ გახლავთ შინ“.
- „სად შეიძლება მისი ნახვა?“
- „– ვერაფერს გეტყვით, სამი დღეა არ გამოჩენილა“...
- თეა! – გაისმა ყურმილში ქალის გულშენუხებული შეცხილი, რომელსაც თან აპარატის ხრიალი და მოგვიანებით ყურმილის დახეთქება მოჰყვა..

ბე ქა საქმის ვითარებას ჩაუფიქრდა, – „სამი დღეა მამის ასავალ-დასავალი არ ჩანს, სამი დღეა ტყემლაძე არ გამოჩენილა... ბექა სულმოუთქმელად მივარდა მამის შავ ჩემოდანს და შიგ რალაცის ძებნას შეუდგა. ჩემოდანში ყველაფერი თავის ადგილას იდო. – „უიარალოდ გასულა სახლიდან...ტყემლაძე მას მოკლავს, ყოველ მიზეზ-გარეშე მოკლავს“, – გაიფიქრა ბექამ, იარაღს დაავლო ხელი და სირბილით დაეშვა კიბეებზე.

- თეა, სულელლო! – წამოიძახა ქალმა და უსასოოდ მიესვენა დივანზე.
- რა მოხდა დედა? – თვალეები შიშით გაუფართოვდა გონანს.
- ვინ იცის, ვინ ოხერი იყო!
- რა მოხდა ასეთი?

– ნუთუ ვერ ხვდები, ნუთუ მართლა ვერ ხვდები ვერაფერს. ბავშვი ხომ აღარ ხარ? – ორთავე ხელს ჰაერში ასავსავებდა ღონემიხილი ქალი და ნერვიულად ტოკავდა.

– ვერა... გაუგებრობის ნიშნად მხრებში აინურა თეა – რაა აქ საგანგაშო, მე ვიცი რომ მამა საქმეების გამო ხშირად იგვიანებს, ზოგჯერ კვირაობითაც კი...

– არც კი გესმის, რა ხმები დადის ქალაქში, ის მოკლეს, ის დაიჭირეს... მუშლაძე არ ჩანს, აგერ კიდევ მამაშენის გაუჩინარების ამბავი. დაუკავშირებენ ამ ყველაფერს ერთმანეთს და მოგჭამა ჭირი.

– რა საერთო აქვს მამას ბოროტმოქმედთა წრესთან? – შეშფოთება დაეტყო ქალიშვილს.

– არ ვიცი... არაფერი ვიცი... მაინც რა ეშმაკი შეგიჯდა, – „სამი დღეა არ გამოჩენილაო,“ – ვილაც უტყბოს რომ მიახალე. რა მეთქვა? – მიამიტურად იკითხა თეამ და მზერა დაძაბა.

– არ არის... არ არის სახლში-თქო და მორჩა, განა სხვა ჩაგაბარებდა ანგარიშს. რა საჭირო იყო, ღმერთო ჩემო! – ალელვებისგან ადგილს ვერ პოულობდა ქალი.

- შენ რას ფიქრობ, მაინც სად შეიძლება იყოს მამა!
- არ ვიცი... არ ვიცი რა ვიფიქრო... – მძიმედ ამოიოხრა ქალმა

– არც მე ვიცი რა ვიფიქრო, – ჩუმად ჩაილაპარაკა გოგონამ, – თუ მამა ღმერთმ ა ქმნ ა და მართალი აღმოჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და... ბოროტმოქმედი მამი ს ყოლას უმამობა მირჩევნია...

უდიდესი თავსატეხი გაჩენოდათ ოპერმუშაკებს. მათ წინაშე უამრავ გადაუჭრელ პრობლემას ჰქონდა ადგილი. ქალაქიდან სამი ადამიანის გაქრობა უახლოეს დღეებში სახუმარო საქმე არ იყო. ორ გაუხსნელ დანაშაულს მესამე დაემატა. ისინი გრძნობდნენ, რომ მეტად საშიშ დამნაშავეებთან ჰქონდათ საქმე, რომელთაც ღრმად ჰქონდათ ფესვები გართხმული და ძლიერ ძალას წარმოადგენდა.

„ოსტატურად მოქმედებენ, ეტყობათ მრავლად არიან, ერთი მათგანი რომ აღმოგვაჩინინა... – ფიქრებს წაელო გამოძიებელი. შემოვიდა საშუალო სიმაღლის, წითური მამაკაცი და ხელებში თავჩარგული უფროსის წინაშე წარსდა.

– როგორ მიდის საქმეები? – თავი არ აუნევიან, ისე დაეკითხა უფროსი თანამემნეს.

– ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგიძლია, ხელები უიმედოდ გაშალა ოპერ მუშაკმა

– მაინც სანამ უნდა გაგრძელდეს ასე...

– ყველანი მაგას ვფიქრობთ...

– მე ყველაზე არ გეკითხები, საქმეზე გეკითხები, – ნაოჭარხლებულ სახეზე განრისხება გამოეხატა გამოძიებელს.

– მეც საქმეზე მოგახსენებ...

– მერედა სად ჩანს საქმე, რა გაქვთ გარკვეული?

– მარტონი ვერაფერს გავხდებით, დიდი ძალის მობილიზება, რაც მთავარი და ნიშანდობლივია, ხალხის დახმარებაა საჭირო. შეუძლებელია მათი დახმარების გარეშე ისეთი დიდი საქმის გახსნა, რომელსაც დაუნდობელ დამნაშავეებამდე მივყავართ.

– მერედა რას უყურებთ, ასე ზოზინით წინ ვერ წავალთ... ყველას აქ დამიძახე, – მოითხოვა გამოძიებელმა და ყურმილს დანვდა.

სანდომიანი იერ-სახის, ნაზი აგებულების ქალიშვილმა ქუჩა გადმოჭრა, ტაქსი გააჩერა და კილომეტრ-ნახევარი მგზავრობის შემდეგ პოლიციის შენობასთან ჩამოვიდა.

– ეს თქვენ ხართ ტყემლადის ქალიშვილი? – შეფარული ცნობისმოყვარეობით დაეკითხა გამოძიებელი გოგონას და სავარძელი შესთავაზა.

ქალიშვილმა ფეხზე დგომა არჩია. მას სიმართლის გაგება ეჩქარებოდა და რაც შეიძლებოდა მალე, წუთსაც შეიძლებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა... – „მამა იქნებ განსაცდელშია, მას დახმარება სჭირდება, მაგრამ... თავად მამა რომ აღმოჩნდეს ბრალში... მაშინ... რა იქნება მაშინ?.. თუა ხომ მაშინ შერცხვენილი და იმედგაცრუებული დარჩება... არა... არა, არ იქნება დამნაშავე... თუა კარგად იცნობს მას და დიდი იმედიც აქვს მისი.

– მალე ყველაფერი გაირკვევა, – მიმართა ქალიშვილს გამოძიებელმა, – ახლახან დაგვიკავშირდა ვინმე ინჟინრული, რომელსაც მოუპოვებ ა ცნობები დამნაშავეთა შესახებ. მანვე აღნიშნა ორი დღის წინ გეგეჭკორის მკვლელობის ფაქტი, რომელიც სიკვდილმისჯილი N3-ით არის ცნობილი, მისივე ინფორმაციით, მამათქვენს აყვანილი ჰყავს ვარლამ მუმლაძე, რომელსაც იგივე ბედი ელის, რაც დანარჩენებს, თუ, რა თქმა უნდა, დროულად არ იქნა მიღებული ზომები.

თეას გულისრევის შეგრძნება დაეუფლა, შებარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა და შეეცადა ასე ურყევად მდგარიყო, რათა არავისთვის არ ყოფილიყო შესამჩნევი მისი ასეთი დაძაბუნება, რაც უშუალოდ მამის ქმედების გამო დაუფლებოდა. „როგორ მოხდა მამა მათ ბუნაგში... როდის ჩამოყალიბდა დამნაშავედ... რამ გამოიწვია ეს... მართლაც სად არის მამა?“ – ამ და სხვა მრავალ კითხვას დაეჯაბნ ა ქალიშვილის არსება.

– კი მაგრამ, მამას რომ მუმლაძის მოკვლა უნდოდეს, ყველაფერი ისე არ მოხდებოდა, როგორც ამას მათი ხელწერა ითვალისწინებს? – ჭეშმარიტების უტყუარ ნიუანსს წაეპოტინა თეა.

– იმედი ვიქონიოთ... მალე ყველაფერი გამოაშკარავდება, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა...

ტელეფონის ზარმა შეანწყვეტინათ საუბარი.

– მაპატიეთ... ისე ვიყავი წელან აფორიაქებული, მთავარი სათქმელი არ მითქვამს. მათ ადგილსამყოფელს მიგასწავლით ოლონდ ერთი პირობით, დღეს უნდა მადროვოთ, შემდეგ შეგიძლიათ იმოქმედოთ... პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი... მისამართს კი ყოველშემთხვევისთვის წინასწარ გეტყვით... ვინ იცის, იქნებ ცოცხალი ვერ გამოვიდე იქედან...

– ღმერთი დაგიფარავთ... იმედია ყველაფერი კარგად დამთავრდება... დიდი მადლობა, კარგად იყავით, ღმერთი თქვენსკენ.

– ღმერთი სად ურევია ჩემს გაჩენაში, ღმერთს კარგა ხანია დავინწყებულები ვყავარ, – ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა ინკოგნიტო მოსაუბრემ.

– ახალია რამე? – მოუთმენლად დაეკითხა თეა.

– ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი, ბოროტმოქმედთა ადგილმდებარეობა გვაცნობეს, ახლა მთავარია, სწრაფი და გადაუდებელი მოქმედება, ასე რომ, მამის ამბავს მალე შეიტყობთ. ახლა შეგიძლია სახლში წახვიდე და მშვიდად დაელოდო მოვლენებს.

ლაშას წინასწარი გეგმის მიხედვით უნდა ემოქმედა, ყოველი წუთი ძვირფასი იყო მისთვის. ბანდიტები ცხადია ახალი ჯალათის ძებნას შეუდგებიან. ასეთ პიროვნებას მათ ბანდის უფროსი ძმანაძე ურჩევთ. ძმანაძე ერთი გადაგვარებული და თავზეხელაღებული ავაზაკია. მან აიყვანა ის და გაიოზი შეგირდება... ლაშას წინ კაცი კი არა, ეშმა იდგა... სიბოროტის განსახიერება... სასტიკი ადამიანი!.. – „ეს მომწონს თვალეზი აქვს ჩვენი საქმიანობისთვის ზედგამოჭრილი“, – თავისი ძლიერი ტორი დაჰკრა ძმანაძემ მხარზე გაიოზს და დემონურად გადაიხარხარა.

– ეს რა ვიცი, გამოდგება კი?.. – ეჭვიანი მზერა შეავლო ძმანაძემ ლაშას და გულგრილად აუარა გვერდი.

მაინც აიყვანა, – „გამოვცდიო“, – ასე ბრძანა.

„ძმანაძე... სადისტი... ღორი!“ – გაუელვა გუნებაში ლაშას და ადგილს მოწყდა. რამდენიმე წუთში ძმანაძის კართან იდგა და გაბმულად აძლევდა ზარს...

– ოჰ, ლაშას ვახლავარ! – მხიარულად მიეგება ძმანაძე.

„ეტყობა ჯერ არ გაუგია მასსა და გაიოზს შორის მომხდარ უსიამოვნების შესახებ“.

– მარტო ხარ?

– ჰო, რით შემიძლია გემსახურო?

კიდევ რალაცის თქმას აპირებდა ძმანაძე, მაგრამ ლაშამ არ დააცალა, ნიკაპქვემ ამოდო ხელი და სახეში შეაფურთხა.

ძმანაძე ამას არ ელოდა, დაიბნა და საპასუხო ვერაფერი მოიმოქმედა – ყურადღებით მისმინე მასწავლებლო, – ეს უკანასკნელი ხაზგასმით აღნიშნა ლაშამ, – ახლა შენ ჯალათის აყვანას შემოგთავაზებენ, შენ შეპირდები მათ, რომ დღესვე შეგიძლია მისი გაგზავნა, სიკვდილმისჯილი N4 უკვე დასასჯელადაა გაყვანილი, ოლონდ ესაა, შემსრულებელი არ ჰყავთ. ღმერთის წყალობით, ჩვენი ქვეყანა ამ რანგის ადამიანების ნაკლებობას განიცდის... აიღე ყურმილი და დაუკავშირდი შენს ბუნაგს. იცოდე, არაფერი იფიქრო, თორემ თვალდახელშევა გაგაქრობ. ძმანაძეს სხვა არაფერი დარჩენოდა, იგი ინჟინრულის გამგებლობის ქვეშ იყო მოქცეული, ყურმილი აიღო და თანამზრახველებს დაუკავშირდა.

დასაწყისი გურია REGION-ის №9
გაგრძელება შემდეგ ნომერში
ირინა რამიშვილი



როგორ მოვაზადოთ ბარბაროსის ლობიანი

ქართული ხალხური ტრადიციის მიხედვით, ბარბაროსის დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა ოჯახში ლობიანი მზადდება.

1 კილო დარჩეული და გარეცხილი ნივთელი ლობიო წინასწარ ჩაალბეთ ცხელ წყალში. დილით მალე მოიხარშება, როცა დაადგამთ 1 საათში მზადაა. ქვაბში მზითვად ჩააყოლებთ 3-4 დაფნის ფოთოლი. დაფნის ცინცხალი გემო ნაზად გადაედება ლობიოს მარცვლებს.

4-5 თავი ხახვი და 3 კბილი ნიორი ძალიან წვრილად დაჭერით. მერე ზეთში მოთუშეთ.

მოხარშულ ლობიოს ხორცსაკეპში გაატარეთ. ან კარგად დაჭყლიტეთ. ლობიოს ნაზი ფაფა რომ მიიღოთ. დაუმატეთ მოთუშული ხახვი, მარილი, შავი პილპილი, სულ ცოტა ხმელი ქონდარი და სულ ცოტა დაფქული მუსკატის კაკალი... კარგად შეაზავეთ. თქვენი ოჯახის გემოზე დასვით. მე მიყვარს სიცხარე ოდნავ რომ იკბინება.

ცომი: 2 ჭიქა თბილი წყალი ჩაუვით ჯამში, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი შაქარი, მარილი, 1.5 სუფრის კოვზი მშრალი საფუარი. მოურიეთ. წყალი და ფქვილი დამატებით შეაზილეთ.

ასევე 1 პატარა ჭიქა ზეთი. სულ 2 კილო ფქვილი და წყალი იმდენი, რომ ეს ფქვილი ბოლომდე აითვისოთ.

მოზილეთ, ხელი ზეთში დაისველეთ ხოლმე. რბილი გუნდა თქვენს გემოზე ითამაშებს. თითებზე აღარ უნდა მიგეკროთ.

დაასვენეთ თბილ ადგილას. 1-2 საათში ცომი მზადაა. ზეთიანი ხელით გადაზილეთ. დაყავით სასურველ ზომებად და გამოაცხეთ.

რა კავშირშია ეს ტრადიცია ბარბაროსის დღესასწაულთან?

დეკანოზი ლევან ფიროსმანაშვილი განმარტავს: „ქრისტიანობისთვის დღესასწაულებთან დაკავშირებით რიტუალურად რაიმე სახის საზრდოს მომზადება, შენირვა უცხოა. იშვიათი გამონაკლისი ძველი მსოფლიოს თვალთახედვიდან გამომდინარე, სიმბოლური დატირთვით გვხვდება: პური, ღვინო, თევზი და ნივთელი კვერცხი. მათ მნიშვნელობებზე სხვა დროს ვისაუბროთ. საზრდოს შენირვა წარმართული რელიგიებისთვის იყო დამახასიათებელი. ქართულ წარმართულ პანთეონში აქტიური ადგილი ეკავა მზის ღვთაებას და მის დედას აისს-ბარბარეს. მათდამი პატივსაცემად დღესასწაულზე აცხობდნენ მზის დიკოს ფორმის ღვეზელებს. ღვთაე-

ბის მდებრობითი სქესისა და სახელთა დიდი მსგავსების გამო, რიგითი მორწმუნეების გარკვეულ ნაწილში მოხდა ორი სუბიექტის გაიგივება-ალრევა. ხაზგასმით ვამბობ, ეს არ იყო საეკლესიო სწავლება. მან ნელ-ნელა ხალხში გავრცელება ჰპოვა. ეს მხოლოდ საქართველოში მოხდა. ამგვარი რენესანსები გაუთვითცნობიერების ნაყოფი იყო. წარმართობის გაღვიძება სულიერი და კულტურული ჩავარდნის ეპოქაში ხდებოდა. გაიგივების გამო წმ. ქალწულმონამე ბარბარეს დღესასწაულზე აცხობდნენ ბარბალესადმი მიძღვნილ ღვეზელებს.

კალენდარულად ერთი ფაქტორიც მოქმედებდა. ბარბალეს დღესასწაული წელიწადში ორჯერ აღინიშნებოდა – მზის ბუდობის წინ, მზის ღვთაების შობამდე. მზის-ლილეს შობას ზეიმობდნენ იულიუსის კალენდრით 25 ივნისსა და 25 დეკემბერს. ვინაიდან ქალწულმონამე ბარბარეს ხსენება აღინიშნება შობის მარხვაში, ხალხური მოქმედება ქრისტიანულ ჭრილში გატარდა და ღვეზელი სამარხვო მზადდებოდა. მოგვიანებით ამერიკის კონტინენტიდან ახალი კულტურული ჯიშების აქტიურმა პოპულაციამ ჩვენშიც ასახვა პოვა. ღვეზელის შემადგენლობაში ლობიომ დაიმკვიდრა. ლობიანის ცხობა წმ. ბარბარეს დღეს წარმართულია. მეტი განმარტებისთვის: ლობიანის გამოცხობა და მიღება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ წმიდა ბარბარესთან არაფერ კავშირშია.“

6 წესი წონაში დასაკლებად

მიჰყევით ამ წესებს და შედეგი არ დააყოვნებს, ლამაზი ფიგურასაც დიდხანს შეინარჩუნებთ.

1. მიიღეთ უჯრედისი ყოველდღე. მას შეიცავს ბოსტნეული, ხილი, მთლიანი მარცვლეულისგან მომზადებული პროდუქტები. უჯრედისი ახანგრძლივებს დანაყრების შეგრძნებას და ამცირებს ზედმეტი საკვების მიღების რისკს.

2. მიიღეთ კალციუმი და D ვიტამინი. ისინი ამაგრებენ ძვლებს, ხელს უწყობენ წონის კლებას. მათი მიღება მნიშვნელოვანია დიეტის დროს. მათი ძირითადი წყარო კი რძის პროდუქტებია.

3. სასარგებლო ცხიმები, რომელსაც შეიცავს ნიგოზი, სხვადასხვა სახის თხილეული, თევზი, არარაფინირებული მცენარეული ზეთები აუცილებელია ორგანიზმისთვის. ისინი ხელს უწყობენ ტვინის აქტიურ მუშაობას, ახანგრძლივებენ დანაყრების შეგრძნებას.

4. აუცილებლად უნდა მიიღოთ ცილა, 2 გრამი დღეში – სხეულის ყოველ 1 კგ-ზე. მისი ნაკლებობის დროს, ორგანიზმი ცხიმის დანვის ტემპს ამცირებს.

5. დიეტის დროს აუცილებელია წყალი. ის აქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, აქვეითებს მადას. 1 ჭიქა წყალი კვების წინ დაგიცავთ, რომ ზედმეტი არ მიირთვათ.

6. მწვანე ჩაი – როგორც აღმოჩნდა, ის არა მხოლოდ გაცხიმიანობისგან იცავს ორგანიზმს, არამედ ზედმეტი წონის კლებას უწყობს ხელს. თუ გახდომას გასურთ, დღეში 3 ჭიქა მწვანე ჩაი მაინც მიიღეთ.



საგვარეულო ტრადიცია შვილიშვილებს გაგუაბ თავის სიცოცხლეში გადაულოცა

საოჯახო ფორმა „ასკურავა“ განსაკუთრებული მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ კურნავს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნალრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პერტესს, პოდაგრას და ძვლების სხვა დაავადებებს. ასკურავას გვარი მკურნალობის ძველთაძველი მეთოდის მფლობელია და მას დიდი ხანია იყენებს. საგვარეულო საიდუმლო დღემდე საიდუმლოდ რჩება და მისი ანალოგი მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება. ფირმის ხელმძღვანელი, საქართველოს ლირსების ორდენის კავალერი, ხალხური მედიცინის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საგამოფენო ცენტრის ლაურეატი, დიდი ბრიტანეთის ჰუმანიტარული სამედიცინო ორდენის კომანდირი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი – პროფესორი ბიჭიკო ასკურავა თვლის, რომ ყველაზე დიდი ჯილდო მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევა იყო. ბაბუამ თავის სიცოცხლეში შეიღობილეს – დათოს და ლადოს საგვარეულო ტრადიცია გადაულოცა, თვითონ კონსულტანტად რჩება და მათ მუშაობას დააკვირდება.

სახალხო მკურნალთან სტუმრად ორჯერ გახლდით და გამაკვირვა მომსვლელთა რიცხვმა. ნებაართვა ვთხოვე, იმ მდიდარ გამოფენას გაეცნობოდი, რომელიც მის სამუშაო ოთახში გახლდათ მოწყობილი. ვის არ ნახავთ აქ გამოფენილ ფოტოებზე – ცნობილ რეჟისორებსა და მსახიობებს, მწერლებს, მეცნიერებს, ცნობილ სპორტსმენებს, უცხოელ პაციენტებს... მთავარი ის არის, რომ ყველა ფოტოდან მაღლიერი მზერით გაყურებენ ჯანმრთელი და გახარებული პაციენტები. იშვიათია ისეთი ფოტო, სადაც მათ დემონსტრირების მიზნით აქვთ შეხვეული ხელი, ან ფეხი, თუმცა მათი მზერაც მშვიდი და ხალისიანია, რადგან გვერდით ბიჭიკო ასკურავა ჰყავთ.

ბიჭიკო ასკურავა: – თექვსმეტი წლიდან მოყოლებული ათი წლის მანძილზე, დაიჯახებამდე, ველოსპორტს მივდედი. საქართველოს მრავალჯერ პრიზიორი გახლავართ. შემდეგ ვიყავი მწვრთნელი. ამჟამად ველოსპორტის ფედერაციის ექსპერტიზის ვარ. სპორტის ამ სახეობაში ჩემი საბოლოო პრიფესიული არჩევანი განსაზღვრა. წინაპართა ტრადიციას აგრძელებს და ჩემ საქმიანობაში უკვე საფუძვლიანად ერკვევა უფროსი შვილიშვილი – დავითი. ბაბუს კვალს ის სპორტშიც მისდევს. როგორ არ უნდა მიხაროდეს შვილიშვილის ასეთი წარმატება. 23 წლის პაუზის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება საქართველოდან მხოლოდ დათომ შეძლო. მან ინგლისში ქალაქ მანჩესტერში გამართულ ტურნირზე ერთ კილომეტრიან რბოლაში (პიტ) ერთი წუთი და ექვსი წამი აჩვენა. დათომ საქართველოს აბალი რეკორდი მოხსნა. ქალაქ პეტერბურგში, როცა აბალგაზრდა სპორტსმენმა შეჯიბრზე გაიარა, რუსმა ტრენერმა დათოს ტრენერს, როდიკო მეიშვილს უთხრა – ქართველმა რომ გაიმარჯვოს, ჩვენ სამსახურიდან გაგვათავისუფლებენო. ველორბოლის სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

– **თქვენ საიდუმლოს ნაწილობრივაც არ ამჟღავნებთ.**
– არა, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი წარსულის, გვარისა და ქვეყნის ისტორია. ჩვენ მომთაბარე ხალხი ვართ, საქართველოში ვცხოვრობდით, ვცხოვრობთ და უნდა ვიცხოვროთ. ამიტომ, არ უნდა დატოვო ისეთი კვალი, მთამომავლობამ რომ ვერ გაიაროს. ნათქვამია, ბაბუს



ბიჭიკო ასკურავა მკურნალთა ჯგუფთან ერთად

ნატამმა ტყემალმა შეიღობილეს მოკვითა კბალიო. რამე ცოდვა რომ ჩავიდინო, ჩემს შთამომავლობას მოკვითებო. ბუნებაში არაფერი იკარგება. თუ კარგი კაცი ხარ, ღმერთისგან და კაცისგან შესაბამის პასუხს მიიღებ. მამას ექიმობა არცერთი შვილისთვის არ დაუძალდება. ხშირად ამბობდა – კაცთან მისვლა კეთილმა საქმემ უნდა მიგასწროს, სიკეთეს კი მიწვევა უნდაო. როცა სიკეთის კეთება ყოველდღიურ მოთხოვნილებად გექცევა, ჩათვალე, ღმერთმა შეგობრად მიგიღო, ღმერთის შეგობარს, ადამიანებიც შეგობრად მიიჩნევენ.

მკურნალობის მეთოდი გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა. ბევრჯერ შემოშთავაზეს უცხო ქვეყანაში წასვლა, კლინიკებსაც მპირდებოდნენ, ცნობილი გამონათქვამის არ იყოს – სჯობს, შენს სოფელში პირველი იყო, ვიდრე სხვის ქალაქში – ბოლო. სხვაგან ყოფნას, შენ სამშობლოში ცხოვრება არ ვოხია?! თუ ვინმეს დახმარება სურს, მეძახიან, ან გამზადებულ საფენს ვუგზავნი. მისი ტრანსპორტირება სულაც არ არის რთული. საფენს გაყინულ მდგომარეობაში სადაც გსურს, იქ გაგზავნი. ინსტრუქციაც თან ვუგზავნი. ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატებით დამზადებულ ნარევის შემადგენლობა და თვისებები, ასევე წამლის სტრუქტურა და დამზადების ტექნიკა არ შეცვლილა. დაიბეჭდა გადაბეჭვის პროცედურა: ადრე ხის ფორფიტებს ყავარს იყენებდნენ, ჩვენსავე დაპატენტებულ ალუმინის მსუბუქ ფორფიტაზე გადავიყვით.

ეს მალამო მხოლოდ მოტეხილობების, ამოვარდნილობების, ტრავმებისა და ძვლის სხვა პრობლემების სამკურნალოდ გამოიყენება. ძვლის დაავადება ანთებითი პროცესიდან, ან სისხლიდან შეჭრილი რაიმე სახის ინფექციიდან იწყება. ადამიანი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, რომ მსგავსი პროცესები არ განვითარდეს.

– **რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ტრავმების გამო მკურნალობენ?**

– საუკეთესო წამალია ნორმალური კვება, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი. მოტეხილობების, ამოვარდნილობების და სხვა ტრავმების მკურნალობის დროს დაუშვებელია სქესობრივი კავშირი (შესაძლოა ძვლების აცილება მოხდეს), ალკოჰოლური სასმელების, თევზულისა და ხიზილალას მიღება (ფოსფორის შემცველობის გამო, შეხორცებას აფერხებს), ჩაის სმა. მიზანშეწონილია ხაში, ბულიონის, ხილის, ასევე კალციუმ-ქლორიდის მიღება.

სამი საუკუნე სრულდება, რაც ასკურავების გვარი ამ საიდუმლოს ინახავს, თავად პრეპარატი, უფრო სწორად, მკურნალობის მეთოდი მეოთხე საუკუნიდან არის ცნობილი. იმედია, გვარის შთამომავლობას კიდევ არაერთი მკურნალი შეემატება, რომლებიც ოჯახურ ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებენ.

დათი დავითი

მისამართი: ქალაქი თბილისი ივერიის ქ.5
ტელ: 298 86 84, 99 96 94, 577 41 19 11
ელ.ფოსტა: Daskurava@hotmail.com; Maskurava@yahoo.com

Homeopathic and Georgian Traditional Medicine Clinic

“FAMILY DOCTOR”

ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა
„**ოჯახის მკურნალი**“



კლინიკის დირექტორი: ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი თორნიკე ალაშვილი. კომპლექსური მკურნალობა ხერხემლის პრობლემების, ღვიძლის, ბრ. ასთმის, ფსორიაზის, აუტიზმის.

ალონია ოჯახის მკურნალი-ს მისამართი:

აქლეთი თბილისი, რუსთაველის გამზირი N28 ალექსანდრე ჯავახიძის N23

ტელ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61

www. Curamediana.Ge

ISSN 2346-7606

